



ლიბეხანი

№ 12 / 11 - 24 ნოემბერი / 2009

VS: დემოკრატია 7 ნოემბრის შედეგებზე **33. 10**

„საკნიდან“ – საკანში **33. 25**

„მამა ბუასილის“ საქმე **33. 15**

ინტერვიუ: გიორგი ტულუში, სოზარ სუბარი **33. 18**

წინასაარჩევნო რწმუნებულები **33. 28**

ბრემისხვევის უჩინარი საზღვარი **33. 06**

აფხაზეთი: ახალი მიდგომის ძიებაში **33. 40**

არჩევნები უკრაინაში **33. 34**

ფსიქიატრიული რეპერვაციები **33. 42**

ISSN 1987 7528



ფასი 2.80 ლარი



აკრძალული „ველოუინი“ 33. 12



რადიო „ნასრონი“ გევატიუბათ

კლუბში „ნასრონი“

- ტრადიციული ქართული სამზარეულო
- სოცხალი მუსიკა



მისამართი: აბანოს ქ. N 3



ფოტო: ლეანა სარსაძე

ნომერი:

- 02 რედაქტორი
- 04 მოკლედ
- 06 ვრცლად
- 10 ორი აზრი
დემოკრატია 7 ნომბრის
შემდეგ
ანა დოლიძე v.s. ეკა კვეციტაძე
**ფოკუსი – ადამიანის
უფლებები**
- 12 აკრძალული „ჰელოუინი“
- 14 პოლიტიკური სამართალი
„მამა ბუასილის“ საქმე
- 16 ინტერვიუ
თავისუფალი საზოგადოების
რისკები
ინტერვიუ სახალხო დამცველ
გიორგი ტულუშთან
- 18 ინტერვიუ
გამოხატვა შეიძლება
შეიზღუდოს
ინტერვიუ სოზარ სუბართან
- 20 ანგარიში

აშშ-ს სახელმწიფო
დეპარტამენტის წლიური
ანგარიში საქართველოში
რელიგიის თავისუფლების
მდგომარეობის შესახებ
პოლიტიკა



- 22 ავინროებენ თუ არა
საქართველოში
პოლიტიკური
შეხედულებებისთვის?
- 25 **უუნარლისტური გამოძიება**
„საკანიდან“ – საკანში
- 28 **თბილისის მმართველობის
ახალი ერთეულები**
წინასაარჩევნო
რწმუნებულები

- უუნარლისტური გამოძიება**
- 30 ამერიკის და ირანის ფარული
ომი
მეზობლები
- 34 **უერაინა**
არაფერი პირადული –
მხოლოდ ბიზნესი
- 36 **ინგუშეთი**
ვინ იქნება შემდეგი?
კონფლიქტები
- 38 დეჟა ვუ
- 40 **თვალსაზრისი**
აფხაზეთი: ახალი მიდგომის
ძიებაში
საზოგადოება
- 42 ფსიქიატრიული
რეზერვაციები
- 45 **ქველი თბილისის
რეაბილიტაცია**
ქველი თბილისის ახალი
სიცოცხლე
- 48 **განათლება**
სავანმანათლებლო ჩიხი

- 50 **ლიბერალის ბიბლიოთეკა**
როულზის სამართლიანობის
თეორია
- 52 **ნიგნები**
ბოსფორელი ფლობერი

ბარეკანა:

„ჰელოუინის“ კარნავალი
ფოტო:
თემო ბარძიმაშვილი



უუნარალი „ლიბერალი“ გამოცემა ფონდი
„ლია საზოგადოება - საქართველოს“
მხარდაჭერით.



ინაჰ საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ

16 ნოემბერს მთავრდება განაცხადების შეტანა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს შვიდ ვაკანტურ ადგილზე. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ პირველი არხი ვერ პასუხობს საზოგადოებრივი მაუწყებლის კონცეფციასა და მიზნებს და არსს ფინანსური პრობლემებიც აქვს, ხელისუფლებამ საჭიროდ არ ჩათვალა სამეურვეო საბჭოს დათხოვნა (საბჭოს ორი მთავარი ფუნქცია აქვს: პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრა და არხის ფინანსური მონიტორინგი).

პრეზიდენტმა სააკაშვილმა ივლისში, საპარლამენტო გამოსვლისას განაცხადა, რომ უნდა დაიწყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის დეპოლიტიზაციის პროცესი. ახლანდელი კანონმდებლობით, სრული დეპოლიტიზაცია შეუძლებელია, რადგან საბჭოს კანდიდატებს პრეზიდენტი წარადგენს და პარლამენტი ამტკიცებს. თუმცა, კანონმდებლობის შეცვლისა და საბჭოს თხოვნილებები ნევრის ხელახლა არჩევის გარეშე შესაძლებელია დეპოლიტიზაციის პროცესის დაწყება.

კანონში მაუწყებლობის შესახებ არაფერია ნათქვამი საბჭოს პოლიტიკური ნიშნით, ანუ პარტიტული პრინციპით დაკომპლექტებაზე. ამის მიუხედავად, 2007 წლის ნოემბრის შემდეგ მეურვეებს ირჩევენ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის პოლიტიკური შეთანხმების საფუძველზე. რადგან არსებული 8 წევრი ხელისუფლების „კოტას“ წარმოადგენს, დარჩენილი 7 ადგილის შევსება მთლიანად ოპოზიციურ პარტიებს შეუძლიათ – გარდა ერთი, მართლაც მითიური კანდიდატისა, რომელიც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი უნდა იყოს.

რადგან ბურთი ოპოზიციის მოედანზეა, „მედია კლუბი“ და სამოქალაქო საზოგადოების ერთი ნაწილი ცდილობს, ოპოზიციური პარტიები ამ სისტემის შეცვლის აუცილებლობაში დაარწმუნოს. პოლიტიკური მხარეების მიერ შერჩეული

კანდიდატები პოლიტიკურ ისტებლიშმენტისადმი ხდებიან ანგარიშვალდებულნი. „მედია კლუბის“ ინიციატივა კი გულისხმობს, რომ კანდიდატები სხვადასხვა საზოგადოებრივმა ჯგუფმა წარადგინოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პრინციპია, რადგან ამ შემთხვევაში არჩეული კანდიდატები სწორედ საზოგადოების წინაშე არიან პასუხისმგებელნი. ეს პრინციპი, არსებულთან შედარებით, უფრო ჯანსაღი და ლეგიტიმურია იმ შემთხვევაშიც კი, როცა კანდიდატს ან კანდიდატებს საზოგადოების თუნდაც მცირე ჯგუფი წარადგენს. თუ არ ვცდები, დემოკრატიულ სისტემებში უმცირესობასაც იგივე უფლებები აქვს, რაც უმრავლესობას. უფრო მეტიც, დემოკრატიებში, ცვლილებების მაპროვოცირებელი ხშირად სწორედ უმცირესობა ხდება ხოლმე.

„მედია კლუბის“ ინიციატივა ერთგვარი ვარჯიშია დემოკრატიაში და მას რამდენიმე მიზანი აქვს. ამ ეტაპზე კონკრეტული მიზანი საზოგადოებრივი მაუწყებლის დეპოლიტიზაციის პროცესის დაწყება და საბჭოს დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და კომპეტენციის ხარისხის გაზრდაა. უფრო გრძელვადიანი მიზნები კი ბევრია: პირველი, შეძლოს თავისი ინტერესების ლობირება (თუ ადვოკატირება) სხვადასხვა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ჯგუფებთან. საინტერესოა, რამდენის მიღწევა შეიძლება მაშინ, როცა თუნდაც ერთი სამოქალაქო ჯგუფი ახერხებს მობილიზებას ერთი კონკრეტული საკითხის ირგვლივ; მეორე: „მედია კლუბი“ ცდილობს, გააღვივოს ცვლილებებისადმი ინტერესი და ამ პროცესში სხვა აქტიური ადამიანებიც ჩართოს; მესამე და ყველაზე საინტერესო (შეიძლება იდეალისტური) მიზანი, რომლის მიღწევაც ავტომატურად დაანგრევდა ჩვენ ტენიებში ჩაზუღებულ საბჭოთა კავშირსაც, ბერლინის კედლებსაც და სტალინის ძეგლებსაც – იმაში დაარწმუნება, რომ ერთ ადამიანს რალაცის შეცვლა შეუძლია, რომ ადამიანი თავისი უფლებებითა და თავისუფლებით უფრო ძლიერია, ვიდრე ნებისმიერი სისტემა თუ უმრავლესობა. მთავარია იმის გაცნობიერება, რომ მოქალაქეებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გარეშე, არ არსებობს არანაირი დემოკრატიული პროცესი.

P.S. „ლიბერალი“ ეცდება, გააგრძელოს დისკუსია თემებზე: გაჭირდება თუ არა ამ ქვეყანაში საზოგადოებრივი არხი? საჭიროა თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ფუნქციების გაზრდა? როგორ შეიძლება საზოგადოების ინტერესთა ჯგუფებად ჩამოყალიბება და სხვადასხვა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით თანამშრომლობა?

შორენა შავერდაშვილი,
მთავარი რედაქტორი
shorena.shaverdashvili@liberali.ge

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** / აღმასრულებელი რედაქტორი **ნინო ჯავახიშვილი** / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები **სოფო ჭავჭავაძე** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუკია** / ჟურნალისტური გამოძიება **ბესო კურტიანიძე** / საზოგადოება **თამარ მაზუაძე** / ადამიანის უფლებები და სამართალი **ნინო ბუჭიშვილი** / ახალი ამბები **ნათია ახალაშვილი**
რედაქციის მდიანი: **ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **ნინო სვანიძე** / კორექტორი **ნინო საითიძე**
ბამონცამუშაობა: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბიტიძე** / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი **შალვა ჩუბინიძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**
ბამონცამუშაობი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სსპა ბამონცამუშაობი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბმშპ: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.
მშპ: 5000 ცალი. გამოდის ორ კვირაში ერთხელ. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი.



საქა
306

THE 10th
TBILISI INTERNATIONAL
FILM FESTIVAL

თბილისის
საერთაშორისო
კინოფესტივალი

01 - 06. 12. 2009





Thames Steel UK Limited-ის დირექტორი, თომას ბლეიკი, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ნოემბერი 2009

ფოტო: ლევან სერგულოძე

„მეტალურგია“ საეჭვო ქრედიტორს გადაეცემა

რუსთავის მეტალურგიული კომპლექსი იმ კრედიტორი კომპანიის ხელში გადადის, რომლის უკანაც, შესაძლოა, ჯოზეფ ქეი დგას.

შპს „ენერჯია და ინდუსტრია კომპლექსი“, რომელიც ორ კომპანიას – „ქართულ ფოლადს“ და „თუჯი XXI“-ს აერთიანებს, უცნობ კრედიტორს – „კოლხის ბიზნეს კორპორაციას“ შეიძლება რამდენიმე დღეში გადაეცეს.

ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიურომ შპს „ენერჯია და ინდუსტრია კომპლექსის“ გასაყიდად აუქციონი ორჯერ ჩაატარა, თუმცა მყიდველი არც ერთხელ არ გამოჩნდა. გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ „ხრუშოვკების“ ყიდვა-გაყიდვის გვერდით გამოქვეყნებულმა განცხადებამ უცხოელი თუ ქართველი ბიზნესმენების ყურადღება ალბათ ვერ მიიქცია.

შპს „ენერჯია და ინდუსტრია კომპლექსის“ მფლობელი Thames Steel UK Limited-ის დირექტორი, თომას ბლეიკი აუქციონს უკანონოს უწოდებს. მას სურდა, თავად გადაეხადა დავალიანება, რის გამოც სანარმო აუქციონზე გაიტანეს, თუმცა ვერც მევალის და ვერც ვალის თაობაზე ინფორმაცია ვერ მოიპოვა.

2009 წლის 21 ივლისს, Thames Steel UK Limited-ის დირექტორად ბლეიკის დანიშნვიდან ორ დღეში, ადგილობრივმა სასამართლომ უცხოელ ინვესტორს ახალი დირექტორის დანიშვნა და წესდებაში რაიმე ცვლილების შეტანა აუკრძალა. ბლეიკმა სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. თუმცა, რამდენიმე დღეში მისთვის ცნობილი გახდა მეორე განკარგულებაც, რომელიც ინვესტორს „ქართული ფოლადის“ საქმიანობაში ჩარევის უფლებას არ აძლევდა.

2008 წლის ივნისის პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის რეესტრიდან მოპოვებული

ამონაწერის მიხედვით, Thames Steel UK Limited შპს „ენერჯია და ინდუსტრია კომპლექსის“ აქციების 99 პროცენტს ფლობს.

სასამართლომ ბლეიკს ახალი ამონაწერის წარმოდგენა მოსთხოვა. თუმცა, სამენარმეო საქმიანობის შესახებ კანონში 2008 წლის 10 მაისის ცვლილებით, სამენარმეო რეესტრში დამფუძნებელი აღარ ფიქსირდება. ამიტომ ცნობა მფლობელის ვინაობის შესახებ, საჯაროდ აღარაა და მისი ნახვა მხოლოდ უშუალოდ დირექტორს შეუძლია. ამ შემთხვევაში დირექტორმა ეს არ გააკეთა. შპს „ენერჯია და ინდუსტრია კომპლექსის“ დირექტორს, შიორევიამვილს კი სამი თვის მანძილზე ვერსად მიაკვლიეს.

შპს „ენერჯია და ინდუსტრია კომპლექსმა“ მეტალურგიული ქარხნის ძირითადი ნაწილი 2005 წელს აუქციონზე 20,5 მილიონ დოლარად იყიდა. თავად „ენერჯია და ინდუსტრია კომპლექსი“ 2000 წელს ბადრი პატარკაციშვილის კომპანია Georgian Steel Holdings Limited-ის მიერაა დაფუძნებული. 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ, როცა ბადრი პატარკაციშვილს თბილისში პრობლემები შეექმნა, მან მეტალურგიული ქარხანა ბრიტანულ კომპანია Thames Steel UK Limited-ს მიჰყიდა.

Thames Steel UK Limited, თავის მხრივ, ლიხტენშტეინში რეგისტრირებულ ტრასტს Miselva Establishment Vaduz-ს ეკუთვნის, რომლის უკანაც ისევ ბადრი პატარკაციშვილი იდგა.

იქიდან გამომდინარე, რომ მეტალურგიული ქარხნის აუქციონზე გატანა და უცნობი კრედიტორისთვის გადაცემა ჯოზეფ ქეის არ გაუპროტესტებია, ბლეიკის ვარაუდი, რომ ამის უკან შეიძლება ჯოზეფ ქეი იდგეს, საფუძველს მოკლებული არ არის.

სხინვალი 4 ქართველი მოზარდი დააკავეს

4 ნოემბერს გორის რაიონის სოფელ ტირძნისში მცხოვრები 4 არასრულწლოვანი დაიკარგა. ტირძნისის საშუალო სკოლის მოსწავლეები – 17 წლის ლევან ხშიადაშვილი, 16 წლის ვიქტორ ბუჩუკური, 14 წლის გიორგი რომელაშვილი და ალექო ცაბაძე ცხინვალის შს-ს თანამშრომლებმა დააკავეს.

ცხინვალის ტელევიზიამ დაკავებული არასრულწლოვნების დაკითხვის ამსახველი ვიდეომასალა გამოაქვეყნა. კადრებიდან ჩანს, რომ მოზარდები საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას აღიარებენ. მათი განცხადებით, ისინი გიორგი რომელაშვილის სახლის სანახავად მიდიოდნენ. სამხრეთ ოსეთის შსს მინისტრის, ვიქტორ გასინის ცნობით, მოზარდებმა დაკითხვისას დანაშაული აღიარეს და სამართალდამცავებს ის ადგილი უჩვენეს, სადაც ასაფეთქებელი ნივთიერებები შეინახეს. არასრულწლოვანებს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა და ტერაქტის დაგეგმვა ბრალდებათ. გიორგი რომელაშვილს კი ცხინვალის რაიონის სოფელ ხეთის მცხოვრების გაჭურდვას აბრალებენ. ცხინვალის ტელევიზიის მიერ გავრცელებულ მასალაში ჩანს, რომ ეს პიროვნება რომელაშვილს ადანაშაულებს.

ქართული მხარე დაკავებულების უპირობო გათავისუფლებას ითხოვს. საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ მოთხოვნით რუსეთს მიმართავს. სამინისტროსა და პარლამენტში ამ მოვლენას პროვოკაციად აფასებენ.

მოზარდების საქმე სამხრეთ ოსეთის პროკურატურას გადასცეს. ქართველი არასრულწლოვნები სასამართლოს წინაშე უნდა წარდგნენ. თუმცა, განხილვის ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის.

ვაჭრობა ალიარების თემაზე ბრძელდება

ამ დროისთვის მინიმუმ ორი ქვეყანა რუსეთთან აფხაზე-
თისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ალიარების
საკითხზე ვაჭრობს.

მიმდინარე კვირიდან ბელარუსის პარლამენტში შექმნილი
მუშა ჯგუფი აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდე-
ბლობის ალიარების მიზანშეწონილობას შეისწავლის. ჯგუფის
ექვსი წევრი ნოემბრის ბოლოს თბილისში ჩამოსვლას გეგმავს.
დეპუტატები ჩავლენ ასევე ცხინვალსა და სოხუმშიც.

ოქტომბრის ბოლოს მოსკოვს სტუმრობდა კიდევ ერთი
ქვეყნის ლიდერი, რომელთანაც კრემლი ცხინვალისა და სო-
ხუმის ალიარების ბიზნესს ანარმოებს. მოლოდინების მიუხე-
დავად, ეკვადორის პრეზიდენტი რაფაელ კორრეა არ გახდა
მესამე ლათინოამერიკელი ლიდერი, რომელმაც რუსული
კრედიტების საფასურად აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის
დამოუკიდებლობა ცნო. კორრეას კრემლმა ჰესის მშენებლო-
ბის პროექტი და იარაღის კრედიტით მიყიდვა შესთავაზა.
საერთო ჯამში, მოსკოვი კიტოს 200 მილიონის ოდენობის
სუბსიდიას დაჰპირდა, რაც ბევრად ნაკლებია, ვიდრე თანხა,
რომელიც იგივე სამსახურისთვის ნიკარაგუასა და ვენესუელას
ერგო. რაფაელ კორრეამ ამ თანხად აფხაზეთისა და სამხრეთ
ოსეთის ალიარებაზე უარი თქვა, თუმცა საკითხი დღის წესრი-
გიდან არ მოხსნილა.



რაფაელ კორრეა და დიმიტრი მედვედევი, მოსკოვი 2009

რისხვეპი

7,7 მილიონი ლარი შეადგინა ქართული საბანკო სექტორის
მოგებას სექტემბრის თვეში.

41 პროცენტით შემცირდა რუსეთში იმპორტი გასული წლის
ანალოგიურ დროსთან შედარებით.

8 მილიონი ლარის ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარდა საქა-
რთველოს რეგიონებში მიმდინარე წელს.

80 დოლარს გადააჭარბა ნავთობის ფასმა ნიუ-იორკის სა-
საქონლო ბირჟაზე.

47 221 დოლარი გადაიხადა რომან აბრამოვიჩმა ნიუ-იორ-
კის ერთ-ერთ რესტორანში სადილისათვის.

სიტყავი



„არ მიყვარს პათეტიკა, არც მამა ბუასილი. მაგრამ დღეს
მამა ბუასილის გვერდით დგომა უფრო მნიშვნელოვანია,
ვიდრე მასთან ესთეტიკურ ან იდეოლოგიურ საკითხებზე
კამათი. არ აქვს მნიშვნელობა, მართლმადიდებელი
ქრისტიანი ხარ თუ ათეისტი. როცა დანიაში ფაშისტებმა
ებრაელები აიძულეს, ყვითელი ვარსკვლავი ეტარებინათ,
დანის მეფემ და დედოფალმა თავიანთ სამოსზეც
დაიკრეს ყვითელი ვარსკვლავები. ჩვენც დღეს მამა
ბუასილები უნდა გავხდეთ“.

კახა ბენდუქიძე

www.facebook.com

„დამშვიდდით, მეგობრებო, ვითარების გამძაფრება არ
მოხდება; ცოტას იხმაურებენ, ერთ-ორ წერილს დანერენ
და ისიც ელექტრონულად; კაფეებში იფუსფუსებენ,
ელექტრონულ პეტიციას შეადგენენ, ავატარებით მამა
ბუასილს მხარს დაუჭერენ და დანყნარდებიან... რაიმე
მნიშვნელოვანის გაკეთება რომ შეეძლოთ, ან უნდოდეთ,
ამას ხომ მანამდეც გააკეთებდნენ, მარჯვნივ-მარცხნივ
როცა იჭერდნენ და სცემდნენ ხალხს საკუთარი აზრის
გამოხატვისათვის... როგორც ჩემი კომპარტიოტის ერთ
ნაწარმოებშია: აგერ მე და აგერ გერმანია: სულ მალე
ვნახავთ, როგორ გადაინაცვლებენ ლიტ. კაფესა და
შარდენის ქუჩის მომხმარებლები პირველ საპყრობილეში
მამა ბუასილის დასაცავად მოწყობილი სამოქალაქო
დაუმორჩილებლობისათვის“.

ანა დოლიძე

www.facebook.com

„სტალინს დღემდე იმიტომ ებრძვიან, რომ მან
მართლმადიდებლობა გადაარჩინა და გლობალისტური
იმპერიის შექმნის გეგმა
ჩაშალა“.

გიორგი ანდრიაძე

„ასავალ-დასავალი“, 2-8 ნომბერი

უჩინარი საზღვარი

ხუთდღიანი პატიმრობიდან
დაბრუნებული
14 გრემისხეველი
სოფლის დაცვას და
ადმინისტრაციული
საზღვრის ახალი
მდებარეობის დაფიქსირებას
ითხოვს.

ეკა ქადაგიშვილი



ფოტო: აბ. ძალაშვილი

■ სოფელ გრემისხევიდან გატაცებულები

სოფელი გრემისხევი ახალგორის რაიონს დასავლეთით ესაზღვრება. ახალგორსა და გრემისხევს ერთი ქედი ჰყოფს. ამ ქედზე ტყეში სოფლის მაცხოვრებლები შეშას ჭრიან და ხშირად საქონელს საძოვრებზე იქ უშვებენ. ქედის თავზე წყალგამყოფი არხია და გრემისხეველებისთვის ამ დრომდე ახალგორთან საზღვრი სწორედ ამ არხზე გადიოდა. სოფელში სულ 300 კომლი ცხოვრობს. მართალია, ევროკავშირის დამკვირვებელთა მანქანები ამ პატარა სოფლის დღის განმავლობაში რამდენჯერმე უვლიან წრეს, თანასოფლელების გატაცების შემდეგ გრემისხეველები უსაფრთხოების მეტ გარანტიას ითხოვენ – მაგალითად, ადმინისტრაციული თუ დროებითი საზღვრის ზუსტი მდებარეობის დადგენას.

„ვილაცამ ხომ უნდა გავაფრთხილოს, რომ ეს საზღვარია და იმის იქით წასვლა არ შეიძლება. სხვაგვარად შეუძლებელია მიხვდე, გრემისხევის ტერიტორიაზე ხარ თუ ახალგორის“ – ამბობს გრემისხეველი დათო პაპუკაშვილი. იგი ერთ-ერთია იმ 16 მამაკაცთაგან, რომელიც 25 ოქტომბერს ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე შეშის ჭრის დროს ტყეში რუსმა მესაზღვრეებმა დააკავეს. დუშეთის რაიონის სოფელ გრემისხევი მცხოვრებ 14 ტყის მჭრელს და მათთან სტუმრად მყოფ ორ ახალგაზრდას ბრალი საზღვრის

უკანონო გადაკვეთაში დასდეს და ჯერ ახალგორის პოლიციაში, შემდეგ კი ცხინვალის იზოლაციაში გადაიყვანეს.

ხუთდღიანი პატიმრობის შემდეგაც გრემისხეველები დარწმუნებულები არიან, რომ შეშის ჭრის დროს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არ შესულან. შეშა საქართველოს მთავრობის მიერ ოფიციალურად დანაშაული ტყიდან გამოჰქონდათ. ეს ტერიტორია სოფლიდან დაახლოებით 3 კილომეტრშია და საზღვრად მიჩნეული წყალგამყოფი მის ზემოთ არის.

გრემისხეველები 4-მა რუსმა მესაზღვრემ დააკავეს, როდესაც მათ შეგროვილი შეშა სოფლისკენ მოჰქონდათ. რუსებმა ტყისმჭრელებს ტელეფონები და ბასრი ნივთები ჩამოართვეს.

„დავაი ვპერიოდო... მეტი არაფერი უთქვამთ. წავიყვანეს იქ, სადაც ჩვენ აქამდე საზღვარი გვეგონა, წყალგამყოფთან. კონტაქტში არ შემოდიოდნენ, არც ახლოს მოდიოდნენ, 5 მეტრის დისტანციაზე იდგნენ“, – იხსენებს გიორგი პაპუკაშვილი. 5-სათიანი ლოდინის შემდეგ დატყვევებულები ახალგორის პოლიციაში გადაიყვანეს და 16 ადამიანი ორკაციან საკანში მოათავსეს. ამბობენ, რომ მათზე არანაირი ზეწოლა არ მომხდარა. რუსები დატყვევებულებს საკვებით და სიგარეტითაც კი ამარაგებდნენ. „ვისაც ნათესავი გყავს ახალგორში, ხმა მივანვდინეთ და საკვებით ისინიც გვეხმარებოდნენ“, – იხსენებს ერთი დაკავებული.

„თავიდან საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის ჯარიმები გამოგვინერეს და თითქოს უნდა გავეთავისუფლებინეთ. მაგრამ შემდეგ მოვისმინეთ, რუსები რომ ამბობდნენ – ჯობდა, ქართული მხარის მიერ დაკავებულ ორ კო ტრაქტორისტში გავეცვალეთ. სწორედ ამის შემდეგ იყო, რომ ცხინვალის ციხეში გადავიყვანეს“, – იხსენებს სულიკო კუსრაშვილი. თუმცა, როდესაც დაპატიმრებულები გაათავისუფლეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და ნაციონალური ტელევიზიები ხაზს უსვამდნენ, რომ ეს უპირობო გათავისუფლება იყო.

ციხეხალის ციხეში ქართველი პატიმრები საკნებში გაანაწილეს. ამბობენ, რომ რაიმე სახის ზენოლას ადგილი არც აქ ჰქონია. გრემისხეველები იხსენებენ, რომ ციხის პირველ სართულზე ქალი პატიმრები, დანარჩენ ორზე კი მამაკაცები იყვნენ. სწორედ იქ გაიცინეს ორი ქართველი სოფელ ლამისყანიდან და თვაურიდან, რომლებიც ცხინვალის ციხეში რამდენიმე თვით ადრე აღმოჩნდნენ. აჩიკო დიდუბაშვილი და ჯამლუტ ჯამლუტაშვილი რუსმა მესაზღვრეებმა ახალგორთან მოსაზღვრე ტყეში ასევე

შეშის გამოტანის დროს დააკავეს. ორივე ქართველი ცხინვალის ციხიდან შევლას ითხოვს და გათავისუფლებულ გრემისხეველებს მთავრობასთან სიტყვას აბარებს:

„მთავრობას დახმარებას სთხოვენ, – იქნებ ჩაერიონ და ჩვენი გათავისუფლებაც მოახერხონ. ორთვიანი პირობითი სასჯელი უკვე გასდით და რამდენს მიუსჯიან, ჯერ კიდევ არ იციან“, – ამბობს ზაურ რიზიკაშვილი. რიზიკაშვილი იხსენებს, რომ ეს გზავნილი ტელეჟურნალისტებსაც გადასცა, მაგრამ ინფორმაცია ცხინვალის ციხეში ჩარჩენილი ქართველების შესახებ არც ერთ არხზე აღარ უნახავს.

28 ოქტომბერს, სანამ 16 ქართველი ჯერ კიდევ დაკავებული იყო, საქართველოს, რუსეთის, სამხრეთი ოსეთის წარმომადგენლებმა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წევრებმა ის ადგილი მოინახულეს, სადაც საქართველოს მოქალაქეები დააკავეს. ამ შეხვედრის მიზანი ფაქტების დადგენა იყო. შედეგად, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ დაასკვნა:

„16 პირიდან რამდენიმემ, სავარაუდოდ, ადმინისტრაციული საზღვარი 100 მეტრზე ნაკლები მანძილით – 30-50 მეტრით გადაკვეთა. ყველა მხარე თანხმდება, რომ ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთისას ტყის მჭრელებს არ ჰქონიათ რაიმე ბოროტი განზრახვა. მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ ამ პირების მიმართ განხორციელებული ზომები იქნება ადმინისტრაციული და არა სისხლის სამართლებრივი ხასიათის და რომ შემდგომი გამოძიების საჭიროება აღარ არსებობს“.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებას გრემისხევის გამგებელი ფირუზ თამარაშვილიც ესწრებოდა. ამბობს, რომ ამ დღეს აღმოაჩინა, რომ ადმინისტრაციული საზღვარი გადასაცვლებულია. „1994 წელს მეურნეობის დირექტორი ვიყავი და შემიძლია ვთქვა, რომ ადმინისტრაციული საზღვარი ქედის თავზე მდებარე წყალგამყოფის იქით იყო. ეს ტერიტორია ყოველთვის გრემისხევს ეკუთვნოდა. იქ მდებარე მინდვრებს სახნავ-სათესად ვიყენებდით“.

აგვისტოს ომის შემდეგ ეს გრემისხევი რუსი მესაზღვრეების მიერ ქართველების დაკავების პირველი შემთხვევაა. მანამდე ტყის ჭრა ახალგორის მოსაზღვრე ქედზე დაუბრკოლებლად შეიძლებოდა. თანასოფლელების დაპატიმრების შემდეგ ქალებს და ბავშვებს სოფელითავე თავისუფალი გადაადგილებისაც ეშინიათ. მამაკაცებს კი ახალი საზღვრები გაუჩნდათ: სად მოიპარაგონ ზამთრისთვის სამყოფი შეშა. იმ ტყეში ასვლას, სადაც უჩინარი ადმინისტრაციული საზღვარი გადის, ვეღარავინ ბედავს.

12 ბანრისხეზული მამაკაცი

2010 წლის ოქტომბრიდან მკვლელობისთვის ბრალდებულებს ხალხი გაასამართლებს.

მარიკა ქოჩიაშვილი

შემთხვევითი შერჩევის წესით არჩეულ 12 ადამიანში, შესაძლოა, ნებისმიერი სრულწლოვანი მოქალაქე მოხდეს და ის ვალდებული იქნება, სასამართლო პროცესში მონაწილეობა ნაფიცო მსაჯულის სტატუსით მიიღოს. უარის თქმის უფლება მხოლოდ საპატიო მიზეზის შემთხვევაში ექნება. გამონაკლისებად იმ პროფესიის წარმომადგენლები დარჩებიან, რომელთაც ადამიანებზე გავლენის მოხდენა და პროცესის თავის სასარგებლოდ წარმართვა შეუძლიათ. ოურისტები, ფსიქოლოგები და სოციოლოგები ვერასოდეს გახდებიან ნაფიცო მსაჯულები.

ოქტომბერში პარლამენტმა, მესამე მოსმენით, სისხლის სამართლის ახალი კოდექსი მიიღო, რომელიც საქართველოში ერთი წლის შემდეგ ნაფიცო მსაჯულების ინსტიტუტის შემოღებას ითვალისწინებს.

„ნაფიცო მსაჯულების ინსტიტუტის შემოღებამდე საჭიროა, ფართო საზოგადოებრივი კამპანია წარმართოს. მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც ნაფიცო მსაჯულთა ინსტიტუტი არსებობს, ის გააზრებულია როგორც მოქალაქის ვალდებულება – დაიცვას კანონი, ნაფიცეს სავალდებულო სამსახურში და ა.შ.“, – ამბობს ოურისტი გიორგი ჩხეიძე.

თუ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მუშაობა ეფექტურად წარიმართა, ის გაზრდის ხალხის მონაწილეობას მართლმსაჯულებაში. შესაბამისად, მართლმსაჯულების მიმართ ნდობაც ამაღლდება. თუმცა ქვეყანაში, სადაც მოსამართლეების დამოუკიდებლობა პრობლემად რჩება, ნაფიცო მსაჯულების შემოღების შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოს გარანტირებული მათი

დამოუკიდებლობა და უსაფრთხოებაც.

იმის გამო, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გადაწყვეტილება – ვერდიქტი – საბოლოოა, ოურისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ბრალდებულს უფლება უნდა ჰქონოდა, თავად აერჩია, სურდა თუ არა ნაფიც მსაჯულს გაესამართლებინათ. ვერდიქტი გასაჩივრებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექვემდებარება, თუ დადგინდა, რომ მოსამართლემ კანონი არასწორად გამოიყენა, ან ნაფიც მსაჯულებზე ზეწოლა მოხდა. მაგრამ ამ შემთხვევაში გასაჩივრება კასაციის გზით ხდება – მტკიცებულებებს აღარ განიხილავენ. ამიტომ ოურისტებს სჯერათ, რომ ბრალდებულს თვითონ უნდა გადაწყვიტა, ნასულიყო თუ არა ამ რისკზე – აპელაციის შანსი დაეკარგა, მაგრამ მიელო ხალხის გადაწყვეტილება. თუმცა, კანონი ისე დამტკიცდა, რომ ეს შესაძლებლობა მასში არ დევს.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მომავალი წლიდან თბილისში ამოქმედდება და ამ წესით მხოლოდ მკვლელობაში ბრალდებულები გასამართლდებიან. 2012 წლიდან დაემატება ქუთაისი და ძალაში შევა სხვა მძიმე დანაშაულთა მუხლების გასამართლება. 2014 წლიდან კი ის უკვე მთელი საქართველოს მასშტაბით იმუშავებს.

პროექტის ავტორებიცა და დამოუკიდებელი ოურისტებიც ნაფიცო მსაჯულების ინსტიტუტს აფასებენ, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად საჭირო მოვლენას. მთავარია, პროცესი დაიძრას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ გაირკვევა, რა დადებითი მხარეები, რა საფრთხეები და რა ხარვეზები აქვს ამ კანონს.

პრობლემა ეპიდემიის ბარეში

ეპიდემიის არარსებობის მიუხედავად, საზოგადოებას მენინგოკოქციემის ვაქცინის უქონლობა აშფოთებს.

ეკა ჭითანავა

თითქმის ყოველი წლის შემოდგომა-გაზაფხულზე ერთი და იგივე კითხვა ხდება აქტუალური: ხომ არ არსებობს მენინგიტის ეპიდემიის საფრთხე? მენინგიტით, ანუ თავისა და ზურგის ტვინის ანთებით დაავადების შემთხვევები წელიწადის სწორედ ამ დროს მატულობს, რაც მოსახლეობას საფრთხისადმი შიშს უჩენს. სინამდვილეში, ეპიდემიის გაჩენის ალბათობა საქართველოში, თუნდაც კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, თითქმის არ არსებობს. ინფექციური დაავადების მაჩვენებელს 100 000 სულ მოსახლეზე განაგარიშებით ითვლიან, საქართველოში კი მენინგოკოქციემის ეს მაჩვენებელი 1-ზე ნაკლებია.

ბოლო ცხრა თვის განმავლობაში საქართველოში მენინგიტით 107 ადამიანი დაავადდა, აქედან მენინგოკოქციემის დიაგნოზი – რაც ყველაზე რთული ფორმაა – 27 პაციენტს დაუსვეს. ბოლოს მენინგოკოქციემით თბილისის ინფექციურ დაავადმყოფოში 6 თვის ბავშვი გარდაიცვალა.

საზოგადოებასაც, არა იმდენად ეპიდემიის საშიშროება აღელვებს, არამედ მისგან თავდაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობა. როგორ შეიძლება სახელმწიფომ მენინგოკოქციემით დაღუპვისგან დაიცვას ბავშვები?

თავდაცვის ერთ-ერთი საშუალება აცრია. ბევრ ქვეყანაში მენინგოკოქციემიის წინააღმდეგ აცრა სავალდებულოა, რაც 85 პროცენტით ამართლებს. საზღვარგარეთ პაციენტების ხარჯებს სახელმწიფო და ნაწილობრივ სადაზღვევო კომპანიები ფარავენ.

თამუნა ჯავახაძემ თავისი ორი წლის შვილს „C“ ტიპის მენინგოკოქსის წინააღმდეგ აცრა ჰოლანდიაში ყოფნისას გაუკეთა. ბავშვისთვის გასაკეთებელი აცრების სია სახლში ფოსტით გამოუგზავნეს. „ეს არის სახელმწიფო ჯანდა-

ილუსტრაცია მონიკა მასარაშვილი



ცვის მიერ დადგენილი სავალდებულო აცრები, რომლებიც ყველა აქ მცხოვრებმა ბავშვმა დაბადებიდან აუცილებლად უნდა გაიკეთოს“, – ამბობს ჯავახაძე.

ჰოლანდიაში „C“ სეროტიპის ვაქცინა სახელმწიფო პროგრამაში იმიტომაც შედის, რომ იქ, საქართველოსთან შედარებით, დაავადების უფრო მაღალი მაჩვენებელია. მენინგოკოქციემის შემთხვევების რაოდენობა წელიწადში 200-დან 300-მდე მერყეობს.

საქართველოში მენინგოკოკის წინააღმდეგ ვაქცინა არც სახელმწიფოს და არც ფარმაცევტულ ფირმებს არ შემოაქვთ. მიზეზად სტატისტიკას იმეგლიებენ და აცხადებენ, რომ თუკი ეპიდემიური ფონი არ არსებობს, არც ვაქცინის შემოტანის აუცილებლობა დგება. თუმცა, განვითარებულ ქვეყნებში თავს იზღვევენ არა მხოლოდ ეპიდემიის საშიშროების გამო, არამედ ზოგადად სიკვდილიანობის შემთხვევების თავიდან არიდების მიზნით.

პაატა იმნაძის თქმით, საქართველოში ვაქცინის შემოტანა-არშემოტანას საბაზრო ეკონომიკის პრინციპი განსაზღვრავს. თუკი მოთხოვნა იარსებებს, ვაქცინის იმპორტით კერძო ფირმები დაინტერესდებიან, რადგან სახელმწიფო ამ ვალდებულებას თავის თავზე ვერ აიღებს.

ასეთ შემთხვევაში, მენინგოკოქციემის ერთადერთ პრევენციად მისი დროული გამოვლენა რჩება. ექიმების თქმით, დაავადების ადრეულ ეტაპზე ეფექტურად მოქმედებს ანტიბიოტიკი. ამიტომ მაღალი სიცხისა და თავის ტკივილის შემთხვევაში, მშობელმა ექიმს დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს.

ამ დროისათვის მენინგიტის ეპიდემიის გარშემო ატეხილი აურზაური უსაფუძვლოა. თუმცა, მენინგოკოქციემისგან წელიწადში თუნდაც ერთი ბავშვის სიცოცხლის გადარჩენა მნიშვნელოვანი და ჯერჯერობით მოუგვარებელი პრობლემაა.



პროტექსიონიზმის მავნე კვამლი

ადგილობრივ და იმპორტირებულ თამბაქოზე აქციზების გათანაბრება გარდაუვალია. ეს პროცესი ადრე რომ მომხდარიყო, ცვლილებით გამოწვეული შოკის მწვავე ფაზა უკვე გადავლილი იქნებოდა.

რევაზ საყვარიშვილი

არის თემები, რომლებზე საუბრისასაც კონკრეტული თარიღების და მოვლენების გაიხსნება მსჯელობას უფრო აიოლებს. იმპორტირებულ და ადგილობრივ თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გათანაბრება-გაუთანაბრებლობის თემაც სწორედ ამ სივრციდანაა. საკმარისია ორი თარიღის და მოვლენის გახსენება და ყველაფერი გაცილებით ოლი ხდება.

თარიღი პირველი – 2000 წლის 14 ივნისი. საქართველო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი გახდა და აიღო ვალდებულება, დააწესოს „თანაბარი აქციზის და დღგ-ს გადასახადები იმპორტირებულ და ადგილობრივ საქონელზე“.

თარიღი მეორე – 2006 წლის 15 მაისი. საქართველო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის საერთაშორისო ჩარჩო კონვენციას შეუერთდა და ფაქტობრივად აიღო ვალდებულება, რომ სხვადასხვა სატარიფო და საგადასახადო ზომების გამოყენებით ხელს შეუწყობდა თამბაქოს მომხმარებელთა რაოდენობის შემცირებას.

საქართველო ამ ორი ნაკისრი ვალდებულებიდან არც ერთს არ ასრულებს – არც ადგილობრივ და იმპორტირებულ თამბაქოზე აქციზები განონასწორებული (ადგილობრივი 40 თეთრი, იმპორტირებული კი 60 თეთრი ლირს) და არც თამბაქოს მოხმარების შემცირების ზომები ამოქმედებული. საქართველოში სიგარეტი ერთ-ერთი ყველაზე იაფი და ხელმისაწვდომი პროდუქტია.

ასე რომ, სადავო არსებითად არაფერია – თამბაქოზე აქციზები უნდა გათანაბრდეს და მეტიც, უნდა გაიზარდოს. სიგარეტზე ფასების გარდაუვალი მატების განხორციელება, შესაძლოა, ასევე დროში გაჭიანურდეს, აქციზების გათანაბრების საკითხის მოგვარების ვადა კი ცნო-

ბილია – 7-8 დეკემბერი. სწორედ ამ დღეს შედგება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამუშაო სესია და თუ საქართველომ მანამდე არ გამოასწორა დაშვებული საკანონმდებლო ხარვეზი, უფრო ლმობიერი სცენარის ამოქმედების შემთხვევაში, ქვეყანას ფინანსური სანქციები ემუქრება, უფრო რადიკალური მოდელის გააქტიურების შემთხვევაში კი – ვმოდან გარიცხვა.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ახლაც სანამ ასეთი მკაცრი ალტერნატივა არ დადგა დღის წესრიგში, ვითარების გამოსწორება არავის უფიქრია. არგუმენტი, რომ განსხვავებული აქციზების არსებობა ადგილობრივ წარმოებას უწყობდა ხელს, ყველამ შეირგო და განსხვავებული განაკვეთების არსებობა მანამდე იყო მიჩნეული ნორმალურ მოვლენად, ვიდრე ქვეყანას მორიგი პრობლემებით არ დაემუქრა.

ერთი მხრივ, ალბათ კარგია, რომ ნავსის გატეხვა სწორედ უკრაინულმა კომპანიამ იწევა. ეს ფაქტი ნათლად მიუთითებს, რომ როდესაც საქმე კონკურენციას და მისი დადგენილი წესების დარღვევას ეხება, იქ სტრატეგიული მოკავშირეობა აღარ ჭრის. კომპანია **British American Tobacco Ukraine** პირველი უკრაინელი მწარმოებელია, რომელიც დისკრიმინაციულ სავაჭრო რეჟიმს აპროტესტებს. კომპანიამ უკრაინის ეკონომიკის სამინისტროს შესაბამისი განცხადებით მიმართა, რის შემდეგაც უკვე უკრაინის ეკონომიკურმა უწყებამ საკუთარი პრეტენზიები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას აცნობა. ამ თემაზე საქართველო და უკრაინამ უკვე დაასრულეს არაოფიციალური მოლაპარაკება და ახლა გადწყვეტილების მისაღებად ემზადებიან.

არავინ დავობს, რომ გადასახადის მომატება არასდროს არის კარგი საქმე. და რომ არა იძულება გარედან,

საქართველოს მთავრობა არასდროს იჩქარებდა აქციზების გათანაბრებას. თუმცა, ორი ცუდი ალტერნატივიდან რომელი უფრო იყო ასარჩევი – თამბაქოს ადგილობრივი წარმოების საერთოდ განადგურების და ათასობით ადამიანის უმუშევრად დარჩენის საფრთხე (დიფერენცირებული აქციზების შენარჩუნების მომხრეების მთავარი არგუმენტი) თუ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნის შეუსრულებლობა და პრობლემები როგორც ევროკავშირთან, ასევე აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებებში – ეს ალბათ იმთავითვე ცხადი იყო.

სტატუს კვოს შენარჩუნების მომხრეების შეფასებით, აქციზის განაკვეთის ზრდა ავტომატურად გამოიწვევს ადგილობრივი პროდუქციის ფასის ზრდას. ეს ასევე ავტომატურად გამოიწვევს კონტრაბანდული პროდუქტის შემოდინებას, ადგილობრივი ინდუსტრიის გაჩერებას და უამრავი სამუშაო ადგილის დაკარგვას.

ცხადია, ამ არგუმენტზე თვალის დახეჭვა არასერიოზულია. თუმცა, ამ ზოგადი განაცხადის მიღმა რა მოცემულობა იკვეთება (მაგალითად, რამდენით გაიზრდება სიგარეტის ფასი, რა სანარმოო სიმძლავრე შეიძლება გაჩერდეს, რამდენი სამუშაო ადგილი შეიძლება გაუქმდეს და ა.შ.), ამის დანაგარიშებით ჯერ თავი არავის შეუწუხებია. შესაბამისად, მოსალოდნელი დანაკარგების სიდიდეზე მსჯელობა ცოტა რთულია.

ესეც არ იყოს, ჯერ არავის გაუუქმებია კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც, თანაბარი კონკურენტული გარემო ხარისხს ზრდის, პროდუქციის ღირებულებას კი ამცირებს. ასე რომ, საგადასახადო განაკვეთების გათანაბრება მაინც არ ჩანს ისე საშიში, როგორც ამას თავად თამბაქოს ადგილობრივი მწარმოებლები წარმოადგენენ.

რაოდენ რთულიც უნდა იყოს, პირობების გათანაბრების გადაწყვეტილება მისაღებია. ეს კი წლების წინ რომ მომხდარიყო, ცვლილებით გამოწვეული შოკის მწვავე ფაზა უკვე კარგა ხნის წინ გადაივლიდა და ქართულ თამბაქოს წარმოებას ზარისხი ახალ კონფიგურაციაში საკუთარი ადგილის ძიება არა უმწვავესი საერთო კრიზისის, არამედ გაცილებით მშვიდ ვითარებაში მოუწევდა. დღეს კი არჩევანის უფლება და საშუალება აღარ რჩება – ახალი წლიდან გადასახადის პირობები 1,5-ჯერ დამძიმდება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კომენტარი „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ 28 ოქტომბრის სიუჟეტებზე

28 ოქტომბერს ტელეკომპანია „იმედის“ და სამუშაო კომპანია „რუსთავი 2“-ის საღამოს საინფორმაციო გამოშვებებმა გარკვეული უზუსტობებით გააშუქეს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ 2008 წელს გამოქვეყნებული „კორუფციის აღქმის ინდექსი“ (CPI). ვრცლად გაგაცნობთ ჩვენი ორგანიზაციის შენიშვნებს ამ სიუჟეტებთან დაკავშირებით:

■ „იმედის“ სიუჟეტში ითქვა, რომ საქართველო CPI-ში თურქეთს უსწრებს, რაც არასწორია. 2008 წლის CPI-ის ქვეყანათა რანგირებაში საქართველო 67 ადგილზე გავიდა, ხოლო თურქეთი – 58-ზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თურქეთში ნაკლები კორუფციაა, ვიდრე საქართველოში.

■ იმავე სიუჟეტში აღინიშნა, რომ მომავალ წელს საქართველო, სავარაუდოდ, კიდევ სამი პუნქტით წაიწვევს. მომდევნო, 2009 წლის CPI ჯერ არ გამოქვეყნებულა. მისი შედეგები ჯერჯერობით ჩვენითვისაც არ არის ცნობილი. კვლევის ფორმატი და მეთოდოლოგია არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მომდევნო წლის შედეგებთან დაკავშირებით რაიმე სახის ვარაუდები გამოითქვას.

■ „რუსთავი 2“-ის სიუჟეტში ითქვა, რომ პროგრესის თვალსაზრისით საქართველოს ჩამორჩება თურქეთი, ჩეხეთი, რუმინეთი და სამხრეთ კორეა. რთული გასაგებია, რა პრინციპით შედგა ეს სია, რადგან CPI-ის ჩამონათვალში თურქეთი საქართველოზე წინ არის, ხოლო ქულების მატების დინამიკით საქართველო არა მხოლოდ თურქეთს, არამედ ბევრ სხვა ქვეყანას უსწრებს.

■ „რუსთავი 2“-ის სიუჟეტში ასევე აღინიშნა, რომ CPI-ის დადგენისას „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ შემდეგი კრიტერიუმებით სარგებლობს: ბიუროკრატის დონე, ბიზნესის კეთების სიმარტივე და სახელმწიფო სტრუქტურებში კორუფციასთან ბრძოლა. რეალურად კი, CPI მხოლოდ საჯარო სამსახურში არსებულ კორუფციასა და ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს აფასებს და ბიზნესის სფეროში არსებულ პრობლემებს არ ეხება.

■ რაც შეეხება ორივე სიუჟეტში გაკეთებულ კომენტარს იმასთან დაკავშირებით, რომ კორუფციასთან ბრძოლის დინამიკით საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა („იმედი“) და რომ მან ყველაზე დიდი პროგრესი განიცადა („რუსთავი 2“),

საქართველოში 2003 წლიდან მოყოლებული მართლაც არის წინსვლის დინამიკა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სიაში პირველ ათეულში გასულ ქვეყნებს გაცილებით მაღალი, მაქსიმალურთან მიხედვითი ქულები აქვთ და წინა წლებშიც ძალიან მაღალი ქულები ჰქონდათ, ისინი ქულების მატების ტემპითა და სიდიდით საქართველოს უზარაოდ ვერ გაასწრებდნენ. 2008 წლის მდგომარეობით საქართველოზე წინ CPI-ში 66 ქვეყანა იყო, მათ შორის, კუბა (65-ე ადგილი), თურქეთი (58-ე ადგილი), პოლონეთი (58-ე ადგილი), კუვეიტი (65-ე ადგილი) და უნგრეთი (47-ე ადგილი). განა და ელ სალვადორი იგივე ადგილზე გავიდა, რომელზეც საქართველო (67-ე), სომხეთი – 109-ზე, ხოლო აზერბაიჯანი – 158-ზე. სისის მიხედვით ყველაზე კორუმპირებული სომალაია (180-ე ადგილზე), ხოლო ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული – ახალი ზელანდია, დანია და შვედეთი.

■ ასევე, გასათვალისწინებელია, რომ „კორუფციის აღქმის ინდექსი“ ანალიზის დროს ყურადღების გამახვილება რეკომენდებული არა იმაზე, თუ რამდენი პუნქტით გადაინაცვლებს ქვეყანა სიაში, არამედ იმაზე, თუ როგორია მისი ქულა. საქართველოს ქულა 2008 წელს 3.9 იყო (შესაძლო საუკეთესო შედეგი არის 10 ქულა). პუნქტებზე აქცენტი იმ მიზეზით არ კეთდება, რომ წლიდან წლამდე CPI-ში შესული ქვეყნების ჩამონათვალი იცვლება, რაც, ბუნებრივია, ამ ჩამონათვალში ცალკეული ქვეყნების ადგილზეც ახდენს გავლენას. შესაბამისად, CPI-ის სიაში ქვეყნის ადგილის ცვლილება შესაძლოა გამოწვეული იყოს არა ამ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებით ან გაუარესებით, არამედ სიაში უფრო ნაკლებად ან მეტად კორუმპირებული ქვეყნების დამატებით.

ბოლოს გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ 28 ოქტომბერს გასულ სიუჟეტებში საუბარი იყო „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ 2008 წლის კვლევის შესახებ. ეს კვლევა გასულ წელს გამოქვეყნდა და 2008 წლისთვის არსებულ მდგომარეობას ასახავდა. ახალი, 2009 წლის კვლევა ნოემბერში გამოქვეყნდება და მის შედეგებს დამატებით გაგაცნობთ.

(იბეჭედა მცირედი შემოკლებით)
www.transparency.ge



ანა დოლოძე
იურისტი

2007 წლის 7 ნოემბრის შეფასება ორგანოდ შეიძლება: ერთი მხრივ, ხელისუფლების ძალადობამ ქვეყანა დემოკრატიზაციის მიზანს ყველა მარჯვენა მხარეს დააშორა. მეორე მხრივ, ხელისუფლებას გამოუმუშავა იძულებითი შემწყნარებლობა პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის მსგავსი ფორმების მიმართ.

დემოკრატიზაციის თეორიაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ნაშრომის, რობერტ დალის „პოლიარქიის“ მიხედვით, სახელმწიფო დემოკრატიული განვითარების ეტაპზე რამდენიმე საფეხურს გადის. საწყისი საფეხურია დახურული ჰეგემონია, ხოლო უმაღლესი განვითარების ეტაპი, რომელზეც დღეს დასავლეთ ევროპის და ჩრდილო ამერიკის ქვეყნები იმყოფებიან, პოლიარქიაა. განვითარების მოცემულ ეტაპზე საქართველოში დემოკრატიის ხარისხი ამ ორ უკიდურეს ეტაპს შორის გადაადგილდება.

2007 წლის 7 ნოემბრის საჯარო, მშვიდობიანი მანიფესტაციის ძალისმიერად დაშლის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო კიდევ უფრო დაშორდა დემოკრატიული განვითარების მიზანს: უშუალოდ 7 ნოემბერს და მომდევნო პერიოდში განხორციელებული ძალადობის შედეგად საქართველოს მოქალაქეებს შეეზღუდათ და შეეზღუდათ ყველა ის უფლება, რაც საზოგადოებაში ღია შეჯიბრებითობის პრინციპს უკავშირდება. საქართველოს დემოკრატიულობის ხარისხი დაზარალდა და იგი დახურულ ჰეგემონიას დაუახლოვდა.

ამას ადასტურებენ დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციებიც. Freedom House-ის 2008 წლის მოხსენების მიხედვით: „საქართველოში პოლიტიკური უფლებების შეფასება გაუარესდა 3-დან 4 ქულამდე პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ 7 ნოემბერს საგანგებო მდგომარეობის შემდეგ დაწესებული შეზღუდვების გამო, ხოლო სამოქალაქო თავისუფლებათა შეფასება გაუარესდა 3-დან 4-მდე, ნოემბრის პროტესტების შემდეგ მედიის შევიწროებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამო“.

საერთაშორისო ორგანიზაციის Reporters without Borders-ის ყოველწლიური ანგარიშის თანახმად, საქართველო გამოხატვის თავისუფლების ხარისხის მიხედვით 81-ე საფეხურიდან 120-ე ადგილამდე დაქვეითდა, სწორედ 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ განხორციელებული შეზღუდვების გამო.

ჟურნალ Economist-ის დემოკრატიის ინდექსის მიხედვით დსთ-ს ქვეყნებს შორის დემოკრატიის ხარისხის ყველაზე მნიშვნელოვანი ვარდნა განიცადეს საქართველომ და რუსეთმა; ჟურნალის მიხედვით, „2007 წლის 7 ნოემბერს ოპოზიციის დარბევა და შემდგომი ცხრაღლიანი საგანგებო მდგომარეობა მაგალითია ვარდების რევოლუციის შემდეგ დემოკრატიზაციისაკენ პროგრესის შეჩერებისა“. ამრიგად, საერთაშორისო კონსენსუსია შექმნილი იმ საკითხზე, რომ 7 ნოემბერს და მის შემდგომ, სახელმწიფო ძალადობის გამო, საქართველო კიდევ უფრო დაშორდა დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის მიზანს.

მეორე მხრივ, საერთაშორისო საზოგადოებაში მოსაზრებები ნაკლებად არის შეჯერებული 7 ნოემბრის მოვლენების გრძელვადიანი შედეგების შეფასებისას. რამდენად შეგვიძლია 2007 წლის ნოემბრის გამოცდილებას მივანეროთ ის ფაქტი, რომ 2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციების დროს



დემოკრატია 7 6

ხელისუფლებას იმავე მასშტაბით ძალა აღარ გამოუყენებია? მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეების ინდივიდუალური დამინების, მუქარის და ცემის, ან თუნდაც სპეცსამსახურების მიერ ჯგუფური თავდასხმების ინციდენტები მაინც იყო, თვეების განმავლობაში ფართომასშტაბიანი გამოსვლების საპასუხოდ ხელისუფლება აქციებში 7 ნოემბრის მსგავსად აღარ ჩარეულა.

რობერტ დალის აქსიომის ერთ-ერთი თეზის მიხედვით, ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციის მიმართ შემწყნარებლობის ალბათობა იზრდება ოპოზიციის შეზღუდვის/რეპრესიის სავარაუდო ფასის გაზრდის პარალელურად. ანუ რაც უფრო დაისჯება ხელისუფლება რეპრესიების სანაცვლოდ, მით უფრო დემოკრატიული გახდება იგი.

7 ნოემბრის დარბევა და მომდევნო რეპრესიები ხელისუფლებას საკმაოდ ძვირი დაუჯდა. საერთაშორისო ასპარეზზე რეპუტაციის შელახვა და დემოკრატიული მმართველობისაკენ მისწრაფების იმიჯის გაქარწყლება საქართველოს ხელისუფლებაზე განსაკუთრებით ძლიერად მოქმედებს, რადგან იგი უცხოურ ეკონომიკურ ჩარევებზე (მათ შორის დახმარებაზე) და შესაბამის კეთილგანწყობაზე მნიშვნელოვნად დამოკიდებული რეჟიმია.

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, დასავლეთის ასეთმა მწვავე რეაქციამ აიძულა სააკაშვილის ხელისუფლება, უარი ეთქვა სახელმწიფო ტერორის დიდ მასშტაბზე და შეემცირებინა იგი. შესაბამისად, დემოკრატიზაციის აქსიომის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რადგან ხელისუფლებას 7 ნოემბრის ტიპის ჩარევა განსაკუთრებით ძვირი დაუჯდა, იმის ალბათობა, რომ ასეთივე ჩარევა გაიმეოროს, ნაკლებია. რეპრესიებისაგან გამოთავისუფლებულ ადგილას კი პოლიტიკური შეჯიბრისა და მონაწილეობისათვის ჩნდება ადგილი, რომლის მიმართ ხელისუფლებას იძულებითი შემწყნარებლობა განუვითარდა. ■



აქციის დარბევა, თბილისი, 7 ნოემბერი 2007

ნოემბრის შედეგები



ეკა კვესიტაძე
ჟურნალისტი

7 ნოემბრის, როგორც „ქართველი ხალხის წინააღმდეგ ხელის აღმართვის“ დღე, ლამის ქართული პოლიტიკის დოგმად იქცა. ის ხელშეუხებელია და ისე უნდა აღიქვას, როგორც ამას მეინსტრიმულ-პოპულარული შეფასება ითხოვს – მაქსიმალურად დაგმო ხელისუფლება და უკრიტიკოდ მიიღო დემონსტრანტების თავგანწირვა. კონიუნქტურა იმის თქმასაც მოითხოვს, რომ ნოემბერში ქართველი ხალხი თავისუფლების, დემოკრატიის და, რა თქმა უნდა, საკუთარი ღირსების დასაცავად ამბოხდა.

არც ერთ ამ პოპულარულ მოსაზრებას არ ვეთანხმები, მიუხედავად იმისა, რომ კარგად მესმის საკუთარი პოზიციის არაპოპულარობის ფასი.

პირადად ვიცნობ იმ ადამიანებს, რომლებიც ნოემბრის აქციებში მონაწილეობით ხელისუფლებისგან მეტ დემოკრატიას და სამართლიანობას ითხოვდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს აქციები ჩემთვის კონტრრევოლუციის მცდელობა უფრო მეტად იყო, ვიდრე დემოკრატიისთვის ბრძოლა – რადგან არანაირი საფუძველი არ მექვს იმ ადამიანების დემოკრატიისათვის თავდადების სინრფეულ დავიჯერო, რომელთა უკმაყოფილება სხვადასხვა მიზეზმა წარმოშვა – მათ შორის სოციალურ-კასტური პრივილეგიების დაკარგვამ, რეფორმებისგან მიღებულმა ზარალმა თუ კონსპირაციული იდეებით შთაგონებამ, რომ ხელისუფლება დასავლეთის (თუ სოროსის) დაკვეთით ანტიინაციონალურ პოლიტიკას ატარებს და ქართულ ტრადიციებს, ქართულ სულსა და მართლმადიდებლობას ებრძვის.

ლეგიტიმური საფუძველი მექვს, იმ ოპოზიციონერთა დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულებაში შევიტანო ეჭვი, რომლებიც მაშინდებიან მესხებს სისხლისმსმელებს ეძახდნენ და არასოდეს დაუცავთ არც ერთი ეთნიკურად არაქართველის თუ არამართლმადიდებლის უფლება,

რომ აღარაფერი ვთქვათ – განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებზე; რომლებიც თავიანთ მთავარ მისიას „ქართული ტრადიციების“ მასონური თავდასხმისგან დაცვაში ხედავენ და არასოდეს დაუცავთ ლიბერალური დემოკრატიის არც ერთ ძირეული პრინციპი, თუ ეს მათ პოლიტიკურ ინტერესებთან თანხვედრაში არ მოდის.

ამიტომ, ნოემბრის აქციები მაშინაც და დღესაც განსხვავებული ინტერესთა ჯგუფების ბრძოლად მიმაჩნდა, რომლებიც მხოლოდ თავიანთი კონკრეტული (განსხვავებული) ინტერესების დასაკმაყოფილებლად იბრძოდნენ და არა ლიბერალური დემოკრატიის განსყენებული იდეებისთვის.

რაც შეეხება კონკრეტულად 7 ნოემბერს, ხელისუფლებისაგან ვერასოდეს მივიღე დამაკმაყოფილებელი პასუხი, რატომ იყო აუცილებელი იმ დღის ადრიან დღით 500-მდე მშვიდობიანი მომიტინგის დაშლა – არგუმენტი, რომ მათ ჰქონდათ ინფორმაცია სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების შესახებ, პიპოთეტურია და დამაჯერებლობა აკლია. რაც შეეხება შემდგომ ქმედებებს, ისინი აუცილებლობით იყო ნაკარნახევი – შენარჩუნებულო (შემდგარიყო) სახელმწიფო.

ამ დღეს ქართული პოლიტიკური პარადიგმა დაინგრა – ქუჩის აქციებით ხელისუფლება ვეღარ შეიცვალა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ სახელმწიფო შედგა. სახელმწიფომ გაიმყარა მონოპოლია ძალადობაზე, როგორც ამ ძალადობის ერთადერთმა ლეგიტიმურმა განმასხორციელებელმა.

ერთადერთი საკითხი, რომელზეც 7 ნოემბრის შეფასებისას ყველა ვთანხმდებით, არის ის, რომ სამართალდამცავებმა იმ დღეს თავის უფლებამოსილებას გადააჭარბეს, ძალის არათანაზომადმა გამოყენებამ პიკ ტელეკომპანია „იმედის“ დარბევის დროს მიაღწია.

რატომ არ მოხდა ამ სამართალდარღვევების გამოძიება და დამნაშავეების დასჯა, რატომ არ აგეს პასუხი იმ სამოქალაქო პირებმა, რომლებიც ვანდალურად დაესხნენ თავს სამართალდამცავებს, ან რატომ არ გასამართლდნენ ის პოლიტიკური პირები, რომლებსაც რუსეთის აგენტობა ბრალდებოდათ? ამ კითხვებზე პასუხი ხელისუფლების მხრიდან ერთია – ასეთი იყო პოლიტიკური შეთანხმება ანუ პოლიტიკური მიზანშეწონილობა სამართლის აღსრულებაზე მალა დადგა. ხელისუფლება მოერიდა დამნაშავე სამართალდამცავების დასჯას, რადგან მათი ლოიალობის დაკარგვის შეეშინდა; პოლიტიკური არეულობის მოლოდინმა კი უარი ათქმევინა მოძალადე დემონსტრანტების თუ აგენტობაში დადანაშაულებული პოლიტიკოსების გასამართლებაზე.

7 ნოემბერმა თავის თავში დარწმუნებული, აროგანტული და ხისტი ხელისუფლება შეცვალა, მაგრამ იყო თუ არა ეს ცვლილებები დემოკრატიისთვის სასარგებლო? შედეგები ამაზე არ მიუთითებს. ხელისუფლება იმ უარი თქვა რეფორმების გაგრძელებაზე და პოპულისტური ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. (ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯი მასწავლებლებისთვის სერტიფიცირების შეჩერება იყო). ცვლილებები დაეტყო პრივილეგირებულ ფენებთან ხელისუფლების დამოკიდებულებასაც, რაც სიმბოლურად ახალ წელს „ინტელიგენციისთვის“ ინდაურებით დამშვენებული ხონჩების მირთმევაში გამოიხატა. მაგრამ, სააკაშვილის ინდაურებმა შევარდნაძის გოჭები ვერ დაჩრდილა და (ცუდად) მოთაფლული ინტელიგენცია აბრღილი იხეო ოპოზიციის ავანგარდში დადგა. და, რაც მთავარია, ოპოზიციისგან შექმნილ კლიშეს, რომ „საკაშვილის გუნდი ეკლესიებს ანგრევს და მართლმადიდებლობას ებრძვის“ – ხელისუფლება ისე მონდომებით ანგრევს, რომ ეკლესიამ პოლიტიკურ პროცესებზე და თავად ხელისუფლებაზე უპრეცედენტო გავლენა მოიპოვა. ასეთი გავლენის საუკეთესო მაგალითი რამდენიმე დღის წინ პატრიარქის ღირსების შურაყცემყოფელი კლიშების ავტორთა სრულიად უკანონო დაკავება და დაკითხვა იყო.

ასე რომ, 7 ნოემბერი ნამდვილად გახდა ბიძგი ცვლილებებისათვის, მაგრამ ეს ცვლილებები ლიბერალური დემოკრატიისთვის მხოლოდ საზიანო აღმოჩნდა, რადგან ლიბერალური დემოკრატიის იდეები არც ყოფილა ნოემბრის აქციების შთაგონების წყარო. **□**



ფოტო: თინათინ ბაქრაძე/საქართველო

„ჰელოუინის“ კარნავალის მონაწილეები, თბილისი, 31 ოქტომბერი 2009

ფოკუსი – ადამიანის უფლებები

საკრძალული „ჰელოუინი“

ნელს „ჰელოუინი“ მოკრძალებულად და მხოლოდ დახურულ კლუბებში აღინიშნა. აქვთ თუ არა ქართველ ახალგაზრდებს უფლება და გამბედაობა, გაერთონ ისე, როგორც უნდათ?

ნინო გოგუა

„ჰელოუინის“ წინააღმდეგ მიმართული კამპანია, ნელს 26 ოქტომბერს საპატრიარქოს განცხადებით დაიწყო. 31 ოქტომბრის დილას კი სიონის ტაძარში სასულიერო პირებმა კიდევ ერთხელ მოუწოდეს მრევლს, „არ გამხდარიყვნენ უცხოური მოდის ბრმა თაყვანისმცემლები“. საპატრიარქოს განცხადებას მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის (მმკ) აქციები მოჰყვა, მათ „ჰელოუინის“ წინააღმდეგ ბუკლეტები საჯარო სკოლებსა და ქუჩებში დაარიგეს. მმკ-ს და საპატრიარქოს ტექსტები ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. წერდნენ დღესასწაულის კერპთაყვანისმცემლურ

და დემონურ წარმომავლობაზე და იმასაც აღნიშნავდნენ, რომ მსოფლიოს ქრისტიანული ეკლესიები „ჰელოუინს“ გამობენ. საპატრიარქო, ერთი მხრივ, არ იღებს პასუხისმგებლობას მმკ-ს მოქმედებებზე. მაგრამ ამავე დროს ეკლესია არც კავშირის წევრთა აგრესიულობას აკრიტიკებს. არც 2008 წლის 31 ოქტომბერს ერეკლე II-ს ქუჩაზე „ჰელოუინის“ მონაწილეების დარბევის ფაქტზე გაუკეთებია რაიმე განცხადება. შარშან გამართული „ჰელოუინის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი, ნინი დედამაშვილი იხსენებს, როგორ დაიწყეს

მღვდლებმა და მმკ-ს წევრებმა ხალხის ცემა და აპარატურის მტვრევა. ნინი დედამაშვილმა მაშინ იმხელა სტრესი მიიღო, რომ სასამართლოში ჩივილზე აღარ უფიქრია. მმკ-ს წევრი მამა ბასილი იერშალაშვილი თვლის, რომ შარშან, სიონის ეკლესიის პირდაპირი შეურაცხყოფის და მიზანმიმართული ნაბიღწვის გამო, მართალია, ჩხუბი კი მოხდა, მაგრამ არავინ დაურბევიათ. მმკ-ს ერთი წევრი კი ამბობს, რომ დღესასწაულის მონაწილენი ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყვნენ, ორგია მიდიოდა და ერთმანეთში იჩხუბეს.



მმკ-ს აქტივისტები ბაზის რიგში, თბილისი, 31 ოქტომბერი 2009

ფოტო: ილია ბაქრაძე

საც ვინაობის გამხელა არ სურს, რადგან მის მიერ დაქირავებული კლუბის მეპატრონე რელიგიურ წრეებთან დაახლოებული პირია, განგვიმარტა, რომ „თავიდან მასშტაბური წვეულების გამართვას ვაპირებდით და შესაბამისადაც ვემზადებოდით. ვიქირავეთ კლუბიც, მაგრამ ერთ დღეს კლუბის მეპატრონეებთან მივიდა დიდი შავი ჯიპი, საიდანაც ოთხი შავებში ჩაცმული ადამიანი გადმოვიდა და დაემუქრა, თუ „ჰელოუინთან“ დაკავშირებით რამეს გააკეთებთ, თქვენი, ორგანიზატორების და სტუმრების უსაფრთხოებას საშიშროება დაემუქრებაო. ამის შემდეგ კლუბის მფლობელმა მოგვთხოვა, წვეულების ფორმატი შეგვეცვალა. ფაქტობრივად, ეს იყო პირდაპირი ზენოლა“.

შარდენის ქუჩის კლუბებში, მართალია, არ იყო ჰელოუინის დეკორაციები და ატრიბუტიკა, მაგრამ კოსტუმირებული წვეულებები გამართეს. გრიმით მისულ ახალგაზრდებს ქუჩაში მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წარმომადგენლები ხვდებოდნენ და მოუწოდებდნენ, სასწრაფოდ სახლში დაბრუნებულიყვნენ. „შენმა მშობლებმა იციან, აქ რომ ხარ?“ „მაგათ რომ ეშმაკს ემსახურები, იცი?“ – ეკითხებოდნენ შავებში ჩაცმული მმკ-ს წევრები თითქმის ყველას. „როცა ჩემთვის ვერთობი ისე, რომ არავის არაფერს ვუშავებ, რატომ უნდა წავიდე სახლში?“ – გვითხრა სალამოს ერთ-ერთმა მონაწილემ. ოცდაათამდე შავებში ჩაცმული ზრდასრული მამაკაცი ლამის 3 საათამდე დარჩა შარდენის ქუჩაზე. მათთან ცოტა ხნით გაჩერდა დიდი შავი ჯიპიც. ამიტომაც, შარდენის ქუჩაზე დაძაბულობა იგრძნობოდა. კლუბების შესასვლელელებთან გაძლიერებული, მინიმუმ სამკაცრიანი დაცვა იდგა. ქუჩის პერიმეტრზე მობილიზებული იყო პატრული, რომელმაც შარშან კარნავალის მონაწილეების უსაფრთხოების დაცვა ვერ მოახერხა.

წლებანდელმა „ჰელოუინმა“ დარბევის და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების გარეშე ჩაიარა, თუმცა – მოკრძალებულად. მოზიემთა რიცხვი შარშანდელზე გაცილებით ნაკლები იყო. ბევრმა ახალგაზრდამ, ვინც შარშან ერეკლე II-ს ქუჩაზე ერთობოდა, წელს სახლში დარჩენა ამჯობინა, საკუთარი უსაფრთხოების თუ, უბრალოდ, დღესასწაულის მშვიდად აღნიშვნის მოტივით. მათ „ჯეკის ფარნები“ – გოგრები, მმკ-ს წევრებისგან შორს, საკუთარ სახლებში გამოჭრეს. □

ამ ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა პროკურატურას მიმართა, რადგან დაირღვა კანონი „შეკრებისა და მანიფესტაციის“ შესახებ, პოლიციელებმა კი, რომლებიც იქვე იყვნენ, ახალგაზრდების დახმარება ვერ გაბედეს. სახალხო დამცველი მმკ-ს წინააღმდეგ საქმის აღძვრას მოითხოვდა, მაგრამ მისი რეკომენდაცია საგამოძიებო ორგანოებმა არ გაითვალისწინეს და ინციდენტისთვის არავინ დასჯილა. კარნავალის დარბევა არც რომელიმე ნაციონალურ არხს არ გაუშუქებია.

წელს მმკ-მ სტრატეგია შეცვალა – უფრო აქტიურად, მაგრამ ჩხუბისა და აყალმაყალის გარეშე წარმართა „ჰელოუინის“ საწინააღმდეგო კამპანია. მმკ-ს წევრებმა საჯარო სკოლებში ბუკლეტები მშობლებსაც დაურიგეს და სკოლის მცირეწლოვან მოსწავლეებსაც. მათ სკოლების ადმინისტრაციას შენობაში შესვლა და ლექციის ჩატარების ნებართვაც მოსთხოვეს. 49-ე სკოლის ადმინისტრაციამ რელიგიის გავრცელების საჭიროდ არ ჩათვალა. თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, რამდენიმე სკოლაში მმკ-ს წევრები შეუშვეს, რაც „ზოგადი განათლების შესახებ კანონის“ უხეში დარღვევაა.

31 ოქტომბერს მმკ-ს წევრები, სასულიერო პირები „მაკდონალდსში“

მივიდნენ და მომსახურე პერსონალს სთხოვეს, „ჰელოუინის“ ატრიბუტები ჩამოეხსნათ. მეგი ყიფშიძე, რომლის შვილებიც ამ დროს რესტორანში საკარნავალოდ გამოწყობილები მივიდნენ, ჰყვება, რომ მღვდლებმა უხეშად მიმართეს ბავშვებს და მოსთხოვეს, ნიღბები მოეხსნათ. ბავშვების შეპასუხების შემდეგ კი ხმამაღალი და აგრესიული ლაპარაკი დაიწყო. მომსახურე პერსონალმა, სიტუაციის განმუხტვის მიზნით, ბავშვები დააწყნარა და გოგრები აიღო. „მაკდონალდსში“ აღმასრულებელი დირექტორი, თენგიზ კაპანაძე ამ ამბავს სხვანაირად ჰყვება. მისი თქმით, მღვდლები რესტორანში მართლაც მივიდნენ, მაგრამ დაძაბულობა არ ყოფილა. „ჰელოუინის“ დეკორაციებიც ჩვეულებისამებრ, სალამოს 8 საათისთვის აიღეს.

წელს სიფრთხილე ბარების მეპატრონეებმაც გამოიჩინეს. ორგანიზატორებმა კერძოდ დაცვა დაიქირავეს. კლუბ „ვაკანდას“ ადმინისტრაციამ სწორედ საპატრიარქოს მიერ გაკეთებული განცხადებების და გაფრთხილებების გამო გადაწყვიტა, კლუბის მომზადებისას მცირე დეკორაციებს დასჯერებოდა. ბევრგან კი „ჰელოუინის“ ყველანაირ ატრიბუტზე თქვეს უარი. კარნავალის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, რომელ-



პოლიტიკური სამართალი

„მამა ბუასილის“ საქმე

„უხამსი ვიდეორგოლების დამზადება-გავრცელებისთვის“ ორი ახალგაზრდის დაკითხვის პროცესმა პოლიციისა და პროკურატურის მთელი რიგი პრობლემები გააშიშვლა. სამართალდამცავი სისტემა კვლავ პოლიტიკურ პროცესებთან კავშირში რჩება.

ანიტა თვაური

1 ნოემბერს შსს-მ და იუსტიციის სამინისტრომ გაავრცელეს ერთობლივი განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის „შეურაცხმყოფელი და უხამსი ვიდეორგოლების დამზადებასა და მის გავრცელებაში მონაწილე“ ორი პირი იპოვეს და ნივთმტკიცებულებებიც ამოიღეს. სამართალდამცავებს არ უთქვამთ, „მამა ბუასილის“ ნიკით ცნობილმა ინტერნეტ მომხმარებელმა პატრიარქის გამარჯვებით კონკრეტულად რა დააშავა. პროკურატურა დანაშაულის კვალიფიკაციას მალავს. 2 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ოფიციალურად მიმართა იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, განმარტონ სისხლის სამართლის კო-

დექსის რომელი მუხლის საფუძველზე დაიწყო წინასწარი გამოძიება, ჯერჯერობით – უშედეგოდ. პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ხათუნა იოსავა ამბობს, რომ თავადაც არ იცის, კონკრეტულად რომელი მუხლის საფუძველზე დაიწყო გამოძიება და თვლის, რომ „საქმის აღძვრის მთავარი მოტივი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი გახდა“. „ლიბერალი“ არაერთ იურისტს დაუკავშირდა. მათი პასუხი ცალსახაა – საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს მუხლი, რომელიც ამ შემთხვევაში რელევანტური იქნებოდა. საია-ს იურისტის, თამარ გურჩიანის თქმით კი, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შე-

სახებ საერთაშორისო ნორმები იცავს ამ ადამიანს, რომელმაც საკუთარი აზრი აუდიოვიზუალური საშუალებით გამოხატა“. დაკავებულები წინასწარ პატიმრობაში არ დარჩენილან. ერთ-ერთი მათგანი 16 წლის სკოლის მოსწავლეა. მან ჟურნალისტებთან საუბარი არ ისურვა, მხოლოდ ეს გვითხრა, – ვიდეორგოლები მე არ დამიმზადებია, 8 საათი ვამტკიცებდი ჩემს უდანაშაულობას და არ მინდა ეგ ჯოჯოხეთი კიდე გავიარო. უცნობია, მისი დაკითხვის დროს რამდენად იყო დაცული ის ნორმები, რასაც კანონმდებლობა სამართალდამცავებს არასრულწლოვანთან მიმართებაში ავალდებულებს. სკოლის მოსწავლე აუცილებლად დღისით უნდა დაეკითხათ,

თანაც ადვოკატის, მშობლის, ან მასწავლებლის თანდასწრებით.

მეორე კი - 21 წლის გიორგი თავისი დაკითხვის დეტალებს ჰყვება. 31 ოქტომბრის საღამოს ჰელოფონზე ნასასვლელად გამზადებული გიორგი, კარნავალის ნაცვლად, ძველი თბილისის რაიონულ პროკურატურაში, დაკითხვაზე აღმოჩნდა. სამართალდამცავებმა სახლიდან ისე წაიყვანეს, არ აუხსნიათ, სად და რატომ მიჰყავდათ. ასე უთხრეს, - ოჯახის წევრების წინაშე რომ გითხრათ, შეგრცხვებაო. გიორგის მამაც თან გაჰყვა. „პირველად, მგონი, პროკურორთან მიმიყვანეს. რელიგიური აღმსარებლობის შესახებ მკითხა. როცა ვუთხარი, რომ პატრიარქი ჩემი სწავლის ნახევარს აფინანსებს, მკითხა, - არ გრცხვენიაო?“ ამის შემდეგ გიორგი გამომძიებელთან ჩაიყვანეს. გზაში უხამსი სიტყვებით მიმართავდნენ და ამინებდნენ: არ იცი, რა შარში გაეხვიე და რა გელისო! ერთ-ერთმა პოლიციელმა გიორგის კისერზე ჩამოკიდებული ყურსასმენები ჩამოწყვიტა. დაკითხვა გამომძიებელმაც გიორგის რელიგიური შეხედულებების გარკვევით დაინყო, „ღმერთი გნამს? სატანისტი ხარ? რომელიმე სექტას მიეკუთვნები?“ დაკავებულს რომ უფლება ჰქონდა, ამ კითხვებზე არ ეპასუხა, არ უცნობებიათ. დაკითხვაზე არც ადვოკატი შეუშვეს, რაც პროცედურის უხეში დარღვევაა. სამართალდამცავები მართო გიორგის აღმსარებლობის გარკვევას არ დასჯდნენ, მამამისს, რომელიც შვილს დაკითხვის მთელი პროცესის განმავლობაში ელოდებოდა, პოლიციელებმა ოჯახის ყველა წევრის რელიგიური მრწამსის შესახებ გამოჰკითხეს. გამომძიებელს ამ საკითხით დაინტერესება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუ რწმენა პირდაპირ კავშირში იქნებოდა გამოძიების საგანთან. ეს საგანი კი სასულიერო პირზე ვირტუალურ სივრცეში გავრცელებული შარჟის დამზადება იყო და არა რელიგიური მოტივით ჩადენილი დანაშაული.

გიორგის დაკავების მიზეზი დაკითხვაზე გაუმხილეს და უთხრეს, რომ, არასრულწლოვანის ჩვენების საფუძველზე, ეჭვმიტანილი იყო პატრიარქის შეურაცხმყოფელი ვიდეორგოლების დამზადებაში. მათ ერთმანეთი ვირტუალურ სივრცეში დაახლოებით 2 წლის წინ გაიცნეს და ქუჩაშიც რამდენჯერმე შეხვდნენ. გიორგისთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, როდესაც არასრულწლოვანს იქვე, დაკითხვაზე

დააპირისპირეს. „თავჩაქინდრული შემოიყვანეს და წინ დამისვლეს, ერთ-ერთმა მინოლით უთხრა, - თქვიო! იმანაც მითხრა: შენ სამი თვის წინ პატრიარქის ფოტოები გამომართვიო. მე ვუპასუხე, რომ ტყუოდა, მგონი, დაამინეს“, - ჰყვება გიორგი. ესეც კანონმდებლობის უხეში დარღვევაა, რადგან ეჭვმიტანილების დაპირისპირების შესახებ მუხლი, დიდი ხანია, ამოიღეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან.

სანამ გიორგი პროკურატურაში დაკითხვაზე ჰყავდათ, სამართალდამცავებმა მისი სახლი გაჩხრიკეს და ორი კომპიუტერი და ციფრული ფოტოაპარატი წაიღეს. როცა გიორგის დედამ მოითხოვა, ჩხრეკის ორდერი ეჩვენებინათ, უპასუხეს, - ქალბატონო, ეგ მართო ფილმებში ხდება, სინამდვილეში არაფერსაც არ ვიძლევი, არაა საჭიროო. საბოლოოდ, გიორგის მონმის სტატუსით შეადგენინეს ოქმი და ლამის 11 საათზე შინ გაუშვეს.

შშს-ს და პროკურატურის ერთობლივ განცხადებაში საუბარია იმაზეც, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით დაკითხა თუა თუთბერიძე. ის მართლაც აცხადებს, რომ პროკურატურაში დაიბარეს, „მამა ბუასილის“ შესახებაც გამოჰკითხეს, მაგრამ ეგონა, რომ სამართალდამცავებს მუქარის ავტორების ვინაობის დადგენა სურდათ (ის დღემდე იღებს მუქარის წერილებს). დაკითხვის ნამდვილი მიზეზი თუა თუთბერიძემ პოსტ ფაქტუმ, განცხადების გამოქვეყნების შემდეგ გაიგო.

თუკი შეიძლება გამოძიება ასეთი დარღვევებით წარიმართოს და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიზეზი მხოლოდ საზოგადოების ინტერესი გახდეს, მაშინ ქართველ სამართალდამცავებს თავისუფლად შეუძლიათ საქმე ყველა იმ პირის წინააღმდეგაც აღძვრან, ვინც საზოგადოებას ააღუფლებს ან გააღიზიანებს. ვიდეორგოლის ეთიკურობა-არაეთიკურობა მხოლოდ საზოგადოებრივი განსჯის ან ბოლოს და ბოლოს სამოქალაქო დავის საგანი შეიძლება გახდეს. ამკარაა, რომ გამოძიების დაწყების მოტივი სწორედ პოლიტიკური დაკვეთაა. მმართველ პოლიტიკურ ძალას სურს, რომ სამედიცინო-როგორმე განეიტრალოს ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირების შესახებ დიდი ხნის წინ დაწყებული მიუქმა-მოთქმა, რაც თუა თუთბერიძის მიერ ვიდეორგოლების გამოქვეყნებამ კიდევ უფრო გაამძაფრა. **■**

მიმართვა მინისტრებს



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, საქართველოს იუსტიციის მინისტრს

2009 წლის 1 ნოემბერს, საქართველოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა ვებგვერდებზე გაავრცელეს ინფორმაცია, რომ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის შეურაცხმყოფელი და უხამსი ვიდეო რგოლების დამზადებისა და ინტერნეტით გავრცელების ფაქტზე საქართველოს პროკურატურასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება, გამოძიების მსვლელობისას დაკითხა რამდენიმე პირი და ამოღებულ იქნა ფაქტობრივი მტკიცებულებები.

შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების აღნიშნული ქმედებების გამო გამოვთქვამთ შემოფოთებასა და პროტესტს, ვინაიდან სამართალდამცველების მოქმედება წარმოადგენს სიტყვის, გამოხატვისა და ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლებაში უკანონო ჩარევას, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციისა და ალამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების პრინციპებს.

ამასთან დაკავშირებით მოვითხოვთ, საქართველოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებმა შეწყვიტონ წინასწარი გამოძიება და განვიმარტონ მათ მიერ ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების სამართლებრივი საფუძველი. **■**

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში სახალხო დამცველის აპარატი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე კომპეტენტურ და ანგარიშგასანევ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა, რომელიც სხვა მრავალ საკითხთან ერთად რელიგიური უფლებების და რელიგიური უმცირესობების თემაზეც აქტიურად მუშაობს. იმ აჟიოტაჟის შემდეგ, რაც ინტერნეტში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის შეურაცხმყოფელი ვიდეოების განთავსებას მოჰყვა, გადაწყვიტეთ, დაახლოებით ერთი და იგივე კითხვები დაგვესვა საქართველოს ყოფილი და ახალი ომბუდსმენებისთვის, სოზარ სუბარისა და გიორგი ტულუშისთვის.

თავისუფალი საზოგადოების რისკები

ინტერვიუ სახალხო დამცველთან,
გიორგი ტულუშთან

ბატონო გიორგი, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი, ხედავთ თუ არა რაიმე პრობლემას თეა თუთბერიძის არჩევანში, შეურაცხმყოფელი ვიდეოების გავრცელებით გამოუხატა საკუთარი დამოკიდებულება პატრიარქის მიმართ?

როდესაც თავისუფალ საზოგადოებას აშენებ და ქვეყანაში აღიარებული სიტყვის თავისუფლება, ყოველთვის არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ ტკივილი თუნდაც უმრავლესობას მიაღგეს და თუ არ მოხდება ჯანსაღი რეაგირება, სიტყვიერი დაპირისპირება ყოველთვის შეიძლება ფიზიკურში გადაიზარდოს. როგორც სახალხო დამცველი, ამ თემაზე პოზიციას ვერ გამოვხატავ, პიროვნულად კი შემოიძლია ვთქვა – კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი პიროვნული შეურაცხყოფისა, არანაირად არ მივესალმები უხამსობას, თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ მსგავსი რამ თავისუფალ საზოგადოებაში ყოველთვის შეიძლება მოხდეს. ასევე წინააღმდეგი ვარ ნებისმიერი მუქარისა, რომელიც შემდეგ შეიძლება ძალადობაშიც გადაიზარდოს. მტკივნეულია რელიგიური უმცირესობებისთვის, როდესაც მათ ან მათ წმინდანებს შეურაცხყოფენ. ასეთ თემებთან თამაში ძალიან საშიშია და ამისგან ყველამ უნდა შეიკავოს თავი. სახალხო დამცველს ძალიან ხშირად უხდება მუშაობა ისეთ საქმეებზე, როდესაც უმცირესობებს



ფოტო: ლევან გიგინეიძე

■ საზოგადოება გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული და მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ, სიტყვის თავისუფლების ფასად, შეიძლება ნებისმიერ ჯგუფს, თვით უმრავლესობასაც კი მიაღგეს ტკივილი.

შეურაცხყოფენ და მათზე ძალადობენ. უმცირესობაც ზუსტად ასევე მტკივნეულად განიცდის ხოლმე, როგორც უმრავლესობა. ეს ძალიან ფაქიზი თემაა და კარგად მესმის საზოგადოების ამ ნაწილის. თუმცა, ამ ტკივილის გამოხატვა ცივილიზებული ფორმებით უნდა ხდებოდეს. რაც მთავარია, არ უნდა მოხდეს ამ კონკრეტული შემთხვევების უტრირება და პოლიტიზირება, რასაც შემდეგ უფრო მეტ დამაბულობამდე მივყავართ. ამგვარ თემებზე ევროპის სასამართლოს უამრავი გადაწყვეტილება არსებობს.

სასამართლო ცდილობს, გაარკვეოს, სად გადის ზღვარი. ამ შემთხვევაში ნამდვილად ჰქონდა უხამსობას ადგილი. ეს კლიპი არ მინახავს, მაგრამ აღწერილობა ვიცი. ვიცი, რომ ეს იყო საკმაოდ უნიჭოდ, უხამსად გაკეთებული კლიპი, რომელსაც შეიძლება მოჰყოლოდა გარკვეული წრეების უკმაყოფილება. თუმცა, ბუნებრივია, ამ კლიპის განთავსებაში დანაშაულის ნიშნებს ვერ ვხედავ.

როგორ აფასებთ საზოგადოების რეაქციას, რომელიც ამ ვიდეორგოლების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას მოჰყვა?

ვთვლი, რომ არ ვარ კომპეტენტური, სრული ანალიზი გავაკეთო ასეთ რთულ თემაზე. ზოგადად ვიტყვი, რომ ამ თემის ბოროტად გამოყენება, მისი პოლიტიზირება, ხელზე დახვევა, მცდელობა, რომ გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე, გააღვივონ შუღლი, სულ ერთია, ერთი ადამიანის

თამაშების მიღმა უნდა იყოს. ზოგადად, საქართველოს ისტორიაში ეკლესიას მნიშვნელოვანი როლი აქვს, კონსტიტუციაშიც არის შესაბამისი ჩანაწერი. რაც შეეხება პოლიტიკურ დატვირთვას, ეს შეფასებები რომ გააკეთო, მაშინ ამის ნიშნები ღიად უნდა ჩანდეს. თუმცა, მე მაინც ვთვლი, რომ ეკლესია ძალიან გავლენიანი და ძლიერია და მას შეუძლია გავლენა მოახდინოს არაერთ მიმართულებაზე. ძალიან მაღალია ნდობა მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ და ამას არაერთი კომპეტენტური კვლევა ადასტურებს.

შეიძლება თუ არა თანამედროვე სახელმწიფოში ეკლესია იყოს ერის ერთიანობის გარანტი? ერის გახლეჩაზე საუბარი იყო პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებაში.

როგორც სახალხო დამცველი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, მაგრამ ეკლესიას ნამდვილად

სიასა და სახელმწიფოს შორის დაიდო, რეალურად, ალბათ ეს ჩანაწერი იმას გულისხმობს, რომ საქართველოს პატრიარქი ხელშეუხებელია სახელმწიფოს მხრიდან. იურისპუდენცია არ იცნობს ამგვარ ტერმინს - "ხელშეუვალი", იქ იმუნიტეტის ცნება არსებობს. მე მაინც მგონია, რომ ფრაზა სახელმწიფოს და ეკლესიას მიწვანავს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებაში ნათქვამია, რომ სახელმწიფო არ დაუშვებს სიტყვის თავისუფლების პრინციპების ბოროტად გამოყენებას. რას ნიშნავს ეს ფრაზა? რა შექაჩვები აქვს სახელმწიფოს "არდასაშვებად"?

თუკი საქმე ცილისწამებას ეხება, კანონმდებლობის მიხედვით, შეიძლება სასამართლოში იჩივლო. თუმცა, ჩვენი კანონმდებლობა საკმაოდ შეზღუდულია ამ კუთხით. როდესაც სახელმწიფოში ამგვარი რამ ხდება და საქმე ეხება ადამიანის უფლებათა კონვენციის მეათე

როდესაც შეურაცხყოფა კონკრეტული პირისადმია მიმართული, შეიძლება იმაზეც ვისაუბროთ, რომ ვილაცამ ცუდად გაიგო სიტყვის თავისუფლების ცნება.

თუ კონკრეტული ჯგუფის მიმართ, ნამდვილად შეცდომაა.

აზრობითი პარტიები ამ ისტორიის უკან ხელისუფლების მიერ ეკლესიის მიზანმიმართული დისკრედიტაციის მცდელობას ხედავენ. არის თუ არა ეს ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც ომბუდსმენის აპარატი მუშაობს?

სიმართლე გითხრათ, პარლამენტში წარდგენილ ანგარიშში ძალიან ხშირად გამოვთქვამ უკმაყოფილებას ხელისუფლების მიმართ, როდესაც მათ რეაგირება არ მოახდინეს მაშინ, როცა უმცირესობების უფლებები ილახებოდა. ჩემი შესაფასებელი არ არის, მაგრამ გარედან სახელმწიფოსა და ეკლესიის დაპირისპირების ნიშნებს ნამდვილად ვერ ვხედავ.


აქვს თუ არა ეკლესიას უფლება, სეკულარულ სახელმწიფოში იყოს პოლიტიკური მოთამაშე? თუ ის ამგვარ როლშია, მაშინ, ბუნებრივია, კრიტიკაც უნდა აიტანოს.

ესეც ძალიან რთული თემაა. რეალურად, იდეალურ შემთხვევაში, ეკლესია ყოველგვარი პოლიტიკური

სერიოზული როლი აკისრია დაძაბული სიტუაციების განსამუხტად. როდესაც რაღაც ინსტიტუტი დიდი ნდობით სარგებლობს, მას ყოველთვის შესწევს უნარი, პოზიტიური როლი ითამაშოს მთელ რიგ მოვლენებში.

რას გულისხმობს საკონსტიტუციო შეთანხმების მე-7 პუნქტი - „საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ხელშეუვალია“? ეს იმას გულისხმობს, რომ კანონი არ ვრცელდება მასზე, თუ იმასაც, რომ, ვთქვათ, მისი კრიტიკა ან გამარჯვება არ შეიძლება?

კონსტიტუციური შეთანხმება განსაზღვრავს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობას და ის ფაქტობრივად ჩვენი კონსტიტუციის ნაწილია. ამ შეთანხმების დიდი ექსპერტი ნამდვილად არ ვარ, თუმცა მახსოვს, როდესაც იგი შემუშავდა, იმ პერიოდში საქართველოს პარლამენტში ვმუშაობდი. ისიც მახსოვს, რომ უმცირესობებიც ჩართულნი იყვნენ ამ შეთანხმების შემუშავებაში. შეთანხმების სუბიექტს საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს და ესაა მართლმადიდებელი ეკლესია. რადგან შეთანხმება ეკლე-

მუხლის, ანუ გამოხატვის თავისუფლების დარღვევას, ევროპის სასამართლოში უამრავი საქმე შედის. არსებობს როგორც ნაგებული, ისე მოგებული საქმეები. ჩვენ რომ ამ საქმეების კონკრეტული ანალიზი დავიწყოთ, ძალიან შორს წავალთ, მაგრამ რელიგიის თემას სასამართლო ძალიან ფრთხილად და პედანტურად უვდება და თვლის, რომ ადგილზე უკეთ იციან, რა მნიშვნელობა აქვს რელიგიური ღირებულებების დაცვას, რა მდგომარეობაა ქვეყნის შიგნით. როდესაც შეურაცხყოფა კონკრეტული პირისადმია მიმართული, შეიძლება, იმაზეც ვისაუბროთ, რომ ვილაცამ ცუდად გაიგო სიტყვის თავისუფლების ცნება. გარკვეულწილად, ალბათ სწორედ ესაა სიტყვის თავისუფლების ბოროტად გამოყენება. ინტერვიუს თავშიც ვახსენე, რომ თავისუფალი საზოგადოება გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული და მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ, სიტყვის თავისუფლების ფასად, შეიძლება ნებისმიერ ჯგუფს, თვით უმრავლესობასაც კი მიადგეს ტყვილი. 

ნინო ბექიშვილი

გამოხატვა შეიძლება შეიზღუდოს

ინტერვიუ სოზარ სუბართან

„ალიანსი საქართველოსთვის“ წევრი, სახალხო დამცველი 2005-2009

ბატონო სოზარ, გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს თუ არა იმას, რომ გავრცელდეს ისეთი მასალაც, რომელიც მოქალაქეების რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფს?

გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური. საქართველოს კონსტიტუციით ცენზურა დაუშვებელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გამოხატვა არ შეიძლება შეიზღუდოს. დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი საფუძველი საზოგადოებრივი, მათ შორის რელიგიური მორალის დაცვაა. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ისე აშშ-ს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა განმარტავს, რომ უხამსობა იზღუდება, რადგან მას შეუძლია ზიანი მიაყენოს როგორც ცალკეულ ინდივიდს, ისე მთელ საზოგადოებას. ამასთან, იმის განსაზღვრაში, თუ რა არის უხამსობა, საზოგადოებრივი მორალი, ევროპული სასამართლო ძალიან ფართო დისკრეციას ანიჭებს მონაწილე სახელმწიფოებს და აცხადებს, რომ რაც არ არის უხამსობა ერთ სახელმწიფოში ან თუნდაც სახელმწიფოს ერთ ნაწილში, შეიძლება იყოს უხამსობა სხვა სახელმწიფოში ან თვით მის რომელიმე ნაწილშიც კი.

აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ პირდაპირ განაცხადა, რომ ის, რაც არ არის უხამსობა ნიუ-იორკში, უხამსობა იქნება სხვა რომელიმე, უფრო კონსერვატიულ შტატში და, შესაბამისად, შეიძლება შეზღუდვასაც დაექვემდებაროს. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, პოტერ სტიუარტის თქმით, შეუძლებელია მკაფიოდ განვსაზღვროთ, თუ რა არის უხამსობა, თუმცა, მან იქვე დაამატა: „მე ვიცი, რა არის უხამსობა, როდესაც ვხედავ მას“. ჩაითვლება თუ არა უხამსობად ის მასალები, რაც თეა თუთბერიძემ გამოაქვეყნა? ჩემი აზრით, რა თქმა უნდა, ეს უხამსობაა და ამაზე ნათლად მეტყველებს საზოგადოების რეაქცია. სწორედ საზოგადოება წყვეტს, რას მიიჩნევს იგი უხამსობად.

გარდა უხამსობისა და საზოგა-



ფოტო: ალექსანდრე მარტოვი

დობრივი მორალისა, ბოლო დროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში აქტიურად დაიწყო მსჯელობა ისეთ ფენომენზე, როგორცაა რელიგიური შეურაცხყოფა (ან რელიგიური ცილისწამება – Defamation of Religion). რა ჩაითვლება რელიგიურ შეურაცხყოფად? – ამის მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრების ჩამოყალიბება უხამსობის განსაზღვრაზე არანაკლებ რთულია, მაგრამ იგი არსებობს და თან ძალიან მტკივნეული თემაა ცალკეული ინდივიდისა თუ ადამიანთა მრავალრიცხოვანი ჯგუფებისთვის. და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი განსაზღვრება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ ადამიანებზე, ვინც მიიჩნევს, რომ მათი რელიგიური გრძნობები შეილახა. აქაც გამოხატვის თავისუფლებას აქვს ზღვარი, რომელმაც უნდა დაიცვას ინდივიდები თუ რელიგიური ჯგუფები შეურაცხყოფისაგან.

ოღონდ, რა თქმა უნდა, როცა ვლაპარაკობთ შეზღუდვაზე, იგულისხმება, რომ მსგავს საქმეზე საქართველოს კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სამოქალაქო წესით დავა და არა სისხლის სამარ-

■ საქართველოში, იმ ფონზე, როცა ხელისუფლება სრულიად დისკრედიტებულია, ეკლესიამ მოიპოვა არა მხოლოდ მორალური, არამედ პოლიტიკური ავტორიტეტიც. მას შეუძლია პროცესებზე ზეგავლენის მოხდენა და ეს სრულიად ნორმალური მოვლენაა.

თლებრივი ან ადმინისტრაციული დევნის დაწყება. სახელმწიფოს//ხელისუფლებას (პრეზიდენტს, პროკურატურას, პოლიციას...) ამ საქმესთან არაფერი ესაქმება.

ის მუქარის წერილები, რომელსაც თეა თუთბერიძე დღესაც იღებს, მის წინააღმდეგ სხვადასხვა ცნობილი ადამიანების საჯარო გამონათქვამები – რომ ღორივით უნდა გამოჟრა ყელი და სხვა – მიმართულია თუ არა გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ?

მუქარა დანაშაულია და მკაცრად ისჯება საქართველოს კანონმდებლობით. მიუხედავად იმისა, სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული თუ სხვა რამის. შესაბამისად, მასზე სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა მოახდინონ რეაგირება.

იმ არაჯანსაღი აუიოტაჟის შემდეგ, რაც თუა თუთბერიძის მიერ გავრცელებულ მასალას მოჰყვა, რა უფრო გამოჩნდა – ის, რომ საქართველოში რელიგიური ფუნდამენტალიზმის ნიშნები ჩნდება, თუ ტოტალურ ფარისევლობასთან გვაქვს საქმე?

საზოგადოებას, ცალკეულ პიროვნებებს, აქვთ უფლება, გამოხატონ რეაქცია უხამსობისა თუ რელიგიური შეურაცხყოფის წინააღმდეგ. ცხადია, ამ დროს გამოჩნდებიან ფარისევლე-

ლი, მსგავსი უხამსობებით დავიტივრთოთ გონება.

„ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნდა სტატია, სადაც ეწმიაძინი „ჩეჩმიაძინად“ იყო მოხსენიებული, რითაც შეილახა ჩვენი სომეხი თანამემამულეების სინდინდე, ეს იგივეა, სვეტიცხოველი რომ შეურაცხყონ. ჩვენს პრესაში ამგვარი გამოხდომები იშვიათად არ ხდება. როგორც ყოფილი სახალხო დამცველი, რას იტყვით ამგვარი ფაქტების შესახებ?

ესეც რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფაა და ისეთივე მიუღებელია, როგორც უხამსობა, რომელსაც ზემოთ განვიხილავთ. პირადად მე ძალიან მკაცრად შევფასებ ეს ფაქტი, ხოლო რაც შეეხება საზოგადოებას, იგი არ არის ერთგვაროვანი: ერთი მხრივ, არის ფართო საზოგადოება, რომელიც ხმას იმაღლებს მა-

მართული ბრძოლის ნიშნებს?

ზოგადად, ჩვენი ხელისუფლება მონინააღმდეგეს ხედავს ყველა პიროვნებასა თუ ინსტიტუტში, რომელსაც ავტორიტეტი აქვს საზოგადოებაში.

როგორ გგონიათ, აქ სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების პრობლემა თუ უფრო პოლიტიკური საქმე. აქვს თუ არა ეკლესიას უფლება, სეკულარულ სახელმწიფოში იყოს პოლიტიკური მოთამაშე?

ყველას აქვს თავისი აზრის გამოხატვის უფლება და გამოხატვის, ცხადია, არც სასულიერო პირები არიან. საქართველოში, იმ ფონზე, როცა ხელისუფლება სრულიად დისკრედიტებულია, ეკლესიამ მოიპოვა არა მხოლოდ მორალური, არამედ პოლიტიკური ავტორიტეტიც. მას შეუძლია პროცესებზე ზეგავლენის მოხდენა და

დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი საფუძველი საზოგადოებრივი, მათ შორის რელიგიური მორალის დაცვაა.

ბიც, რომლებიც, შექმნილი ვითარების საკუთარი პოლიტიკური (ან რაიმე სხვა) მიზნებისთვის გამოყენებას ეცდებიან და ისეთი ადამიანებიც, რომლებიც მზად არიან, თანამედროვე ინკვიზიცია მოაწყონ და „ერეტიკოსების“ სხეულებისგან კოცონები ააგუზგუზონ, მაგრამ ისინი უმრავლესობას არ წარმოადგენენ.

და საერთოდ, მე მგონია, რომ ძალიან არასერიოზულია ამგვარ უხამსობაზე ასეთი გამომხაურება. დღეს გაცილებით მეტს უნდა ვლაპარაკობდეთ იმაზე, რომ ტერიტორიები დავკარგეთ, ხელისუფლებას კი არა აქვს ხედვა, როგორ გამოვლიანდეს ქვეყანა; განყვეტილია ურთიერთობა აფხაზებთან და ოსებთან, აღსადგენად კი არაფერი კეთდება; მთელმა მსოფლიომ გადალახა ეკონომიკური კრიზისი, საქართველოში კი სულ უფრო მწვავედება; ქვეყანაში არიან პოლიტპატიმრები; დამოუკიდებლობის 20 წლის განმავლობაში ერთხელაც ვერ ჩავატარეთ სამართლიანი არჩევნები და მრავალი სხვა. თუ ამ პრობლემებზე დავინყებთ სერიოზულ ფიქრსა და დისკუსიას, მაშინ მათი გადაჭრის გზებსაც დავინახავთ და აღარც დრო გვექნება და არც სურვი-

შინ, როცა თვითონ გრძნობს თავს შეურაცხყოფილად; მეორე მხარეს არის ხელისუფლება, არიან პოლიტიკოსები და უფლებადამცველები, რომლებიც მოვალენი არიან, ყველა ფაქტს თანასწორად მიუდგნენ. თუმცა, ხელისუფლება, პოლიტიკოსთა უმრავლესობა და უფლებადამცველების ნაწილი მხოლოდ მაშინ იღებს ხმას, როცა უხამსობა, რელიგიური შეურაცხყოფა უმრავლესობის წინააღმდეგ არის მიმართული. უფლებადამცველთა ერთი ნაწილი კი, პირიქით, სრულიად საპირისპირო სტანდარტით მოქმედებს – იცავს გამოხატვის თავისუფლებას, როცა უხამსობა და რელიგიური შეურაცხყოფა უმრავლესობის წინააღმდეგ არის მიმართული (ანუ ამართლებს უხამსობას) და ლაპარაკობს დისკრიმინაციისა და უხამსობის დაუშვებლობაზე, როცა იგი უმცირესობებს ეხება (ანუ ითხოვს გამოსხატვის თავისუფლების შეზღუდვას); ანუ, იცავს უმცირესობას და იგივე შემთხვევაში არ იცავს უმრავლესობას. არადა, სტანდარტი ორივე შემთხვევაში ერთნაირი უნდა იყოს.

ხედავთ თუ არა ხელისუფლების მხრიდან ეკლესიის წინააღმდეგ მიზანმი-

ეს სრულიად ნორმალური მოვლენაა. თანამედროვე სამყაროში ეკლესიის აქტიურობის მრავალი მაგალითი არსებობს. ეკლესიამ სერიოზული როლი შეასრულა (და ასრულებს) სიცილიაში მაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში; გერმანიაში სამღვდლოების ნაწილი აქტიურად უპირისპირდებოდა ფაშიზმს; ლათინური ამერიკის ქვეყნებში ეპისკოპოსები ილაშქრებდნენ „სიკვდილის ბრიგადებისა“ და ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ; დაბოლოს, თუნდაც კათალიკოს-პატრიარქის, წმინდა ამბროსის (ხელაია) მიერ გენუის კონფერენციისთვის გაგზავნილი წერილი გავისხენოთ... ეკლესიას არა მხოლოდ უფლება აქვს, ასე მოიქცეს, არამედ ასეთი აქტიურობა პირდაპირ გამომდინარეობს ეკლესიის ბუნებიდან. დღეს საქართველოს ეკლესია ამ მხრივ ძალიან ფრთხილად მოქმედებს და მინიმალურად იყენებს თავის ავტორიტეტს. რაც შეეხება სეკულარულ სახელმწიფოს, სრული სეკულარიზმი ბუნებაში არ არსებობს, თუ მთელი საზოგადოება ათეისტებისგან არ შედგება.

მაინც რამ გააღიზიანა ბოლო პერიოდში თუა თუთბერიძე და ხელისუ-

ფლების მრავალი სხვა მხარდამჭერი კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის გამონათქვამებში? – იმ განცხადებებში, რომლებიც არაორაზროვნად უკავშირდება რუსეთთან ნაგებულ ომს და დაკარგულ ტერიტორიებს. პირადად მე და, დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაც სრულიად ვეთანხმებით ამ განცხადებებს. კერძოდ, 13 ოქტომბერს კათალიკოს-პატრიარქმა განაცხადა: „ეს არ უნდა მომხდარიყო და ეს შეიძლებოდა არ მომხდარიყო. ჩვენ გვექონდა იმისი საშუალება, რომ აგვერიდებინა თავი ამ პრობლემებისათვის. გემი როცა ზღვაში მიდის, უნდა იცოდეს ხელმძღვანელმა, კაპიტანმა, სად არის კლდეები, რომ არ შეეხეთქოს. ჩვენ გვგვებოდა და გვგვებდა კედელი და თავით ვეხეთქებით მას“.

ცხადია, თუა თუთბერიძესაც და ნებისმიერ სხვასაც აქვს უფლება, არ დაეთანხმოს პატრიარქის განცხადებებს და გამოთქვას მათ შესახებ თავისი აზრი, მაგრამ ეს არ უნდა გადავიდეს უხამსობაში.

თქვენ ახლა უკვე როგორც პოლიტიკოსი, როგორ უყურებთ იმ იდეას, რომ შეიძლება თანამედროვე სახელმწიფოში ეკლესია იყოს ერის ერთიანობის გარანტი?

კაცობრიობის ისტორია ამავე დროს რელიგიის ისტორიაც არის და რელიგიას და ყოფას ვერ გაყოფ ერთმანეთისგან. საქართველოს ეკლესიას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს შესრულებული ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში და ისტორია კი არ გაჩერებულა, იგი გრძელდება. თანამედროვე (ისევე, როგორც წარსულისა თუ მომავლის) სახელმწიფოში ერთიანობის ფაქტორი ბევრი რამ შეიძლება იყოს, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი – ეკლესია (რელიგია). ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლობამ შეიძლება ძალიან მძიმე შედეგები გამოიწვიოს, რისი მაგალითებიც მრავლად გვხვდება თანამედროვე ისტორიაშიც (თუნდაც იუგოსლავია).

პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებაში ნათქვამია, რომ სახელმწიფო არ დაუშვებს სიტყვის თავისუფლების პრინციპების ბოროტად გამოყენებას. რას ნიშნავს ეს ფრაზა? რა მექანიზმები აქვს სახელმწიფოს

„არდასაშვებად“? პროკურატურამ და შსს-მ რატომ დაიწყეს ამ საქმის გამოძიება? ჰქონდათ თუ არა ამის უფლება?

ასეთ თემებზე რეაგირება არ არის ხელისუფლების საქმე. ცხადია, პრეზიდენტსა თუ მის ადმინისტრაციას ვერ დავუშლით, გამოხატონ კათალიკოს-პატრიარქის მიმართ მხარდაჭერა და პატივისცემა, მაგრამ ადმინისტრაციის განცხადება, რომ არავის მისცემენ თავისუფლების პრინციპების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას, სცილდება პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფლებამოსილების ფარგლებს. თუ რას გულისხმობდნენ „ბოროტად გამოყენებაში“, გამოჩნდა მაშინ, როცა პროკურატურამ და შსს-მ გამოძიება დაიწყეს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მესამე პრიმა მუხლით – დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა.

ისე, სხვათა შორის, კანონის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე, თუკი ამ შემთხვევაში პროკურატურამ დაიწყო გამოძიება, მან იმავე მუხლით უნდა დაიწყოს გამოძიება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ იმის გამო, რომ მან საქართველოს საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს „ჩარეცხილები“ უწოდა, ან როცა მან, საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს რამდენიმე მოქალაქე პირველყოფილ ადამიანებს – „ზეზვას“ და „მზიას“ – შეაღარა.

რას გულისხმობს საკონსტიტუციო შეთანხმების მე-7 პუნქტი – „საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ხელშეუვალი“? ეს გულისხმობს იმას, რომ კანონი არ ვრცელდება მასზე, თუ იმასაც, რომ, ვთქვათ, მისი კრიტიკა ან გაშარყება არ შეიძლება?

ზოგადად, კანონების ერთადერთი განმმარტებელი სასამართლოა, თუმცა, ჩემი აზრით, ეს ჩანაწერი მხოლოდ სისხლის სამართლებრივი დევნის დაუშვებლობას შეეხება. კრიტიკა არავის აუკრძალავს, მაგრამ იმ ეპიზოდს, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდით, ნამდვილად ვერ დავარქმევთ კრიტიკას. ხოლო როცა უხამსობა შეეხება ეკლესიის მწყემსმთავარს, რომელსაც ქვეყანაში უდიდესი ავტორიტეტი აქვს, მოსალოდნელია, რომ საზოგადოებას ამაზე მძაფრი რეაქცია ექნება. **■**

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოში თავისუფლების მდგომარეობის შესახებ



26 სექტემბერს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა წლიური ანგარიში გამოაქვეყნა მსოფლიოში რელიგიის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ. კვლევა 160-ზე მეტ ქვეყანას მოიცავს, მათ შორისაა საქართველოც, სადაც რელიგიის თავისუფლება კონსტიტუციითაა გარანტირებული. საანგარიშო მოხსენებაში მიმოხილულია სამართლებრივი გარემო, ხელისუფლების დამოკიდებულება რელიგიური თავისუფლების მიმართ და საუბარია იმ პრობლემების შესახებ, რაც რელიგიურ უმცირესობებს საქართველოში ექმნებათ.

გთავაზობთ მნიშვნელოვან ციტატებს აღნიშნული მოხსენებიდან:

„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, სხვა ყველა რელიგიური ერთიანება ჩივის, რომ არა აქვთ თანაბარი სამართლებრივი სტატუსი. არ არიან დარეგისტრირებულები, როგორც რელიგიური ორგანიზაციები და არა აქვთ იგივე პრივილეგიები, რაც მართლმადიდებელ ეკლესიას. რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლები ასევე აღნიშნავენ, რომ პოლიცია ოპერატიულად არ რეაგირებს მათ საჩივრებზე და საქმეები ხშირად დაუმთავრებელია“.

„კონკორდატში რამდენიმე საკამათო საკითხია: პატრიარქს აქვს ლეგალური

ნინო ბექიშვილი

არტაშენის წლიური ში რელიგიის რეორგანიზაციის შესახებ



იმუნიტეტი, მართლმადიდებელ ეკლესიას ეძლევა არმიის სულიერი წინამძღვრობის ექსკლუზიური უფლება, მართლმადიდებელი მღვდელმსახურები სამხედრო სავალდებულო სამსახურისგან თავისუფლებიან, მართლმადიდებელ ეკლესიას მიენიჭა მთავრობის კონსულტანტის როლი, განსაკუთრებით – განათლების სფეროში. თუმცა, რამდენიმე სადავო საკითხის გადასაწყვეტად პარლამენტმა კანონმდებლობა უნდა შეიმუშაოს, რაც საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა“.

„ებრაელთა თემი დარეგისტრირებულია, როგორც კავშირი არა იმიტომ, რომ მათ ეს სამართლებრივი სტატუსი მოსწონთ, არამედ იმიტომ, რომ ამან საშუალება მისცათ, აღედგინათ სინაგოგა, რომელიც მათ სახელმწიფომ სიმბოლურ ფასად, თვეში ერთ ლარად მიაქირავა. სომხური სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში არ რეგისტრირდება როგორც კავშირი ან ფონდი, ამიტომაც სამართლებრივი სტატუსის გარეშეა დარჩენილი“.

„მუსლიმმა სულიერმა ლიდერებმა გვითხრეს, რომ ბოლნისის რაიონში, სადაც მოსახლეობის უმეტესობა მუსლიმია, ადგილობრივმა ხელისუფლებამ და პოლიციამ 22 ცემენტის ჯვარი აღმართა. ჯვრები

მუსლიმთა სოფლებში, მათ სასაფლაოებთან ააშენეს. როდესაც პატრიარქმა ამის შესახებ გაიგო, ადგილობრივი ეპისკოპოსი თბილისში დაიბარა და აუხსნა, რომ ეს პროვოკაცია იყო და აღარ უნდა გაგრძელებულიყო“.

„ისევ სადავო კომუნისტური მმართველობის დროს ჩამორთმეული ქონების დაბრუნების საკითხი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფოს არ დაუბრუნებია ეკლესიები, მეჩეთები, სინაგოგები და სხვა შენობები ყოფილი მფლობელებისთვის. თბილისის მთავარი მეჩეთი და ორი სინაგოგა დღემდე სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება. მაშინ, როდესაც სახელმწიფო აგრძელებს მართლმადიდებელი ეკლესიების ნაწილის აღდგენის დაფინანსებას, რადგანაც ეს ნაციონალური კულტურის ძეგლებია“.

ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასა და სომხურ სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გრძელდება დავა ნორაშენის ეკლესიასთან დაკავშირებით, რომელიც 1995 წელს დაიხურა. 2008 წლის 16 ნოემბერს მამა ტარიელ სიკინჭილაშვილმა, ქართველმა მართლმადიდებელმა მღვდელმა ბულდოზერი მიიყვანა სასაფლაოზე, ნორაშენის ეზოში სომხური საფლავების ქვების შესაცვლელად. სომხურმა ეკლესიამ ეს ფაქტი საფლავების შეურაცხყოფად აღიქვა.

„კათოლიკები, სომეხთა ეკლესია და ბევრი პროტესტანტული გაერთიანება ჩივის, რომ მათ არ ეძლევათ საშუალება, თავისუფლად ააშენონ სალოცავები, რადგანაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურთა ზენოლის შედეგად არ გასცემენ მშენებლობის ნებართვებს“.

„იელოვას მონუმენტი ამბობენ, რომ მათ არა აქვთ საშუალება, ჰქონდეთ შენობები, სადაც 200-ზე მეტი ადამიანი დაეტყვა“.

„ომბუდსმენი ამბობს, რომ ისევ პრობლემად რჩება მასწავლებლების მიერ მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების გაძლიერებული სწავლება, სკოლაში აქვთ ხატები და სხვა რელიგიური სიმბოლოები. ომბუდსმენის აზრით, ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას აჭარაში, სადაც მუსლიმი მოსწავლეები მართლმადიდებელ მასწავლებლებს რელიგიური წნეხის ქვეშ ჰყავთ“.

კათოლიკები აღნიშნავენ, რომ მასწავლებლები მართლმადიდებლურ პირჯვრის

წერის წესზე ამბობენ, რომ „ეს ღვთის სახეა“, მაგრამ როცა ბავშვები პირჯვარს კათოლიკური წესით ინერენ, აცხადებენ, რომ ისინი „ემშაქს გამოსახავენ“. სკოლებში თუ პერსონალი იგებს, რომ ბავშვები მართლმადიდებელი ქრისტიანები არ არიან, მათ შეიძლება სირთულეები შეექმნათ. კათოლიკები, ბაპტიტები და კრიმნაიდები აღნიშნავენ, რომ მათი შვილებისთვის უკეთესია, თუ სკოლაში მშობლები არ განაცხადებენ საკუთარი რელიგიური აღმსარებლობის შესახებ.

„რელიგიურ უმცირესობათა ლიდერები ისევ მიმართავენ ომბუდსმენს, რომ რამდენიმე საჯარო სკოლის მასწავლებელი და ადგილობრივი სასულიერო პირი აკრიტიკებს რელიგიურ უმცირესობებს და სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანთა შორის ქორწინებას“.

„ზოგიერთი რელიგიური უმცირესობა აღნიშნავს, რომ მედია მტრულადაა განწყობილი მათ მიმართ. რამდენიმე უმცირესობის რელიგიური ლიდერი აღნიშნავს, რომ მედიაში ისინი იგნორირებულნი არიან, არ შუქდება მათი საქმიანობა. მუსლიმთა თქმით, ომბუდსმენის გარდა, არც ერთი ხელისუფლების წარმომადგენელი არ მისულა მათთან რელიგიურ დღესასწაულებზე“.

„2008 წლის მეორე ნახევარში ომბუდსმენმა აღნიშნა, რომ გრძელდებოდა თავდასხმები და შეუწყნარებლობა მუსლიმთა, ჭეშმარიტ მართლმადიდებელთა, ხსნის არმიის, ევანგელისტ 50-იანელთა და რერიხის საზოგადოების მიმართ. ე.წ. „ტრადიციული რელიგიებისთვის“ გადაუჭრელ პრობლემად რჩება ისეთი საკითხები, როგორცაა საეკლესიო ქონების დაბრუნება, რეგისტრაცია, თანაბარი სამართლებრივი გარემო. არც მედიის უარყოფითი განწყობა შეცვლილა მათ მიმართ“.

„კათოლიკური ეკლესია აცხადებს, რომ ადიგენის და ახალციხის რაიონებში კათოლიკებისთვის მტრული გარემოა“.

„სომეხთა ეკლესია, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, 18 წლის განმავლობაში ცდილობს, დაიბრუნოს 6 სადავო ეკლესია, რომლებიც დღეს სახელმწიფოს ეკუთვნის. ხელისუფლება კი თვლის, რომ საკითხი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის, სომეხთა ეკლესიის და ხელისუფლების შეთანხმების შედეგად უნდა გადაწყდეს“. □

პოლიტიკა

ავინროებან თუ არა საქართველოში პოლიტიკური შეხედულებებისთვის?

საჯარო სამსახურიდან დათხოვნილი რამდენიმე ადამიანი თავს პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლად მიიჩნევს.

ნათია ახალაშვილი



„ვინაიდან, ჩემი პოლიტიკური მოსაზრებების გამო, მიუღებელი და შეუფერებელი გავხდი ხელისუფლებისთვის, საკუთარი თავის პატივისცემა მაიძულეს, შევასრულო თქვენი მოთხოვნა თანამდებობის დატოვების შესახებ და უფლებას გაძლევთ, გამათავისუფლოთ დაკავებული თანამდებობიდან“, – ასეთი განცხადებით მიმართა 2009 წლის მარტში ნუცა პაპავამ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

იმ დროს პაპავა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას ხელმძღვანელობდა. ამ ამბის გარშემო ატეხილ ხმაურს გამგებელმა გიორგი გოზალიშვილმა ასე უპასუხა: „მიუხედავად იმისა, რომ საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი ოპოზიციური გაერთიანების შტაბის ხელმძღვანელად დაინიშნა, ის სამსახურიდან არ გაათავისუფლდება. პოლიტიკური ზენოლა ჩემგან გამორიცხულია“.

ამ სიტყვების მიუხედავად, გამგებელმა ნუცა პაპავას განცხადებას რეზოლუცია დაადო და სამსახურიდან გაათავისუფლა.

„ყოველთვის პირდაპირ გამოვხატავდი ჩემ აზრს. ლიად მას შემდეგ შემომიტიეს, რაც „ალიანსი საქართველოსთვის“ რაიონული შტაბის ხელმძღვანელი გავხდი. არაერთხელ მომთხოვეს, განცხადება დამეწერა სამსახურიდან წასვლის შესახებ. შემძლო ამ ზენოლისთვის გამეძლო, მაგრამ ჩემ უკან 27 ბაღის თანამშრომლები იდგნენ, რომელთაც ჩემ გამო პრობლემები შეექმნებოდათ“, – საკუთარი გათავისუფლების მოთხოვნის მიზეზს ასე ხსნის პაპავა.

ეს ერთ-ერთია იმ შემთხვევებიდან, როცა სახელმწიფო სამსახურიდან დათხოვნილი ადამიანები ამტკიცებენ, რომ მათი გათავისუფლება პოლიტიკურ შეხედულებებს უკავშირდება.

თერაპევტი დალი თექთუმანიშვილი თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის ერთ-ერთ პოლიკლინიკაში 18 წელი მუშაობდა. სექტემბერში მას და მის ორ კოლეგას გამოუცხადეს, რომ სამსახურიდან გათავისუფლებულები იყვნენ. ექიმები დალი თექთუმანიშვილი და ნინო ლომსაძე, ასევე რეგისტრატორი – ეთერ ამირანაშვილი სამსახურის დაკარგვას თავიანთ პოლიტიკურ შეხედულებებს უკავშირებენ. „ჩვენი გათავისუფლების ოფიციალურ მიზეზად ორგანიზაციის ოპტიმიზაცია დასახელდა. რეალურად კი ეს პროცესი მხოლოდ იმ სამ თანამშრომელს შეგვეხო, რომლებიც ოპოზიციის საპროტესტო აქციებზე დავდიოდით“, – აცხადებს თექთუმანიშვილი. სამსახურიდან გათავისუფლებულები ჰყვებიან, რომ იმავე მიზეზით ხელმძღვანელობასთან პრობლემები შეექმნა მათი პოლიკლინიკის დირექტორსაც და მას რამდენიმე თვით თანამდებობაც დაატოვებინეს. სამსახურში აღდგენის სანაცვლოდ და საკუთარი ლოიალურობის დასადასტურებლად, მან ოპოზიციის საპროტესტო აქციების მონაწილე თანამშრომლები სასწრაფოდ გაათავისუფლა.

ოპოზიციის აქციებზე აქტიურობით და სანდრო გირგვლიანის დედასთან ნათესაური კავშირით ხსნის სამსახურის დაკარგვას თბილისის 76-ე სკოლის პედაგოგი ხათუნა ენუქიძე. მისი გათავისუფლების ოფიციალური მიზეზი გახდა სკოლის კუთვნილი კომპიუტერის შინაწვლილი. ენუქიძე ამბობს, რომ 2009 წლის საზაფხულო არდადეგების დაწყების წინ მან დირექტორისგან სიტყვიერი ნებართვა მიიღო, არდადეგებზე სკოლის კუთვნილი კომპიუტერთი სახლში ემუშავა.

„მონიტორი წამოვიღე, ის სკოლის ინფორმატიკის მასწავლებელმა გამომატანა. პროცესორი კი თვითონ მენჯერმა მომცა და მითხრა, – სიტყვიერი თანხმობაც საკმარისია და წერილობითი დოკუმენტი საჭირო არ არისო. აგვისტოს ბოლოს სკოლაში დამიბარეს და ამ კომპიუტერის მოპარვა დამაბრალეს. შემდეგ დარღვევებით ჩაატარეს სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომა, რომლის წევრი მეც ვიყავი და სამსახურიდან გამათავისუფლეს“.

სკოლის დირექტორი დავით ჯაბაშვილი ამტკიცებს, რომ მას კომპიუტერის სახლში წაღების ნებართვა ხათუნა ენუქიძისთვის არ მიუცია.

ინფორმატიკის მასწავლებელმა რუსუდან კვირიკაშვილმა სამსახური საკუთარი ნებით დატოვა. „ეს იყო პროვოკაცია. ჩემი გამოყენება უნდოდათ ხათუნას გა-



საგდებად. დღეში რამდენჯერმე მირეკავდა სკოლის დირექტორის მოადგილე და მთხოვდა, ისეთი ახსნა-განმარტება დამეწერა, რომელიც ხათუნას დანაშაულს დაადასტურებდა. ვიცოდი, რომ სკოლის დირექტორმა მას კომპიუტერის სახლში წაღების ნებართვა მისცა და ასეთი რამის გაკეთებას სკოლიდან საერთოდ წამოსვლა ვარჩიე“, – ამბობს კვირიკაშვილი.

ხათუნა ენუქიძე 76-ე სკოლაში 7 წლის განმავლობაში მუშაობდა. ის ახლა ძველი სამსახურის ახლოს მდებარე კერძო სკოლაში ასწავლის. მასთან ერთად საჯარო სკოლა მისმა ყოფილმა სადამრიგებლო კლასმაც დატოვა და იმ სკოლაში გადავიდა, რომელშიც ენუქიძე მუშაობს. გათავისუფლებული პედაგოგი სკოლის ხელმძღვანელობას სასამართლოში უჩივის.

გათავისუფლებული მასწავლებლის და ექიმების კოლეგები „ლიბერალთან“ საუბარში ადასტურებენ, რომ სამსახურის დაკარგვის საფრთხეს თავადაც გრძნობდა.

ბურჭულაძის ფონდთან საქმე აღარ დაეჭირა. თავად ბურჭულაძე ხელისუფლებისთვის პერსონა ნონ-გრატა მას შემდეგ გახდა, რაც მოსკოვში გამართულ საქველმოქმედო კონცერტზე იმღერა. ამ ღონისძიების შემდეგ ბურჭულაძე ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ნაციონალური ტელეარხების კრიტიკის ობიექტად იქცა.

კულტურის მინისტრ ნიკოლოზ რურუას აზრით, ზაზა აზმაიფარაშვილის გათავისუფლების პოლიტიკური მიზეზით ახსნა „სრული სისულელეა“. „სწორედ გუშინ ვნახე ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“ და ოპერის ორკესტრი არ არის კარგ ფორმაში. მუსიკოსები ცალ-ცალკე კარგები არიან, მაგრამ ერთიანობაში არცთუ სახარბიელოდ უკრავენ. აზმაიფარაშვილის გათავისუფლების მიზეზი ძალიან მარტივია – ოპერა იკეტება რემონტზე და გვინდა მონვეული დირიჟორების პრაქტიკა შემოვიღოთ, რომ არც ერთ დირიჟორს ასეთი განუსაზღვრელი მონოპოლია არ ჰქონდეს“, – ამბობს რურუა.

სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი.

ქეთი დოლიძეს მიხედვით თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობა კულტურის მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ 2008 წლის ოქტომბერში შესთავაზა. ოფიციალური, 2-წლიანი ხელშეკრულება კი მასთან 2009 წლის 1 იანვარს უკვე სხვა მინისტრმა, ნიკა რურუამ გააფორმა.

„დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტის თანხმობის გარეშე ამას ვერც ერთი გააკეთებდა. ამ დანიშნით 2009 წლის იანვარში სააკაშვილმა თავიცი კი მოინონა: მიუხედავად იმისა, რომ ხშირად გვაკრიტიკებს, აი, ქალბატონი ქეთი დოლიძე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად მაინც დავნიშნეთო. ამით პრეზიდენტმა თვითონ აღიარა, რომ სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა პოლიტიკური პოსტია“, – აცხადებს ქეთი დოლიძე.

მიუხედავად ორწლიანი ხელშეკრულებისა, თანამდებობის დაკავებიდან 8 თვის

■ კულტურის მინისტრ ნიკოლოზ რურუას აზრით, ზაზა აზმაიფარაშვილის გათავისუფლების პოლიტიკური მიზეზით ახსნა „სრული სისულელეა“.

ბენ. „სამსახურში ყოველთვის ვერიდებით ჩვენ პოლიტიკურ შეხედულებებზე საუბარს, რადგან გარანტია არ გვაქვს, რომ განსხვავებული აზრის გამო, სამსახურს არ დაგვკარგავთ“, – ამბობს ექიმი, რომელიც ერთ-ერთ პოლიკლინიკაში მუშაობს. „ისედაც სულ მიზეზებს ეძებენ, რომ სამსახური დაგვატოვებინონ. ვცდილობ საბაბი არ მივცე: არც ვავიანებ, არც ვაცდენ და არც ხელისუფლებას ვაკრიტიკებ“, – ამბობს მასწავლებელი ერთ-ერთი საჯარო სკოლიდან.

ხელისუფლების ხედვასთან დაპირისპირებას უკავშირებენ კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის – ქეთი დოლიძისა და ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის – ზაზა აზმაიფარაშვილის სამსახურებიდან გათავისუფლებასაც.

ზაზა აზმაიფარაშვილი, რომელიც ოპერის ორკესტრს 2004 წლიდან ხელმძღვანელობდა, მოულოდნელად მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც 20 ოქტომბერს საქველმოქმედო ფონდ „იანვანას“ მიერ გამართულ „სამი ტენორის“ კონცერტს უდირიჟორა. ორკესტრანტები ჰყვებიან, რომ კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე დირიჟორი გააფრთხილეს, პაატა

„არ შეიძლება, ყოველ სპექტაკლზე ორკესტრს მონვეული სხვადასხვა დირიჟორი ხელმძღვანელობდეს. ეს დაახლოებით იგივეა, ფეხბურთის გუნდს ყოველ თამაშზე ახალმა მწვრთნელმა უხელმძღვანელოს“, – ამბობს მუსიკათმცოდნე დავით ბუხრიკიძე.

თავად აზმაიფარაშვილი მომხდარის პოლიტიკური შეფასებისგან თავს იკავებს. „არ მინდა, ვიფიქრო, რომ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც საქველმოქმედო კონცერტზე გამოსვლის გამო, ვინმე შეიძლება გაათავისუფლონ“.

სავარაუდოდ, აზმაიფარაშვილის გათავისუფლების ერთადერთი მიზეზი ის არ ყოფილა, რომ ის ხელისუფლების პოლიტიკას წინ აღუდგა და ბურჭულაძეს ბოიკოტი არ გამოუცხადა. 2009 წლის აპრილ-მაისში, თბილისში რუსეთის გამზირზე მიმდინარე ოპოზიციის აქციების დროს ზაზა აზმაიფარაშვილის გადაწყვეტილებით საოპერო სპექტაკლები მოიხსნა. მაშინ დირიჟორმა ამის გამო არაერთი შენიშვნა მიიღო. „თუ მუშაობა არ უნდათ, წავიდნენ და საკნებში დასხდნენ“, – ასე გამოეხმაურა აზმაიფარაშვილის გადაწყვეტილებას ოპერის თეატრის საბალეტო

თავზე დოლიძე გაათავისუფლეს. დათხოვნის მიზეზი მისთვის არავის განუმარტავს. თავად რეჟისორი კულტურის სამინისტროს ამ გადაწყვეტილებას პირდაპირ უკავშირებს მის განცხადებებს.

ქეთი დოლიძე კულტურის მინისტრის – ნიკა რურუას სიტყვებს იხსენებს: „თქვენ თავისუფალი ადამიანი ბრძანდებით, ქალბატონო ქეთი, სადაც გნებავთ, რაც გნებავთ, ის ილაპარაკეთ, ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ“.

„აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი დიდი ტყუილი ყოფილა, როგორც კი მათი კრიტიკა დაეწყო, არ მაპატიეს“, – ამბობს ქეთი დოლიძე, რომელიც თავის პროფესიულ საქმიანობას კვლავ კინომსახიობთა თეატრში აგრძელებს.

„ქალბატონი ქეთი თეატრიდან არ წასულა, ის უბრალოდ აღარ არის სამხატვრო ხელმძღვანელი. მას აღარ აქვს ისეთი პოზიცია, რომ შეაფერხოს რამე პროცესი, რაც სამწუხაროდ უკვე მოხდა – 2009 წლის აპრილ-მაისში თეატრი მისი მითითებით, აბსოლუტურად უკანონოდ იყო გაჩერებული თვე-ნახევრის განმავლობაში“, – ასე ხსნის დოლიძის გათავისუფლების მიზეზს კულტურის მინისტრი რურუა. ■

ჟურნალისტური გამოძიება

„საკნიდან“ – საკანში

ხაშურელი შოთა გოგიჩაშვილი და რომან კაკაშვილი ქარელიდან ამტკიცებენ, რომ ხელისუფლება მათ პოლიტიკური შეხედულებების გამო გაუსწორდა.

ნანა ზიგანიშვილი, „სტუდია მონიტორი“



შოთა გოგიჩაშვილი ქარელის ყოფილი ცეკავშირის ადმინისტრაციული შენობის მფლობელია. 2007 წლის შემოდგომაზე, საპრეზიდენტო არჩევნების წინ მან ეს ფართი რესპუბლიკური პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციას მიაქირავა.

შოთა გოგიჩაშვილი მეორე დღესვე ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივ ოფისში დაიბარეს და ქარელის საკრებულოს თავმჯდომარემ, ილია ბაბლიძემ მას ოპოზიციურ პარტიასთან იჯარის ხელეკრულების გაუქმება მოსთხოვა.

„თუ „რესპუბლიკელებს“ ოფისიდან არ გაუშვებ, შენ ან შენ შვილებს პრობლემები შეგექმნებათ“, – დამემუქრა ბაბლიძე. მისმა მოადგილემ დამიკონკრეტა, რომ დასაჭერთა 11-კაციანი სია მაქვს და რა პრობლემაა, შენი ოჯახიდანაც ერთს მივუმატებ, თორმეტი გახდებაო.

გოგიჩაშვილმა „რესპუბლიკელებს“ სთხოვა, სხვაგან დაექირავებინათ

ოფისი, თუმცა მათ უპასუხეს, – ქირავნობის ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული და არსად გადასვლას არ ვაპირებთო. ბრიფინგიც მოაწყვეს, სადაც გოგიჩაშვილმა თქვა, რომ ხელისუფლება მის ოჯახზე ზეწოლას ახორციელებდა.

2007 წლის 30 ნოემბერს, ქარელში გაერთიანებული ოპოზიციის შტაბის უფროსი კოკა გუნცაძე და თინა ხიდაშელი ჩავიდნენ. მათთან შეხვედრისას ბაბლიძემ შოთა გოგიჩაშვილს აქეთ დასდო ბრალი, – ცილს მწამებს, არასდროს დავმუქრებოვარო.

თუმცა, მალე ადგილობრივი ხელისუფლება შოთა გოგიჩაშვილის კუთვნილი შენობით დაინტერესდა და უძრავი ქონების დამადასტურებელი დოკუმენტაცია დეტალურად შეისწავლა, მაგრამ დარღვევა ვერ აღმოაჩინა.

შოთა გოგიჩაშვილი: „ვერ შენობის წართმევით მემუქრებოდნენ, – წაგართმევთ ამ შენობასო. მე რე ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა წევრმა მოთხრა,

– სამი შვილი გყავს და არ გეშინიაო?“ შოთა გოგიჩაშვილის უმცროსი შვილი, გიგა, რესპუბლიკური პარტიის წევრი გახდა და მეგობრებთან ერთად ოფისს აქტიურად ეხმარებოდა. 2008 წლის 8 ნოემბერს გიგა გოგიჩაშვილი რესპუბლიკური პარტიის ახალგაზრდული ფრთის თავმჯდომარედ აირჩიეს. 2 დღის შემდეგ კი გიგა გოგიჩაშვილი ქარელის რაიონის პოლიციამ ერთ-ერთ დანაშაულში ეჭვმიტანილად ცნო.

პოლიციამ 2008 წლის ნოემბერში 2 აგვისტოს ჩადენილი დანაშაული გახსნა. ტექნიკისა და ოქროულობის მალაზიის გაქურდება სხვა მალაზიის ქურდობისთვის დაკავებულმა გიორგი მწარიაშვილმა აღიარა. მწარიაშვილმა ქურდობის თანამონაწილედ კიდევ 4 პიროვნება: ირაკლი ყანჩაველი, ავთანდილ ბარბაქაძე, გიგა გოგიჩაშვილი და ზაქარია სვიანაძე დაასახელა. დასახელებული 4 პირიდან, მწარიაშვილის ჩვენების საფუძველზე, პოლიციამ მხოლოდ გიგა გოგიჩაშვილი და ზაქარია სვიანაძე დაკითხა. გიორგი მწარიაშვილის საქმე ცალკე გამოიყო, ხოლო ყანჩაველით და ბარბაქაძით პოლიცია არც დაინტერესებულა.

არასრულწლოვანი გიგა გოგიჩაშვილი, რომელიც მაშინ მეთორმეტე კლასში სწავლობდა, გამოძიებამ 2008 წლის 20 ნოემბერს ეჭვმიტანილად ცნო, თუმცა არ დაუპატიმრებიათ, რადგან საქმეში მის წინააღმდეგ, გარდა გიორგი მწარიაშვილის ჩვენებისა, სხვა მტკიცებულება არ მოიპოვებოდა.

ქურდობის ადგილზე დამნაშავეებმა სისხლის კვალი და თითის ანაბეჭდები დატოვეს. ჩატარებული ექსპერტიზის შედეგებით, არც სისხლის კვალი და არც თითის ანაბეჭდი გიგა გოგიჩაშვილს არ ეკუთვნოდა. დანაშაულის ადგილზე ნაპოვნი სისხლის კვალის შესაბამისი სისხლის ჯგუფი ზაქარია სვიანაძის აღმოჩნდა, რომელმაც დანაშაული აღიარა, თუმცა გიგა გოგიჩაშვილის ქურდობაში თანამონაწილეობა უარყო.

2008 წლის 30 ნოემბერს გოგიჩაშვილი ამ საქმეზე ისევ დააკავეს და მას ხაშურის რაიონულმა სასამართლომ 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ადვოკატ დავით გერმანოზაშვილს კითხვები გაუჩნდა – „თუკი, 20 ნოემბერს მოპოვებული მტკიცებულებით მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ მტკიცდებოდა, როგორ დამტკიცდა ეს 30 ნოემბერს? მით უმეტეს, ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მისი ანაბეჭდები შემთხვევის ადგილზე არ აღმოჩნდა და სვიანაძეც ამბობდა, რომ გოგიჩაშვილი დანაშაულის თანამონაწილე არ ყოფილა“.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, გოგიჩაშვილს და სვიანაძეს ბრალი 2 დეკემბერს წარუდგინეს.

გამომძიებელ ქებაძის მიერ შედგენილი ოქმის მიხედვით, ბრალდებულად ჯერ სვიანაძე დაკითხეს. დაკითხვას ესწრებოდა პროკურორი როზა სამუშია და ადვოკატი თოთლაძე. დაკითხვა დაიწყო 14 საათსა და 20 წუთზე და ერთ

რა არის ეს საკმარისი მტკიცებულება – „ძიების ინტერესებიდან გამომდინარე“ – ჩვენ ვერ დავადგინეთ.

მწარიაშვილმა სასამართლოზე წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება დაადასტურა და ქურდობის თანამონაწილედ გიგა გოგიჩაშვილთან და სვიანაძესთან ერთად ბარბაქაძე და ყანჩაველიც კვლავ დაასახელა. თავად გიორგი მწარიაშვილს პროკურატურამ საპროცესო გარიგება გაუფორმა და დარბაზიდან გაათავისუფლა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გორის ოფისის ხელმძღვანელი რევაზ რევაზიშვილი ეჭვობს, რომ მწარიაშვილს საპროცესო გარიგება იმის გამო გაუფორმეს, რომ სასამართლოზე გოგიჩაშვილის წინააღმდეგ ჩვენება მისცა. „ვიდრე გიგა გოგიჩაშვილს უშუალოდ პროცესზე არ დაადო ხელი და ამხილავითომცდა დანაშაულის ჩადენაში, მანამდე საპროცესო არ გაუფორმეს. ამის შემდეგ კი სასამართლო დარბაზიდან გაუშვეს“.

სამართლომ ისინი კანონით დაუდგენელ პირებად ჩათვალა.

ამჟამად გიორგი მწარიაშვილი თავისუფალია. მას გოგიჩაშვილის საქმეზე საუბარი არ სურს და თვლის, რომ ეს მისი და გიგას „გასარჩევი“ საქმეა.

–„სხვა ქურდობაზეც ვიფიქრი, არაა საჭირო, გითხრა, როგორ გამოვედი და რანაირად. პროკურატურამ გამათავისუფლა“, – გვითხრა მწარიაშვილმა.

შოთა გოგიჩაშვილის კუთვნილ შენობაში უკვე 3 ოპოზიციური პარტიის ოფისია განლაგებული. ის თვლის, რომ მისი შვილი პოლიტპატიმარია და ქარელში საჩვენებლად დასაჯეს.

შოთა გოგიჩაშვილი: „გიგა დააპატიმრეს იმის გამო, რომ ოპოზიციური პარტიას ოფისი მივაქირავე. ოჯახი დასაჯეს და ბავშვი ციხეში ჩააგდეს. ამასთან ქარელის მოსახლეობა მთლიანად დააშინეს. აი, ნახეთ, ამ ოჯახს რა ვუყავით და ვინც ურჩობას გაბედავს, მათაც ასე დაემართებათო. ამ დაშინებაში შედეგი გამოიღო, ხალხი ოპოზი-

■ „გიგა დააპატიმრეს იმის გამო, რომ ოპოზიციურ პარტიას ოფისი მივაქირავე. ოჯახი დასაჯეს და არასრულწლოვანი ბავშვი ციხეში ჩააგდეს. ამასთან ქარელის მოსახლეობა მთლიანად დააშინეს. აი, ნახეთ, ამ ოჯახს რა ვუყავით და ვინც ურჩობას გაბედავს, მათაც ასე დაემართებათო. ამ დაშინებამ შედეგი გამოიღო, ხალხი ოპოზიციის შეკრებას შიშით ველარ ეკარება, დაშინებულია“.

საათში დამთავრდა. დროის ზუსტად ამ მონაკვეთშია დაკითხული გოგიჩაშვილიც, იმავე პროკურორის მიერ და მის ინტერესებსაც იგივე თოთლაძე იცავდა. ანუ ერთსა და იმავე დროს ადვოკატი და პროკურორი ორ ადგილას იმყოფებოდნენ, ასეთი რამ კი, თუ ცრურწმენას არ ავყვებით, შეუძლებელია.

„ექვექვეშ დავაყენე საპროცესო აქტის კანონიერება, თუმცა როგორც უნდა გაგიკვირდეთ, სასამართლომ ამ თემაზე საერთოდ არ იმსჯელა“, – აცხადებს ადვოკატი გერმანოზაშვილი.

წინასწარი გამოძიება 2009 წლის 29 იანვარს დამთავრდა. ხაშურის მთავარი პროკურორის მოადგილე დავით საყვარელიძე აცხადებს, რომ: „საქმეში მოიპოვება ყველა ის საჭირო და აუცილებელი მტკიცებულება, რომელიც გოგიჩაშვილის მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენას ამტკიცებს“.

„თავს დამნაშავედ არ ვცნობ. პოლიტიკური პატიმარი ვარ. ამირჩიეს თუ არა პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ, მეორე თუ მესამე დღეს დამაკავებს კიდეც. რაც არ გამიკეთებია, იმის გულისთვის, გთხოვთ, ნუ დამსჯით“, – თქვა განსასჯელმა გიგა გოგიჩაშვილმა სასამართლოზე.

2009 წლის 12 აგვისტოს ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ვახტანგ მრელაშვილმა გიგა გოგიჩაშვილს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5000 ლარის ჯარიმა დააკისრა. მიუხედავად შეთავაზებისა, რომ ბრალი აღიაროს და საპროცესო გარიგებით გაათავისუფლებენ, იგი დანაშაულს არ აღიარებს.

6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს ზაქარია სვიანაძესაც. რაც შეეხება ბარბაქაძეს და ყანჩაველს, სა-

ციის შეკრებას შიშით ველარ ეკარება, დაშინებულია“.

რომან კაკაშვილის საქმე

2009 წლის გაზაფხულზე თბილისში, კანცელარიის წინ რუისელმა გლეხებმა აქცია გამართეს. ბუფერული ზონის, ქარელის რაიონის მაცხოვრებლები ქვეყნის მთავრობისაგან დახმარებას ითხოვდნენ. რუისელები გოჩა საბიაშვილი და ელგუჯა ნანიტაშვილი ამ აქციაში მონაწილეობდნენ. როგორც თავად იხსენებენ, აქციაზე თანასოფლელების მცირე ნაწილმა შეძლო წასვლა, თუმცა მათ მოთხოვნას – საერთაშორისო დახმარება მათზეც განაწილებულიყო და მთავრობას მიწები უსასყიდლოდ დაემუშავებინა – მთელი სოფელი მხარს უჭერდა.

გოჩა საბიაშვილი: „ჩავედით კანცელარიის წინ, ვითხოვდით ადმინისტრაცი-

ციასთან შეხვედრას და შეგვხვდნენ კიდევ. მოუწყვეთ ჩვენი გასაჭირი და დახმარებას დაგვიპირდნენ“.

რუისელი გლეხების კანცელარიისაკენ მსვლელობის ორგანიზატორი რომან კაკაშვილი იყო, რომელიც 20 წლის წინ ზვიად გამსახურდიას მომხრე იყო, ამჟამად კი კონსტანტინე გამსახურდიას პარტია „თავისუფლების“ რეგიონული ოფისის ხელმძღვანელია. აქციის დასრულების შემდეგ გლეხები ჯერ კიდევ თბილისში იყვნენ, როდესაც რომან კაკაშვილს მობილურ ტელეფონზე დაურეკა ქარელის პოლიციის სამმართველოს უფროსმა, მამისწარაშვილმა და პოლიციაში დაიბარა.

აგვისტოს ომში დაზარალებული სოფლებისთვის პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფილი დახმარება, თითო ტომარა აზოტის სასუქი, გლეხებს იმ დღესვე დაურიგდათ. როგორც ელგუჯა ნანიტაშვილი იხსენებს, რომან კაკაშვილი იმ დღეს პოლიციაში არ წასულა, თუმცა ეჭვობდა, რომ დაიჭრდნენ.

აქციის შემდეგ სახელმწიფომ მათი მიწები დაამუშავა და სიმინდიც უსასყიდლოდ დაუთვია. ასევე აღადგინეს დანგრეული სახლებიც.

რომან კაკაშვილის პოლიტიკური აქტივობა ამ აქციით არ დასრულებულა. გარკვეული პერიოდი თბილისში საპროტესტო საკნის ბინადარიც იყო. აქციების დასრულების შემდეგ კაკაშვილი სოფელში დაბრუნდა, 16 ივნისს „პროკრედიტ ბანკიდან“ 1700 ლარის ოდენობის კრედიტი გამოიტანა და ნაკვეთის დასამუშავებლად ტრაქტორი დაიქირავა.

2009 წლის 17 ივნისს პოლიციის ქარელის რაიონული სამმართველოს უფროსის, მამისწარაშვილის სახელზე მისივე მოადგილის ნაქაძის პატაკი შევიდა: „მოგახსენებთ, რომ, როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, ქარელის რაიონის სოფ. რუისში მცხოვრებ 1959 წელს დაბადებულ რომან შოთას ძე კაკაშვილს აქვს „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, რომელსაც ხშირად თან ატარებს“.

ოპერატიული ინფორმაციის მიღებიდან საკმაოდ მცირე დროში პოლიციელები კაკაშვილის დასაკავებლად მის კუთვნილ ნაკვეთში წავიდნენ, სადაც კაკაშვილი მიწას ამუშავებდა.

აღსანიშნავია, რომ იმ 4 პოლიციელებიდან, რომლებმაც კაკაშვილი დააკავეს, ერთ-ერთი წელსზემოთ შიშველი მართავდა მანქანას. „100-150 მეტრის

დაშორებით ყვითელი „06“ გაჩერდა. მძღოლმა, რომელიც, ეტყობა, ამ ჯგუფის უფროსი იყო, მომიშვია იარაღი და მითხრა: დაჯექი, ნურაფრის გემინაო. არაფრის მემინია, მითხარით, სად მიგყავართ-მეთქი. ამოხტენ „ტაჩკაზე“, ძალით ჩამაგდეს მანქანაში, ხელბორკილი დამაგდეს და წამიყვანეს პოლიციის ქარელის განყოფილებაში“, – გაიხსენა სასამართლო სხდომაზე რომან კაკაშვილმა. კაკაშვილის დაკავებას მისი თანასოფელი ივანე ნანიტაშვილი შეესწრო. როგორც თავად იხსენებს, უცნობმა პირებმა მანქანი ჩამოიარეს, რომანი რამდენიმე წამში მანქანაში ჩატენეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

„კაკაშვილის ცხენს მიხედვით, – დამიბარეს პოლიციელებმა, რომლებმაც რომანი უცებ მანქანაში ჩააგდეს და სადღაც გააქანეს“, – ამბობს კაკაშვილის მეზობელი ნანიტაშვილი.

პოლიციელების მიერ შედგენილი დაკავების ოქმი რადიკალურად განსხვავდება ივანე ნანიტაშვილის და თავად დაკავებული კაკაშვილის მონათხრობისგან. პოლიციელების მიერ შედგენილი ოქმის თანახმად, ეჭვმიტანილის დაკავება და პირადი ჩხრეკა დაკავების ადგილზე 42 წუთს გრძელდებოდა. წარმოადგინეთ, წელსზემოთ შიშველი პოლიციელი ამ ხნის მანძილზე საგამოძიებო პროცედურით იყო დაკავებული, რაც შესაძლებელია, მაგრამ უხერხულია და თან ასეთი რამ ყანებში მომუშავე გლეხებს არ უნახავთ.

პირადი ჩხრეკის ოქმიდან კი ირკვევა, რომ კაკაშვილს სპორტული შარვლის მარჯვენა ჯიბიდან ცეცხლსასროლი იარაღი და ერთი ცალი ვაზნა ამოუღეს. ნიშანდობლივია, რომ დაკავებისა და ჩხრეკის ოქმს კაკაშვილი ხელს არ აწერს, იმ მოტივით, რომ ამოღებული იარაღი მას არ ეკუთვნის. როგორც კაკაშვილმა სასამართლოზე განაცხადა, ის პოლიციის სამმართველოს უფროსის მამისწარაშვილის მოადგილის, ალექსანდრე ნაქაძის კაბინეტში გაჩხრიკეს და თავად დასძენს: „იარაღი საქმეში ჩადეს, ჩემგან არაფერი ამოუღიათ“.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გორის ოფისის წარმომადგენელი, კაკაშვილის ადვოკატი რევაზ რევაზიშვილი აცხადებს, რომ კაკაშვილს პოლიციაში თავიდან აცნობეს, – ჯიბეში ხელყუმბარა გქონდაო, ხოლო მოგვიანებით ციხეში გაიგო, რომ თურმე პისტოლეტის ტარებისთვის დაუჭერიათ.

აღსანიშნავია, რომ გამოძიება არ დაინტერესებულა, იყო თუ არა განსასჯელი კაკაშვილის თითის ანაბეჭდები ამოღებულ იარაღზე. კითხვაზე, თუ რატომ არ ჩატარდა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა, მთავარი პროკურორის მოადგილე დავით საყვარელიძე პასუხობს: „ხშირ შემთხვევაში, ტექნიკურად არის ხოლმე შეუძლებელი თითის ანაბეჭდების დადგენა. სამწუხაროდ, ჩვენი ექსპერტიზის დონე არ არის ჯერჯერობით ისეთი, რომ ასეთი რამეები დაადგინოს“.

აღსანიშნავია, რომ იარაღი, რომლის უკანონო შენახვა კაკაშვილს ბრალდება, პროკურატურას პროცესზე არ წარმოუდგენია, სასამართლოს ეს იარაღი არ გამოუკვლევია. ამბობდნენ, რომ ვითომდა აირისა და საფანტის სასროლი „მაკაროვი“ კუსტარულად ჰქონდა გადაკეთებული და „თვითნებურად დამუხტული“.

ხაშურის რაიონულ სასამართლოში გამართულ პროცესზე 4 მონმე დაიკითხა – 3 პოლიციელი და ივანე ნანიტაშვილი, რომელიც შეესწრო კაკაშვილის დაკავების ფაქტს. ნიშანდობლივია, რომ სამიდან არც ერთ პოლიციელს არ ახსოვდა საქმის არც ერთი დეტალი. მათ ვერ გაიხსენეს, თუ კონკრეტულად ვინ იპოვა პისტოლეტი, მოანერგეს თუ არა ჩხრეკის ოქმზე ხელი თავად ან დაკავებულმა კაკაშვილმა. ეს გარემოება სასამართლო პროცესზე პროკურორს არ გაჰკვირვებია: მერე რა, დაავინწყდათ დეტალებიო.

თავად რომან კაკაშვილმა სასამართლოზე თქვა: „საპროტესტო მიტინგებზე დავდიოდი და ამის გამო დამიჭირეს. მე ვარ პოლიტიკური და სინდისის პატიმარი“.

ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, ლალი ბესტავაშვილმა მხოლოდ მონმედ დაკითხული პოლიციელების ჩვენებები გაიზიარა. თანასოფელი ივანე ნანიტაშვილი სასამართლო პროცესზე ამაოდ ამტკიცებდა, რომ რომან კაკაშვილის დაკავება წამებში მოხდა და მისგან იარაღი არ ამოუღიათ.

2009 წლის 15 სექტემბერს მოსამართლე ლალი ბესტავაშვილმა რომან კაკაშვილს 3 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მიუხედავად პროკურატურის მხრიდან შეთავაზებისა, მე-8 საპრობოლის პატიმარი ბრალს არ აღიარებს და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება. ■

თბილისის მმართველობის ახალი ერთეულები

წინასაარჩევნო რწმუნებულები

ოპოზიცია შიშობს, რომ თვითმმართველობის არჩევნებამდე 6 თვით ადრე თბილისის 30 უბნად დაყოფა და გამგებლების რწმუნებულების დანიშვნა საარჩევნო გარემოს მათ სანინალმდეგოდ შეცვლის.

ნინო ყიყილაშვილი



საკრებულოს სხდომა, თბილისი 2009

„ზუსტად ამ ეტაპზე არ ვიცი, განსაზღვრული არის თუ არა, რწმუნებულისა და მისი მოადგილის გარდა, სხვა მუშაკების ხელფასების ოდენობა“, – ამბობს მერიის პრესსამსახურის თანამშრომელი თამუნა დვალი. მისი თქმით, არ არის გამორიცხული, აპარატის მუშაობის მოდელი ბინების ამხანაგობების მართვის მოდელს ჰგავდეს – ანუ, როცა კორპუსის მიერ შერჩეული აქტივისტები საყოფაცხოვრებო პრობლემებს ისე აგვარებენ, რომ ხელფასს არ იღებენ.

გამგებლების რწმუნებულების ვაკანსიები, სავარაუდოდ, ორ კვირაში შეივსება. განაცხადების მიღება რაიონის გამგეობებში უკვე დაწყებულია. თბილისის საკრებულოში ოპოზიციური პარტიის „ლიბერალისტების“ წარმომადგენელი პაატა ჯიბლაძე ამბობს, რომ უბნებში რწმუნებულებად პირდაპირ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები ინიშნებიან.

„გვარები არ ვიცი, მაგრამ ვაჟა-ფშაველას კვარტლებიდან ჩვენმა აქტივისტებმა გვაცნობეს, რომ მათთან რწმუნებულად და მის მოადგილედ ინიშნებიან ვინმე ინგა და მანანა. ეს ქალბატონები წინა არჩევნების დროს ნაციონალური მოძრაობის სამსახურში იყვნენ“, – აცხადებს პაატა ჯიბლაძე „ლიბერალთან“ საუბრისას.

სწორედ ამ ინფორმაციის საფუძველზე, საკრებულოს 37 წევრიდან უგულავას მიერ წარმოდგენილ პროექტს ერთადერთი წინააღმდეგი ხმა სწორედ პაატა ჯიბლაძემ მისცა და პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა. საკრებულოს 37 წევრიდან 34 ნაციონალური მოძრაობის ფრაქციაშია გაერთიანებული, ჯიბლაძის ორი ოპოზიციონერი კოლეგა – კობა დავითაშვილი „ხალხის პარტიიდან“ და ირაკლი ტყემალაძე „მრეწველებიდან“ სხდომას არ ესწრებოდნენ.

„სახტად დავრჩით, – ამბობს ქრის-

თვითმმართველობის არჩევნების წინ დედაქალაქის 6 რაიონი 30 უბნად დაიყო და თბილისის ადმინისტრაციაში შესაბამისი მმართველი რგოლები გაჩნდა. 29 ოქტომბერს თბილისის საკრებულომ ქალაქის მერის მიერ შეთავაზებული პროექტი საჯარო განხილვის გარეშე დაამტკიცა.

„ყველა ადამიანთან მისვლა, ყველა ადამიანისთვის ხელის ჩამორთმევა და ყველა ადამიანის პრობლემის გაზიარება“, – ასე ახსნა თბილისის მერმა გიგი უგულავამ ახალი მიკროუბნების მმართველთა მიზნები.

ახლად შექმნილი უბნების მმართველების შერჩევის ერთადერთი კრიტერიუმი არსებობს – ისინი იმ უბანში უნდა ცხოვრობდნენ, რომელსაც განაგებენ. რწმუნებულები უშუალოდ გამგებლებს დაექვემდებარებიან. გიგი უგულავა განმარტავს, რომ „ეს ხალხი იქნება თვალი, ყური და ხელები თვითმმართველობის ყველა პრობლემის გადაწყვეტაში“.

■ ეჭვის საფუძველი წინა არჩევნების გამოცდილებაა. მაშინ წინასაარჩევნო პროცესის მთავარ ხარვეზად ის მიიჩნის, რომ ხელისუფლება ოსტატურად და ეფექტურად იყენებდა როგორც ფინანსურ, ასევე ადამიანურ ადმინისტრაციულ რესურსს.

გამგებლების რწმუნებულების ხელფასი 1600 ლარია, მათი მოადგილეების – 1100 ლარი. მხოლოდ ამ ხელფასებზე ქალაქის ბიუჯეტიდან წელიწადში 972 ათასი ლარი დაიხარჯება. თუმცა ეს არ არის პროექტის სრული ხარჯი. როგორც „ლიბერალისტის“ გახდა ცნობილი, თითოეული რწმუნებულისთვის 5-კაციანი აპარატის შექმნა იგეგმება.

ტიან-დემოკრატი ლევან ვეფხვაძე, რომელიც ამერიკული ორგანიზაცია NDI-ის მიერ ინიცირებულ, ახალ საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფშია ჩართული, - ხელისუფლებამ დაარღვია პირობა. სრულიად მოულოდნელი იყო 30 უბნად დაყოფა. რა პრინციპით და როგორ მოხდა, მოტივაციები საერთოდ არ გვესმის... საუბარი კონკურენტულ საარჩევნო გარემოზე ამის შემდეგ ძალიან ძნელი იქნება“.

პროექტის ბუნდოვანების გამო, ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკოსებს შორის ცვლილებების მიღებისთანავე გაჩნდა ეჭვი, რომ ხელისუფლებისთვის დედაქალაქის 30 უბნად დაყოფა იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ამ უბნებს პირდაპირ მიეხება ზუსტად ამდენივე საარჩევნო ოლქი და რწმუნებულების ფარული ფუნქცია იქნება საკუთარ უბნებში (ანუ ოლქებში) ნაციონალური მოძრაობის ელექტორატის გაზრდა.

„როგორც გავიგეთ, გამგებლების რწმუნებულების შერჩევასაც აქცენტი კეთდება ეგრეთ წოდებულ უბნის ყოჩიბზე, ვისაც უბნებში რაღაც გავლენები აქვს“, - ამბობს „ალიანსი საქართველოსთვის“ წევრი ზურაბ აბაშიძე. მას იმედი აქვს, რომ ადმინისტრაციული რესურსის ამ ფორმით გამოყენება შეუმჩნეველი არ დარჩება არც ქვეყნის შიგნით და არც საერთაშორისო საზოგადოებისთვის.

პოლიტიკური პარტიებისთვის, რომლებიც ხელისუფლებასთან დიალოგზე დღემდე უარს ამბობენ, მერიის ახალი პროექტი „კონსტრუქციული“ ოპოზიციის კრიტიკისთვის დამატებით არგუმენტად იქცა.

„მადლობა ხელისუფლებას. თუ არსებობდა რამე ილუზია, რომ NDI-ის ჯგუფით საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესება იყო შესაძლებელი, ხელისუფლებამ დაგვანახა, რომ დიალოგის შედეგად მხოლოდ უარეს საარჩევნო გარემოს მივიღებთ“, - აცხადებს კონსერვატორი კახა კუკავა და კოლეგებს ხელისუფლებასთან სრულად დისტანცირების რეკომენდაციას აძლევს.

თუმცა „ალიანსი საქართველოსთვის“ და „ქრისტიან-დემოკრატები“ საარჩევნო კანონმდებლობაზე ხელისუფლებასთან მომუშავე ჯგუფში რჩებიან. განმარტავენ, რომ ხელშესახები შედეგის მიღწევის იმედი ჯერ არ დაუკარგავთ.

„მერიის მხრიდან ეს ნაჩქარევი ნაბიჯია. უგულავამ რომ დაჰყო, არ ნიშნავს, რომ ასე იქნება, საარჩევნო კანონმ-

დებლობაზე მომუშავე ჯგუფში ჯერ ეს გადაწყვეტილება განხილული არ არის. საარჩევნო გარემოს რეალურად შეცვლისთვის ჩვენ ბოლომდე ვიბრძობლებთ“, - აცხადებს ირაკლი ალასანიას გუნდის წევრი ზურაბ აბაშიძე.

ის, რომ 30 ახალი მიკროუბნის მმართველი გუნდი ადგილობრივ არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ იმუშავეს, ხელისუფლების პო-

ლიტიკური ოპონენტების ეჭვია, თუმცა ამ ეჭვის საფუძველი წინა არჩევნების გამოცდილებაა. მაშინ არა მხოლოდ პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, არამედ საერთაშორისო დამკვირვებლებმაც წინასაარჩევნო პროცესის მთავარ ხარვეზად ის მიიჩნიეს, რომ ხელისუფლება ოსტატურად და ეფექტურად იყენებდა როგორც ფინანსურ, ასევე ადამიანურ რესურსს. **□**

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შეზღუდვა

2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს თითქმის ყველა საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ანგარიშში მთავარ დარღვევად მიჩნეული იყო ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციული რესურსების წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის გამოყენება. ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ საკუთარ ანგარიშში შემდეგ დარღვევებზე გაამახვილა ყურადღება:

ინსტიტუციონალური რესურსები

- საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო ღონისძიებების ჩატარებისთვის სახელისუფლებო სტრუქტურების საოფისე ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, შენობა-ნაგებობების, დაქვემდებარებული საჯარო მოსამსახურეების გამოყენება
- მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენა გუბერნატორების მიერ, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებათა განხორციელებაში და პრეზენტაციებზე
- თბილისის მერიის პორტალის www.tbilisi.gov.ge ახალი ამბების განყოფილების გამოყენება ისეთი ამბების აღწერისთვის, რომლებშიც მონაწილეობას მმართველი პარტიის თბილისის მაჟორიტარი კანდიდატები იღებენ
- მთავრობის წარმომადგენელთა აქტიური ჩართვა საარჩევნო კამპანიაში

ფინანსური რესურსები

- ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო რესურსების მიმართვა მმართველი პარტიის ან მისი კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეწყობისთვის
- წინასაარჩევნო პერიოდში ფულადი პრემიების და სხვა სახის საჩუქრების დარიცხვა (საახალწლო საჩუქრები, დიზელის ვაუჩერები, ელექტრო გადასახადების გაუქმება იმ შენობებში, სადაც დევნილთა კომპაქტური დასახლებებია)

- სათანადო ანალიზის ჩატარების გარეშე ამბიციური სოციალური პროექტების წამოწყება - პენსიების ზრდა, რეგიონებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური ღონისძიებების დაფინანსება, სტუდენტთა დასაქმების პროგრამა
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების გასაღება კამპანიის ნაწილად

ხისტი რესურსები

- პოლიტიკური ოპონენტებისა და მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ ისეთი ძალადობრივი მექანიზმების გამოყენება, როგორცაა ოპონენტების და მათი აქტივისტების დაშინება, დაკავება, დაპატიმრება, დარბევა და სხვ.
- პოლიტიკური ზენოლა მასწავლებლებზე, სახელმწიფო ინსტიტუტების (მასწავლებლები, ექიმები, ა.შ.) თანამშრომელთა იძულებითი ჩართვა საარჩევნო კამპანიაში
- არასწორი ინფორმაციის გავრცელება ხმის მიცემის ფარულობასთან დაკავშირებით
- საჯარო მოხელეების პირადი ნომრების შეგროვება



ამერიკის და ირანის ფარული ომი

მაია ნიკლაური, ბესო კურტანიძე

სტატია დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების German Marshal Fund-ის პროექტის The Black Sea Trust-ის მიერ.

ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს German Marshal Fund-ის, The Black Sea Trust-ის და მისი პარტნიორების შეხედულებებს.

B | S | T The Black Sea Trust
for Regional Cooperation

A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუჩარ მოტაჰიბი ამერიკის შეერთებული შტატები 4 ირანელის მოტაცების შესახებ დაადასტურა. იგი 2009 წლის 29 სექტემბერს ბაეროს ბენერალურ მღივანს, ბან კი მუნს შეხვდა და ბაეროს ოთხივე პირის საქმის გამოძიება სთხოვა.

შაჰრამ ამირი - ბირთვული იარაღის ექსპერტი. მუშაობდა მალეკ-აშტარის ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, ასევე ირანის ატომური ენერჯის ორგანიზაციაში. მისი გაუჩინარებიდან 4 თვის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ირანის ხელისუფლება ქალაქ ქომში ურანის გამამდიდრებელ სანარმოს აშენებდა. 2009 წლის ივნისში საუდის არაბეთში ვიზიტის დროს დაიკარგა.

ნოსრათოლა ტაჯიკი - ირანის ყოფილი ელჩი იორდანიაში. ცხოვრობდა ინგლისის ქალაქ დურჰამში. 2006 წელს კონტრაბანდული პროდუქციის შექმნის გამო დააკავეს. სასამართლო ახლაც მსჯელობს მისი ამერიკაში ექსტრადირების თაობაზე.

ალი რეზა ასგარი - ირანის თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი და რევოლუციური გვარდიის გენერალი. „მოსადის“ ინფორმაციით იგი არის „ჰესბოლას“ ერთ-ერთი დამა-

არსებელი. დაიკარგა 2007 წლის 7 თებერვალს თურქეთში ვიზიტის დროს. ბოლოს სტამბოლში სასტუმრო „გილანში“ ნახეს.

ამირ ჰოსეინ არდებილი - დაიბადა 1974 წლის 3 ივლისს ქალაქ შირაზში. 2007 წლის 2 ოქტომბერს თბილისში სასტუმრო „მერიოტში“ დააკავეს. 2008 წლის 26 იანვარს ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადირება სპეციალური ავიარეისით გაუკეთეს.

თეირანის განცხადებით, ოთხივე პიროვნება ამერიკის სპეცსამსახურის უშუალო ჩარევით გაუჩინარდა. შაჰრამ ამირის ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაცია საერთოდ არ არსებობს. ირანული მხარე ამერიკასთან ერთად პასუხისმგებლობას იმ სახელმწიფოებსაც აკისრებს, საიდანაც მათი მოქალაქეები გაიტაცეს, ან დაკავების შემდეგ ამერიკას გადასცეს.

საუდის არაბეთში გაუჩინარებული პილიზირი

გავრცელებული ინფორმაციით, შაჰრამ ამირი საუდის არაბეთში 31 მაისს მეჩეთის მოსალოცად გაემგზავრა და ოჯახს უკანასკნელად 3 ივნისს, ტელეფონით დაუკავშირდა. ამის შემდეგ მასზე არაფერი სმენიათ.

ირანი პასუხისმგებლობას აღნიშნულ ფაქტზე საუდის არაბეთის ხელისუფლებას აკისრებს, თუმცა მიაჩნიათ, რომ ამ ისტორიაში ამერიკელების ხელი ურევია. „ჩვენ მოვიპოვეთ დოკუმენტები, რომელიც ჩვენი მოქალაქის, შაჰრამ ამირის გატაცებაში ამერიკის ჩარევას ამტკიცებს“. – საგარეო საქმეთა მინისტრის ეს განცხადება ირანული Press TV-ს ვებგვერდზე განთავსებული.

თუ რატომ შეიძლებოდა ამერიკული სპეცსამსახურები შაჰრამ ამირით დაინტერესებულიყვნენ – ამაზე ოფიციალური ირანი არ საუბრობს. ინგლისურენოვანი არაბული გამოცემის „ამარქ ალ-ავსატის“ ცნობით, კომენტარს არც ამერიკული მხარე აკეთებს. ადგილობრივ და საერთაშორისო მედიაში კი ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამირი ბირთვული იარაღის წარმოებასთან იყო დაკავშირებული. ოჯახის წევრების ინფორმაციით, იგი ირანის ატომური ენერჯის ორგანიზაციაში (AEOI) ბირთვული იარაღის ექსპერტად მუშაობდა. ასევე თეირანის უნივერსიტეტში მედიცინაში ბირთვული ტექნოლოგიების გამოყენების საკითხებს იკვლევდა.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ადასტურებს, რომ აღნიშნული პიროვნება მალეკ-აშტარის ტექნოლოგიების უნივერსიტეტში (Malek-Ashtar University of Technology) მკვლევრად მუშაობდა.

„აშარქ ალ-ავსატის“ ინფორმაციით, მალეკ-აშტარის ტექნოლოგიების უნივერსიტეტს ირანის რევოლუციური გვარდია მართავს და აფინანსებს. ისლამური რევოლუციის გვარდია ირანის არმიის ერთ-ერთი ქვედანაყოფია. მის შემადგენლობაშია საზღვაო ფლოტი, საჰაერო ავიაცია და სადაზვერვო სამსახური. გვარდიას ექვემდებარება

ირანის სამხედრო მილიცია, ე.წ. ბასიჯი, რომლის შემადგენლობაშიც 90 000 რეგულარული ჯარისკაცი და 300 000 რეზერვისტია. დაუზუსტებელი ინფორმაციით, რევოლუციური გვარდია აკონტროლებს ირანის სტრატეგიულ რეაქტიულ საშუალებებს. „მალეკ-აშტარის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა, რათა განახორციელოს სპეციალური კვლევის პროექტები ირანის სამხედრო და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. უნივერსიტეტი ქალაქ ისპაჰანში მდებარეობს და მისი ფაკულტეტები აერონავიგაციაში,

ელექტრო ინჟინერიასა და ბირთვულ ფიზიკაში სპეციალიზდება. ისპაჰანში ასევე ურანის გამამდიდრებელი საწარმო მდებარეობს“. – „აშარქ ალ-ავსატი“ ამ ინფორმაციას ანონიმურ ირანულ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს. აღნიშნული უნივერსიტეტი, გაეროს ინფორმაციითაც, ირანის ბირთვულ პროგრამასთან იყო დაკავშირებული.

ბირთვული იარაღის წარმოებასთან ამირი ერთი მნიშვნელოვანი გარემოების გამოც დააკავშირეს. მისი გაქრობიდან რამდენიმე თვეში ურანის გამამდიდრებელი მეორე საწარმო გამოჩვენდა, რომელსაც ირანში ქალაქ ქომში აშენებდნენ. თავისთავად გაჩნდა ეჭვი მეცნიერის გაქრობასა და ამ საიდუმლოს გამჟღავნებას შორის არსებულ კავშირზე. ირანული სააგენტო JANA NEWS-ის ინფორმაციით, შესაძლოა ამირი თავად გაიქცა საზღვარგარეთ და ურანის გამამდიდრებელ საწარმოსა და ასევე ატომური პროგრამის შესახებაც, მან ინფორმაცია ამერიკულ დაზვერვას გადასცა.

თურქეთში გაუჩინარებული ბენერალი

გენერალ ალი რეზა ასგარს რევოლუციურ გვარდიასა და ირანის თავდაცვის სამინისტროში მაღალი თანამდებობა ჰქონდა. ბრიტანულ „გარდიანთან“ ინტერვიუში ისრაელის დაზვერვის ყოფილი მაღალჩინოსანი – რამ იგრა, ლიბანში „ჰესბოლას“ ერთ-ერთ დამფუძნებლად ასგარს ასახელებს. ალი რეზა რეფორმისტულ ხელისუფლებაში ირანის ყოფილ პრეზიდენტთან, მოჰამედ ხათამთან მუშაობდა. მაჰმუდ აჰმადინეჟადის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი – თანამდებობა დატოვა.

ირანული მედიის ცნობით, ასგარი თურქეთში 2007 წლის 7 თებერვალს საქმიანი ვიზიტისას გაქრა. მისი ორივე ცოლი ზიბა აჰმადი და ზაჰრა აბდულაპური სააგენტო ILNA-ს (Iranian Labour News Agency) საშუალებით იტყობინებიან, რომ მათი მეუღლე თურქეთის უშიშროების სამსახურმა ისრაელს გადასცა. თუ რა ვითარებაში გაქრა ყოფილი სამხედრო, გაურკვეველია. ირანული სპეცსამსახურები ირწმუნებიან, რომ ის უკანასკნელად სტამბოლში სასტუმრო Ghilan-ში ნახეს. სხვა ინფორმაციით, 5 თებერვალს ორმა უცნობმა სპეციალურად ასგარისთვის სტამბოლის Ceylan Hotel-ში ნომერი სამი ღამით დაჯავშნა, თუმცა ამ ნომრით ასგარს არ უსარგებლია.



■ მანუჩერ მოტაკი და ბან კი მუნი, ჟენევა 2009

„ვაშინგტონ პოსტი“ ამერიკულ ოფიციალურ წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ გენერალი დასავლურ სადაზვერვო სამსახურებთან თანამშრომლობდა. მისგან მნიშვნელოვან ინფორმაციას იღებდნენ ირანის ბირთვული პროგრამის, რევოლუციური გვარდიის, „ჰესბოლასა“ და ირანის რეაქტიული პროგრამის შესახებ. ასგარის ოჯახი უარყოფს, რომ მან ირანს უღალატა და თანამშრომლობდა დასავლურ დაზვერვასთან. მისი ცოლები და 5 შვილი ამჟამად ირანში, ასგარის მშობლიურ ქალაქ შირაზში ცხოვრობენ. ოჯახის წევრები ამბობენ, რომ ალი რეზა ასგარი მათ საზღვარგარეთ წაყვანას არ გეგმავდა.

კონტრაბანდაში ეჭმიტანილი პროფესორი

ერთადერთი ირანელი, რომლის ზუსტი ადგილსამყოფელიც ცნობილია – ყოფილი დიპლომატი ნოსრათოლა ტაჯიკია. 2006 წელს ის ბრიტანეთში 50 000 დოლარის ღირებულების ღამის

მართლო პროცესი 4 თვეში დასრულდა. 2008 წლის 26 იანვარს ირანის მოქალაქე ამერიკას გადასცეს.

ამირ ჰოსეინ არდებილი თბილისში 2007 წლის 1 ოქტომბერს ჩამოფრინდა. ამავე დღეს საქართველოს პროკურატურასა და ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტებს შორის სამართლებრივი დახმარების შესახებ სპეციალური ხელშეკრულება გაფორმდა. დოკუმენტის თანახმად, ამერიკელმა კოლეგებმა ქართველებს არდებილის დაკავება და მისი ამერიკაში ექსტრადირება მოსთხოვეს. ამირ ჰოსეინი მეორე დღეს სასტუმრო „მერიოტში“ ქართველმა სამართალდამცავებმა დააპატიმრეს.

ბრძანება ამირ ჰოსეინ არდებილის, იგივე – ალექს დეივისი, იგივე – ამირ აჰქამის, იგივე – არამ ქორენის დაკავების შესახებ მასაჩუსეტსის ოლქის მოსამართლემ 2007 წლის 28 სექტემბერს გასცა. მას ბრალად კონტრაბანდა, შეიარაღების კონტროლის აქტის დარღვევა, საერთაშორისო საგანგე-

რის შეთანხმების თაობაზე, ცნობილი გახდა ამერიკის სპეცსამსახურისთვის. მათ მოიპოვეს დოკუმენტაცია ფულადი გადარიცხვის თაობაზე და ასევე იმეილი, რომელშიც არდებილი აკრძალულ პროდუქციას ითხოვდა.

ირანის ელჩის მოადგილე, ალი მაქთაბ ფარი „ლიბერალთან“ საუბარში აცხადებს, რომ აღნიშნულ ელექტრონულ წერილში საუბარი რაღაც სამხედრო მონყობილობის შექენაზე იყო. ამერიკული საგაფრო ემბარგოს მიხედვით, ამ ტიპის პროდუქციის მიყიდვა მხოლოდ ირანელებისთვის იკრძალება. საგაფრო ემბარგო ამერიკული წარმოების სხვადასხვა ელექტრომონოპოლიობას, სამხედრო და საავიაციო ტექნიკას ეხება.

არდებილის სახაზინო ადვოკატის, სულხან კომახიძის ინფორმაციით, მას რაღაც ელექტროდეტონატორი უნდა შეეძინა, რომლის გამოყენებაც არაერთგვაროვნადაა შესაძლებელი. მანვე გვითხრა, რომ ასევე საუბარი იყო იარაღის ნაწილებზეც.

ამირ ჰოსეინ არდებილი თბილისში 2007 წლის 1 ოქტომბერს ჩამოფრინდა. შეთანხმების თანახმად, ამერიკელმა კოლეგებმა ქართველებს არდებილის დაკავება და მისი ამერიკაში ექსტრადირება მოსთხოვეს. ამირ ჰოსეინი მეორე დღეს სასტუმრო „მერიოტში“ ქართველმა სამართალდამცავებმა დააპატიმრეს.

ხედვის კონტრაბანდული ტექნიკის შექენისთვის დააკავეს. ეს ტექნიკა მას ლონდონიდან ირანში მიჰქონდა. ბრიტანელმა სამართალდამცავებმა ტაჯიკი ამერიკული ანტიტერორისტული სამსახურის ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს. ნოსრათოლა ტაჯიკს ბრალად ედება ისლამისტი ექსტრემისტებისთვის სამხედრო ტექნიკის მიყიდვა.

იორდანიაში ირანის ყოფილი ელჩი ინგლისის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ქალაქ დურჰამში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. ის ადგილობრივი უნივერსიტეტის ახლო აღმოსავლეთისა და ისლამის განყოფილებასთან თანამშრომლობდა. მისი სასამართლო პროცესი ამერიკაში ექსტრადირების შესახებ ბრიტანეთის სასამართლოში დღესაც გრძელდება.

საეცოპარაცია თბილისში

ინგლისისგან განსხვავებით, ამირ ჰოსეინ არდებილის საქართველოდან ამერიკაში ექსტრადირების თაობაზე სასა-

ბო ეკონომიკური უფლებამოსილების აქტის დარღვევა და ფულის გათვითრება ედება. ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე მას სამთვიანი საექსტრადირაციო პატიმრობა შეეფარდა.

თბილისში ჩამოსვლამდე ამირ ჰოსეინ არდებილი ელექტრონული ფოსტისა და Skype-ის საშუალებით მოლაპარაკებებს აწარმოებდა იმ პროდუქციის შესახებ, რომელთა ირანელებზე მიყიდვა ამერიკულ კომპანიებს ირანისთვის დაწესებული ემბარგოს გამო აკრძალული აქვთ.

იგი ინტერნეტით პარტნიორებს სხვადასხვა სახელით – ალექს დეივი, ამირ აჰქამი, არამ ქორენი – უკავშირდებოდა.

ერთ-ერთი ასეთი მოლაპარაკებისას შეთანხმდნენ, რომ მას პროდუქციას მიყიდდნენ და არდებილმა ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებულ კომპანიას ანგარიშზე თანხა გადაურიცხა.

არდებილსა და კერძო კომპანიას შო-

თუ კონკრეტულად რას ყიდულობდა არდებილი, არც მისმა მეორე ადვოკატმა თემურ გოგასაძემ დაგვიზუსტა. „ჩვენი ქვეყანა შეიძლება სპეციალურ ატომურ ტერორში გახვეულიყო. ძალიან სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა კავკასიას. აქვეა მცხეთის ატომური რეაქტორი“, – უთხრა გოგასაძემ „ლიბერალს“.

ჩვენ გადავამოწმეთ ინფორმაცია, შესაძლებელი იყო თუ არა რაიმე კუთხით მცხეთის ატომური რეაქტორი ყოფილიყო ვინმეს ინტერესის საგანი, თუმცა საგულისხმოს ვერაფერს მივაკვლიეთ.

მცხეთის ატომური რეაქტორი 1998 წლიდან აღარ ფუნქციონირებს. იქ არსებული ურანი შოტლანდიაში გაიტანეს. დარჩენილი მავნე ნივთიერებები კი დააბეტონეს, რომ გარშემო ტერიტორიების მონამვლის საფრთხე არ გაჩენილიყო. „ამჟამად მცხეთის ატომური რეაქტორის ტერიტორიაზე დაშლილი დანადგარებია დარჩენილი, რაც იმდენად ძველია, რომ არა მგონია ვინმეს

ანტირესებს, – აცხადებს ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ზაზა როსტომაშვილი.

„ხელი მაქვს მოწერილი სპეციალურ დოკუმენტზე, რის გამოც რაღაცების თქმა არ შემძლია. არსებობს რაღაც საკითხები, რასაც ვერ დავაკონკრეტებ. ვინაიდან ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას და უშიშროებას უკავშირდება და საკმაოდ სოლიდური სკანდალია“, – ამბობს გოგსაძე.

რატომ გადაურჩა საქართველო სერიოზულ სკანდალს? შესაძლოა არდებილს საქართველოში უნდა მიეღო ის პროდუქცია, რაშიც თანხის ნაწილი გადაიხადა. ან არდებილი სულაც თბილისის ე.წ 31-ე საავიაციო ქარხნიდან აპირებდა რამის ყიდვას, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ნამდვილად იქნებოდა სკანდალი.

რამდენიმე წლის წინ პრესაში გამოქვეყნდა მასალები, რომ თავდაცვის სამინისტრომ ლამის სპეცოპერაციის შედეგად რკინიგზის დეპარტამენტის

შუალბით ჩაუტანეს.

ამის შემდეგ 31-ე ქარხნის რამდენიმე თანამშრომელი ირანში იმყოფებოდა, თუმცა ქარხნის ადმინისტრაცია ირანში არსებობდა, რომ მათ ირანში არავინ გაუგზავნიათ, ვინაიდან აღნიშნული თანამშრომლები იმ პერიოდში შეგებულებაში იმყოფებოდნენ და სადაც მოესურვებოდათ იქ წავიდოდნენ.

თავად ალი ჰოსეინ არდებილი ადვოკატებთან ამბობდა, რომ სამხედრო მფრინავი იყო. თუმცა „ასოშიეტედ პრესი“ მას ირანელ მეცნიერად მოიხსენიებს, რომელიც დაკავშირებული იყო ბირთვულ პროგრამასთან. არაბული „აშარქ ალ-ავსატის“ ცნობით კი ის ბიზნესმენია, რომელსაც ირანის რევოლუციურ გვარდიასთან ჰქონდა კავშირი. ირანის ელჩის მოადგილე ალი მაქთაბ ფარი ამტკიცებს: „ის ვაჭარია და არანაირი კავშირი, გარდა ვაჭრობისა, მას ირანის მთავრობასთან არ ჰქონია“. რა ტიპის პროდუქციით ვაჭრობდა არდებილი – საელჩოში არ დავგვიზუსტეს.

არა ირანის მოქალაქეს ამერიკაში ცემის, ან წამების საფრთხე, რაც ექსტრადირების ერთ-ერთი შემთხვევითი გარემოებაა.

საქართველოში ირანის ელჩის მოადგილის ალი მაქთაბ ფარის განცხადებით, საელჩო დიპლომატიურ დონეზე ცდილობდა საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას, რათა ექსტრადიცია არ შემდგარიყო. თუმცა მიზანს ვერ მიაღწიეს.

„ლიბერალიზმ“ არდებილის საქმის თაობაზე კითხვებით ამერიკის საელჩოსაკ მიმართა, თუმცა არ გვიპასუხეს.

აპრილში ადვოკატმა თემურ გოგსაძემ ამირ ჰოსეინ არდებილის დედის წერილი მიიღო: „შვილი ტელეფონით დამიკავშირდა. სულიერად დათრგუნული და სასონარკვეთილი იყო. თუ შესაძლებელია, ჩემს შვილს მიაწოდეთ ინფორმაცია გადადგმული ნაბიჯებისა და მიღებული ზომების შესახებ! იმოქმედეთ ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევთ, რომ არ შეგექმნათ პრობლემა! პატივისცე-

რატომ გადაურჩა საქართველო სერიოზულ სკანდალს? შესაძლოა, არდებილს

საქართველოში უნდა მიეღო ის პროდუქცია, რაშიც თანხის ნაწილი გადაიხადა. ან

არდებილი სულაც თბილისის ე.წ 31-ე საავიაციო ქარხნიდან აპირებდა რამის ყიდვას, რაც

ჩვენი ქვეყნისთვის ნამდვილად იქნებოდა სკანდალი.

ერთ-ერთი საწყობიდან CY 25-ის ორი ცალი მოტორი წაიღო და მას შემდეგ მათი კვალი დაიკარგა. მოტორების თაობაზე არაფერი იცოდა საჰაერო ძალების მაშინდელმა სარდალმა ჯოლოზორდ ბეროზაშვილმა, რომლის უწყების ბალანსზეც უნდა აღრიცხულიყო ეს ტექნიკა.

იმავე პერიოდში აზერბაიჯან-ირანის საზღვარზე ქალაქ ასტარაში 31-ე ქარხნის კუთვნილი საქონელი დააკავეს და მიუხედავად ქართული მხარის მტკიცებისა, რომ ირანში საყოფაცხოვრებო ტექნიკის ნაწილები გადაჰქონდათ, აზერბაიჯანელებმა ტვირთის კონფისკაცია მოახდინეს.

ამის შემდეგ იმავე ქარხნიდან გამოტანილი ტვირთი ავიარისით დუბაიში წაიღეს, თუმცა თვითმფრინავმა კურსი შეიცვალა და ჯერ ირანში ჩაფრინდა, თითქოსდა საწვავის შესავსებად.

გაჩნდა ეჭვი, რომ სახმელეთო გზით განცდილი ფიასკოს შემდეგ, ირანელებს მეორე მოტორი თვითმფრინავის სა-

ადვოკატმა თემურ გოგსაძემ ევროსასამართლოს მიმართა. სტრასბურგში გაგზავნილ საჩივარში ადვოკატი ექსტრადირების საქმეში არსებულ სამართლებრივ დარღვევებზე საუბრობს. მისი განცხადებით, არ არსებობდა ექსტრადიციის ფაქტობრივი საფუძველი, ვინაიდან არ მოხდა დაკავებულის იდენტიფიკაცია დანაშაულთან.

„იყო თუ არა ნამდვილად ამირ ჰოსეინ არდებილი – იგივე ალექს დეივი, ან არაშ ქორენი, ან ამირ აჰქამი – საქართველოს ამერიკისგან ამის დამადასტურებელი მასალები არ მიუღია. თუმცა შეგვეძლო მოგვეთხოვა“, – ამბობს გოგსაძე.

უზენაესმა სასამართლომ 26 იანვარს ძალაში დატოვა არდებილის ექსტრადიციის გადაწყვეტილება. განჩინება ირანელს ადვოკატის გარეშე წაუკითხეს და იმავე ღამეს ამერიკელებმა სპეცრეისით საქართველოდან წაიყვანეს.

გოგსაძის თქმით, ქართულმა მხარემ არ გაითვალისწინა – ემუქრებოდა თუ

მით, მოლოდინით აღსავსე დედა!“

საელჩოს ინფორმაციით, ამირ ჰოსეინის მშობლები, მეუღლე და მცირეწლოვანი ვაჟი შირაზში ცხოვრობენ. სამწუხაროდ, მათთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ.

თემურ გოგსაძე საქმის გასაჩივრებას ევროსასამართლოში აპირებს. თუმცა ამის უფლებამოსილება სამართლებრივად მას არ აქვს. რწმუნებულება თავად არდებლმა, ან მისმა ახლობელმა უნდა დაუდასტუროს. იმის გამო, რომ ექსტრადიციის დადგენილების მიღებისთანავე არდებილი ამერიკას გადასცეს, ადვოკატმა კლიენტისგან რწმუნებულების მიღება ვერ მოასწრო. ამის გამო გოგსაძე საქმეს ვერც ფრანგ ადვოკატს გადასცემს, რომელიც ირანის ხელისუფლებამ დაიქირავა. სტრასბურგში საქმის წარდგენის საბოლოო ვადა 2009 წლის 25 დეკემბერია. ამის შემდეგ გაირკვევა ევროსასამართლო განიხილავს თუ არა საქმეს – „არდებილი საქართველოს წინააღმდეგ“. 



გეოპოლიტიკა

უკრაინა

არაფერი პირადული – მხოლოდ ბიზნესი

2010 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უკრაინის საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეიცვლება – ის უფრო თავშეკავებული და პრაგმატული გახდება. საქართველო ერთ-ერთი პირველი იქნება, ვინც საკუთარ თავზე გამოცდის უკრაინის ამ ნეორაციონალიზაციას.

ოლგა რეკა, კვივი

ნოემბრის დასაწყისში უკრაინის წინასაარჩევნო კამპანია ძლიერ შეკვეცილია „კალიფორნიული გრიპის“ გამო – რეგიონებში დაგეგმილი მიტინგები გადაიდო, დედაქალაქში აღარ ტარდება საპროგრამო ღონისძიებები. ამომრჩეველთათვის ამას აშკარად აქვს თავის პლუსები: ყველა

საინფორმაციო საშუალება და კომენტატორი მეტ-ნაკლებად ობიექტურ საკითხზე მსჯელობს – როგორ დაამარცხონ ეპიდემია. არადა, ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ ქვეყანაში რიგით მეორე მსხვილი წინასაარჩევნო პიარ-სკანდალი გორდებოდა – „არტეკის“ პედოფილების საქმე „ყირიმში

ისლამურ ექსტრემიზმთან დაკავშირებული საქმეს“ უნდა შეეცვალა.

შემოქმედებითად ძუნწმა და სიბინძურით სავსე საპრეზიდენტო კამპანია უკვე გამოავლინა თავისი მთავარი თვისება: ამ არჩევნებზე მხოლოდ შიდაპოლიტიკური თემებია აქტიუალური. კანდიდატები ერთმანეთს არ აცლიან, ამომრჩეველს კრიზისიდან გამოსვლის საკუთარი სტრატეგია შესთავაზონ, ერთმანეთს პოპულიზმს უკრიტიკებენ, საკუთარ თავს კი ძლიერ ლიდერებად და ეფექტურ მენეჯერებად წარადგენენ. საგარეო პოლიტიკაში ქვეყნის უმაღლეს თანამდებობაზე პრეტენდენტთათვის 2009 წლის დასასრულს მხოლოდ ორი თემა არსებობს – რუსეთი და ევროკავშირი; თანაც კამპანიის ფავორიტები (იანუკოვიჩი – ტიმოშენკო – იაცენიუკი) ამომრჩეველს მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან ფორმულას სთავაზობენ, „ევროინტეგრაციის გაგრძელება და მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესება“. უკრაინის ნატო-ში შესვლის საკითხი კი სამომავლოდაა გადადებული – როგორც ალიანსის მონინაალმდებელების, ასევე – მისი მომხრეების მხრიდან.

ვიქტორ იანუკოვიჩისთვის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი რუსეთთან ურთიერთობაა. მას რუსეთის ხელისუფლების ტრადიციული და გაცხადებული მხარდაჭერა აქვს და ამას არათუ მაღავეს, არამედ ეამაყება კიდევ. თუმცა, ამავედროულად, პრო-რუსული ორიენტაციის ოპოზიციის ლიდერს არც ევროინტეგრაციის საინინაალმდებელო აქვს რამე.

პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო კი ცნობილია გულთბილი დამოკიდებულებით ევროპის სახალხო პარტიისადმი, კერძოდ კი ფრანგი მემარჯვენეებისადმი. ტიმოშენკო ევროკავშირში მაღალ დონეზე მიღებული იულია ვლადიმეროვნას რიტორიკაში ტრადიციულად განსაკუთრებულია გამახვილებული ყურადღება ევროპული უსაფრთხოების სისტემაზე და არასოდეს არაფერია ნათქვამი ნატო-სთან დაკავშირებით.

დეპუტატმა და პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა არსენ იაცენიუკმა, რომელიც წინასწარი გამოკითხვების შედეგებით იანუკოვიჩსა და ტიმოშენკოს მნიშვნელოვნად ჩამორჩება, თუმცა მესამე ადგილს მყარად ინარჩუნებს, ოქტომბერში გაახმოვანა აღმოსავლეთ ევროპის მოწყობის

■ უახლოეს წლებში უკრაინული დიპლომატიის ამოცანა მოსკოვთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა იქნება. სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, ეს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად მოსახლეობის 51%-ს მიაჩნია. ასევე, გაგრძელდება ევროკავშირთან მოლაპარაკებები, რაც პრიორიტეტად 27%-ზე მეტმა გამოკითხულმა ჩათვალა.

მისეული ხედვა. იაცენიუკს ნატო-ს საპირწინა ინტეგრაციული გაერთიანების პროექტი აქვს, რომლის მამოძრავებელი ძალა დიდი უკრაინა გახდება, დანარჩენი ქვეყნები კი თავადვე დაინწყებენ თხოვნას ამ გაერთიანებაში მოსახვედრად. ოლონდ, იაცენიუკს არ აქვს მკაფიო პასუხი კითხვაზე – მაინც რით უნდა მიიზიდოს მეზობლები მისმა „უკრაინამ, როგორც ავსტრო-უნგრეთის იმპერიის მემკვიდრემ“.

მოქმედი პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო ერთადერთია, ვისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ წელსვე მოხდეს გარღვევა საგარეო პოლიტიკაში. ასეთი გამარჯვება მას საკუთარი პოპულარობის რეიტინგის ამაღლებასა და ფავორიტების სამეფულთან მიხლოებაში დაეხმარებოდა. თუკი იუშჩენკოს მმართველობის წლებში ურთიერთობათა მიზანმიმართულ „გაციებას“ გავითვალისწინებთ, რუსეთის მიმართულებით ასეთი გარღვევის ახლა მიღწევა შეუძლებელია. ამიტომაც პრეზიდენტმა პრიორიტეტად დასავლური მიმართულება აირჩია, და უკვე ზედიზედ რამდენჯერმე წინასწარ მოინონა თავი უკრაინასა და ევროსაბჭოს შორის ასოციაციის შექმნასთან დაკავშირებით შეთანხმებით, რომელსაც, მისი თქმით, ხელი დეკემბერში მოენერება. თუმცა, ოქტომბრის შუარიცხვებში ევროკომისიის ხელმძღვანელთან ჟოზე მანუელ ბაროზუსთან შეხვედრისას ვიქტორ იუშჩენკომ მისთვის არცთუ ოპტიმისტური რჩევა მოისმინა – კონკრეტული მიღწევებით დაკმაყოფილებულიყო და თავი შეეკავებინა „პარალიტური ანონსებისგან“. მას შემდეგ უკრაინის ევროკავშირთან დაახლოება უახლოესი მომავლის გეგმის ნაწილი აღარაა.

დღეს უკრაინის საგარეო პოლიტიკა მისი საშინაო პოლიტიკის მძევლად რჩება. ქვეყანაში საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების რამდენიმე ცენტრია: პრეზიდენტის –

ეროვნული უშიშროების საბჭო და სამდინო, ვიცე-პრემიერის ევროინტეგრაციის ბიურო და პრემიერის დაქვემდებარებაში მყოფი რელიევანტური პროფილის სამინისტროები. პრეზიდენტისა და პრემიერის ურთიერთდაპირისპირების გამო, დიპლომატებს ძალიან შეზღუდული სივრცე რჩებათ მანევრებისთვის: ტიმოშენკო არაერთხელ შეხვედრია უცხოელ კოლეგებს ისე, რომ საელჩოების წარმომადგენლები არ მიუწვევია, იუშჩენკო კი დიპლომატებისგან მოითხოვდა, სხვა ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროებში მთავრობის მეთაურის მანებლური პოლიტიკის შესახებ განმარტებითი საუბრები ჩაეტარებინათ. ნათელია, რომ ვიდრე ქვეყანაში კონ-



საპრაზიდიენტო არჩევანი რომ შეაღებ კვირას ტარდაბოლას, ვის მისცაღმთ ხმას?

| ოქტომბერი 2009 | |
|-----------------------|-------|
| ვიქტორ იანუკოვიჩი | 28.9% |
| იულია ტიმოშენკო | 20.3% |
| არსენი იაცენიუკი | 8.2% |
| ვიქტორ იუშჩენკო | 4.9% |
| ყველას გადავხაზავდი | 8.2% |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 13.6% |

რაზუმკოვის ცენტრის სოციოლოგიური სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევა, ოქტომბერი 2009. გამოკითხულია 18 წელს გადაცილებული 2010 რესპოდენტი უკრაინის ყველა რეგიონიდან, მათ შორის – კიევსა და ყირიმში.

სოლიდირებული სახელმწიფოებრივი პოზიციები არ არსებობს, საგარეო პოლიტიკის ეფექტურად წარმართვა შეუძლებელია.

„ჩვენ ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა რომ ყოფილიყო, გარნმუნებთ, დღეს უკვე ევროკავშირთან ჩვენი წევრობის პერსპექტივას განვიხილავდით, 99%-ით დარწმუნებული ვარ“, – ამბობს უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ევროკავშირის დიპლომატათის მოლაპარაკებათა მკაცრი სტილით ცნობილი კონსტანტინ ელისევი.

მიუხედავად იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ჯერ უცნობია, უკრაინის საგარეო პოლიტიკის შემდგომი მიმართულება უკვე გამოკვეთილია.

„პრეზიდენტობის კანდიდატი და პრეზიდენტი – ეს ორი სრულიად განსხვავებული რამაა. ერთია წინასწარჩენო განცხადებები, მეორე კი პრეზიდენტის საქმიანობა. როგორც უნდა იყოს არჩევნების შედეგი, ქვეყნის სტრატეგია უცვლელი დარჩება, – ამბობს კონსტანტინ ელისევი, – ერთადერთი, რაც შეიძლება შეიცვალოს, და რაც ძალიან მინდა – არის ტაქტიკა მიზნების მისაღწევად. ჩვენ ახალი ტაქტიკა გვჭირდება: პრაგმატული, რეალისტური და აბსოლუტურად კონკრეტული მოქმედებები. თუნდაც ეს იყოს პატარა ნაბიჯები, ოლონდ – სწორი მიმართულებით გადადგმული“.

ნათელია, რომ უახლოეს წლებში უკრაინული დიპლომატიის ამოცანა მოსკოვთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა იქნება. სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, ეს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად მოსახლეობის 51%-ს მიაჩნია. (შედარებისთვის, იმავე კითხვაზე ამერიკის შეერთებული შტატები გამოკითხულთა მხოლოდ 0,6%-მა დაასახელა). ასევე, გაგრძელდება ევროკავშირთან მოლაპარაკებები, რაც პრიორიტეტად 27%-ზე მეტმა გამოკითხულმა ჩათვალა. უკრაინის რეგიონული პოლიტიკაც ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით განვითარდება და ეს მიდგომა პირველ რიგში შავიზღვისპირეთის რეგიონს შეეხება.

უახლოეს ხანებში ძველი მეგობრებისთვის უკრაინასთან თანამშრომლობის ყველაზე ხელმისაწვდომი ფორმატი, სავარაუდოდ, „აღმოსავლური პარტნიორობის“ პროგრამა

გახდება. პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობის ევროკავშირის ეს პროექტი, ჯერ ერთი, უკრაინის ევროკავშირთან დაახლოების მიზანს ემსახურება, და მეორეც – „აღმოსავლურ პარტნიორობაში“ ისეთი არაფერია, რაც რუსეთის ძირეულ ინტერესებს ეწინააღმდეგება – მაგალითად, ამ პარტნიორობით არ არის გათვალისწინებული ჩარევა უსაფრთხოების პოლიტიკაში ან სამხედრო პოლიტიკური თანამშრომლობა. საგულისხმოა, რომ უკრაინის საპრეზიდენტო რბოლის ფავორიტად არც ერთი საუბრობს მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების შესახებ.

29 ოქტომბერს კიევის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში უკრაინის წამყვანი დიპლომატები და ექსპერტები მსჯელობდნენ, თუ რა ადგილს იკავებს უკრაინა ევროკავშირ-ნატო-რუსეთის ურთიერთობათა სამკუთხედში. ბევრი მონაწილის აზრით, აღმოსავლეთ ევროპაში ორი პოლუსის ჩამოყალიბების საშიშროება იზრდება. ხოლო ამ პოლუსების – ევროკავშირისა და რუსეთის – არსებობა რეგიონს „ნაცრისფერ ზონად“ აქცევს, სადაც კონკურენციის წესები კიდევ დიდხანს არ დარეგულირდება.

საერთაშორისო უსაფრთხოების ნაციონალური ინსტიტუტის ექსპერტის, ბორის პარახონსკის აზრით, შავიზღვისპირეთის რეგიონში, სადაც უკრაინა მდებარეობს, გავლენების ჭიდილში გამარჯვების მეტი შანსი რუსეთს აქვს: „ევროკავშირი, ევროსაბჭო და ეუთო ინტერესთა ბალანსით მოქმედებენ და ამიტომაც რეგიონში ეფექტურად ვერ მუშაობენ“. ამავე ინსტიტუტის მეორე ექსპერტი, ოლეგ ბოდრუკი დასძინს: „ერთადერთი ბირთვული ძალა შავიზღვისპირა რეგიონში რუსეთია. თავის სამხედრო გავლენას ის სწორედ სევასტოპოლის ხარჯზე და უშუალოდ სევასტოპოლში გააძლიერებს“.

ასე რომ, უკრაინის ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ უკრაინა-საქართველოს ურთიერთობებში ნაკლებად მოსალოდნელია, შაბათ-კვირით პრეზიდენტების თხილამურებით ერთად სრიალი გაგრძელდეს. თუმცა, ორივე ქვეყანას ეძლევა შანსი, ბოლომდე გამოიყენონ ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამით გათვალისწინებული ეკონომიკური თანამშრომლობის შესაძლებლობები და რეგიონული პროექტების განხორციელებაში მეტი წვლილი შეიტანონ. ■



აუშევის დაკრძალვა, სოფ. სურხაზი, ინგუშეთი, 26 ოქტომბერი 2009

ინგუშეთი

პინ იქნება შეშლები?

ოპოზიციონერების და ადამიანის უფლებათა დამცველების მკვლელობა ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე ტრადიციად იქცა.

25 ოქტომბერს, როცა მაკჰარიზ აუშევის დაცხრილული ცხედარი მისსავე მანქანაში ნალჩიკთან იპოვეს, ტელეკომპანია რენ-ტვ-ზე გადიოდა სიუჟეტი, სადაც ერთ-ერთი მოქმედი პირი სწორედ აუშევი იყო – ცოცხალი და სალ-სალამათი.

პოლიტიკური მკვლელობები რუსეთში ისეთი ხშირია, რომ ჩვეულებრივ ყოველდღიურობად იქცა.

ცნობილი ინგუში ოპოზიციონერის, ადამიანის უფლებათა დამცველის და საინფორმაციო ინტერნეტ-საიტ ინგუშეთია. რუ-ს ყოფილი მფლობელის მაკჰარიზ აუშევის მკვლელობა ამ დაუსრულებელი ჯაჭვის ბოლო რგოლია. მაკჰარიზის ავტომანქანას ყაბარდო-ბალყარეთში დღისით-მზისით, ფედერალურ მაგისტრალ „კავკაზზე“ გაუხსნეს ცეცხლი.

ორიოდე თვის წინ მეზობელ ჩეჩნეთში

სახიფათო შეთანხება

29 ოქტომბერს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და უკრაინამ ორმხრივი ენერგოსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის (BESWG) შექმნის შესახებ განაცხადეს. სამუშაო ჯგუფის მიზანია „ძაღების გაერთიანება უკრაინისა და ევროპის ენერგოსაფრთხოების გაძლიერების სფეროში“. ჯგუფის პირველ სხდომაზე მხარეებმა განიხილეს უკრაინაში ენერგოსაფრთხოების გაზრდის საკითხები და უკრაინის ენერგოსექტორში დაგეგმილი რეფორმები.



ენერგეტიკული პროგრამების ცნობილი ექსპერტი, ვლადიმირ ომელჩენკო კი „ლიბერალთან“ ინტერვიუში განმარტავს, რომ ენერგეტიკულ საკითხებში სხვა ქვეყნის ჩართვა უკრაინის ხელისუფლებისთვის საკმაოდ სახიფათო თამაში შეიძლება აღმოჩნდეს: „სამუშაო ჯგუფის სახელწოდებაც კი მაფრთხობს,

რადგან ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხები უკრაინის შიდა საქმეა და მათი მოგვარებაც მხოლოდ ქვეყნის ხელისუფლებას ევალება. ეს თანამშრომლობა, ვფიქრობ, უკრაინაზე მეტად შეერთებული შტატებისთვის იქნება სასარგებლო, რომელსაც ძალიან აშფოთებს რუსეთის მზარდი გავლენა ჩვენ რეგიონზე. უკრაინის მთავარი ამოცანაა, არ დაუშვას ამ საკითხის პოლიტიზაცია, რადგან თუ ქვეყნის ენერგეტიკა, რომელიც პრაგმატულ მიდგომასა და დაუყოვნებლივ რეფორმებს ითხოვს, რუსეთსა და ამერიკას შორის პოლიტიკური თამაშების იარაღი გახდება, ამ თამაშში მხოლოდ უკრაინა დარჩება ნაგებული“.

დასაფლავებს ზარემა სადღლავეა, ბავშვთა საქველმოქმედო ორგანიზაციის დირექტორი და მისი მეუღლე. ისინი მოკლეს და შემდეგ ავტომანქანის საბარგულში გადაამალეს. 15 ივლისს ინგუშეთში უშიშარი ჩეჩენი ადამიანის უფლებათა დამცველის ნატალია ესტიმროვას ცხედარი იპოვეს.

არც ერთი ეს საქმე გამოძიებული არ არის. არავინ დაუპატიმრებიათ, არავისზე მიუტანიათ ეჭვი. დაუსჯელები დადიან ადვოკატ სტანისლავ მარკელოვის და ჟურნალისტ ანასტასია ბაბუროვას მკვლელები. თავისუფლები არიან ანა პოლიტოვსკაიას მკვლელებიც. ეს მამაცი ადამიანები ცდილობდნენ, ყურადღება მიეპყროთ იმ განუკითხაობისთვის, რაც ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და კავკასიის სხვა რესპუბლიკებში ხდება. მკვლელობები, ადამიანთა წამებისა და გაუპატიურების ფაქტები აქ ჩვეულებრივი ცხოვრების ნაწილი გახდა.

რუსეთის ძლიერადმოხილი ლიდერები ამ განუკითხაობას ყურადღებას არ აქცევენ. პუტინის ცინიზმს საზღვარი არ აქვს და ეს ანა პოლიტოვსკაიას მკვლელობის შემდეგ მის კომენტარში გამოჩნდა. მედვედევი ოდნავ უფრო კორექტულია: უსამძიმრებს დაღუპულთა ოჯახებს და ერთხელ იმ გაზეთის რედაქტორსაც შეხვდა, სადაც პოლიტოვსკაია და ბაბუროვა მუშაობდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, მედვედევს არ აქვს საკმარისი გავლენა რუსეთის სპეცსამსახურებში.

ერთი წლის წინ, როდესაც ინგუში ოპოზიციონერი ჟურნალისტი, იმავ ინტერნეტ-გამოცემის „ინგუშეთი.რუ“-ს მფლობელი მაგომედ ევლოევი მოკლეს, მაკშარი აუშევმა ინგუშეთში მიტინგების ტალღა ააგორა. აუშევი ინგუშეთის იმდროინდელი პრეზიდენტის მურატ ზიაზიკოვის შეურიგებელი ოპონენტი იყო და ევლოევის მკვლელობაში მას ადანაშაულებდა. რესპუბლიკაში ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ მედვედევი იძულებული გახდა, ზიაზიკოვი თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა. თუმცა, ვერც ახალმა პრეზიდენტმა მოახერხა უკანასკნელი მკვლელობის თავიდან აცილება. ევკუროვმა, რომელიც თავად სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს ტერორისტი-თვითმკვლელის თავდასხმის შემდეგ, აუშევის მკვლელობაზე მთელი პასუხისმგებლობა „ძალოვან სტრუქტურებს“ დააკისრა.

რუსეთში ყველა იცის, ვინე ლაპარაკობს ევკუროვი: ბოვიკებზე, რომელთაც ჩეჩნეთის მმართველი რამზან კადიროვი ხელმძღვანელობს და უშიშროების კადერალურ სამსახურზე – სუკ-ის შთამომავალზე, რომლის წიაღშიც იშვა პუტინი.

ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეუძლია შეწყვიტოს ეს შემადრწუნებელი, ხელისუფლების მიერ სანქცირებული მკვლელობები,

ბი, პუტინია. მაგრამ მას ეს არ სჭირდება. წარსულში კრემლის ლიდერებს არაერთხელ გამოუყენებიათ გახმაურებული მკვლელობები თავიანთი ხელისუფლების გასამყარებლად.

რუსეთის ფედერაციის პროკურატურასთან არსებულმა საგამოძიებო კომიტეტმა აუშევის მკვლელობის ხუთი ვერსია წამოაყენა. არც ერთი მათგანი არ უკავშირდება მის საზოგადოებრივ აქტივობას და სამსახურებრივ საქმიანობას.

ადამიანის უფლებათა დამცველი ცენტრის „მემორიალის“ ინგუშეთის განყოფილებაში ამბობენ, რომ მათთვის ცნობილია მხოლოდ ერთადერთი კონფლიქტის შესახებ,



■ აუშევის დაკრძალვა, სოფ. სურხახი, ინგუშეთი, 26 ოქტომბერი 2009

რომელშიც აუშევი მონაწილეობდა. „ოქტომბერში ჩენთან ჩამოვიდა ტელეკომპანია რენ-ტვ-ს გადამღები ჯგუფი. ისინი კორუფციის შესახებ ამზადებდნენ სიუჟეტს. მხოლოდ მაკშარი აუშევის დამსახურებაა, რომ ამ ჯგუფის წევრები დღეს ცოცხლები არიან და ინგუშეთიდან გაღწევა შეძლეს“, – ამბობს „მემორიალის“ თანამშრომელი ალბერტ ხენთიგოვი. ამას ადასტურებს რენ-ტვ-ს ტელენამყვანი მარიანა მაქსიმოვსკაიაც.

„მას შემდეგ, რაც ჩვენმა გადამღებმა ჯგუფმა ინგუშეთის ყოფილი პრეზიდენტის ზიაზიკოვის და მისი ნათესავების სახლები გადაიღო, დაიწყო სერიოზული პრობლემები: სასტიკად სცემეს ჩვენს მძღოლს, ემუქრებოდნენ ჟურნალისტებს, – ჰყვება მაქსიმოვსკაია, – ჟურნალისტები დაუკავშირდნენ მაკშარი აუშევს, რომელიც დაეხმარა მათ ზიაზიკოვის დაცვის წევრებით გარემომოცემული სასტუმროს დატოვებაში და ისინი აეროპორტამდე მიაცილდა“.

ამის შესახებ სიუჟეტი აუშევის მკვლელობამდე ერთი დღით ადრე გავიდა. მეორე დღეს კი, როცა ამ გადაცემას ჩვეულებილსამებრ განმეორებით უზენებდნენ, აუშევი უკვე მკვდარი იყო.

ჯერ კიდევ 12 სექტემბერს ინტერნეტ-საიტ Ingushetiya.org-ზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ მაკშარიპის მკვლელობა მზადდებოდა. „ამ მკვლელობის ორგანიზება დავალებული აქვს ოპერატიულ სამძებრო ბიურო-2-ს და ეს უნდა მოხდეს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ“, – წერდა Ingushetiya.org (ოპერატიულ სამძებრო ბიურო-2 – ჩეჩნეთის პრეზიდენტის რამზან კადიროვის დაქვემდებარებაში). ამ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან სამ დღეში აუშევი ფედერალებმა ბლოკ-საგუშაგოსთან გააჩერეს და მისი გატაცება სცადეს. აუშევი მაშინ მეგობრებმა და შემთხვევითმა გამვლელებმა გადაარჩინეს.

ერთადერთი, ვისაც შეუძლია შეწყვიტოს შემადრწუნებელი, ხელისუფლების მიერ სანქცირებული მკვლელობები, პუტინია.

ინგუშეთში აუშევის მკვლელობას ზიაზიკოვთან მის დაპირისპირებას უკავშირებენ. ეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვერსიაა.

თუმცა, ინგუში ოპოზიციონერი და აუშევის მეგობარი მაგომედ ხაზიევი ბრალს რესპუბლიკის ამჟამინდელ მმართველს ევკუროვს სდებს. მისი თქმით, ინგუშეთის ოპოზიცია აპირებს, ევკუროვის გადადგომა მოითხოვოს.

აუშევის მკვლელობის გამოძიება პირველ რიგში სწორედ ევკუროვისთვისაა ყველაზე დიდი გამოწვევა. ამ საქმის გახსნით გაცემას პასუხი კითხვას – ვინ მართავს დღეს რესპუბლიკას? ევკუროვისთვის ეს არის ბრძოლა არა მარტო ხელისუფლების შენარჩუნებისთვის, არამედ გადარჩენისთვისაც. ■

ლეჟა ვუ

სერგეი ბალაფში არ არის ერთადერთი კანდიდატი, ვისაც 12 დეკემბერს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში მოგების რეალური შანსი აქვს.

ინალ ხაშიგი, სოხუმი

აფხაზეთის პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტრაცია 2 ნოემბერს დასრულდა. ქვეყნის პირველი პირის სავარძლისთვის ხუთი კანდიდატი იბრძოლებს, აქედან სამს სერიოზული ელექტორატი ჰყავს.

პროსახელისუფლებო პარტიამ – „ედინაია აფხაზია“, ცხადია, კანდიდატად მოქმედი პრეზიდენტი სერგეი ბალაფში შეარჩია.

ოპოზიცია ერთიანი ფრონტით გამოხვალას რომ ვერ მოახერხებდა, ეს ჯერ კიდევ აგვისტოში გამოჩნდა, როდესაც აფხაზეთს რუსეთის პრემიერ-მინისტრი პუტინი ესტუმრა. მაშინ პუტინი ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდა, რაულ ხაჯიმბასთან კი ცალკე დიალოგი ჰქონდა. ბუთბა ამ ღონისძიებაზე არ დაპატიჟეს და მან ეს ხაჯიმბას ინტერვიუს მიანერა. (ეს შეხვედრა თავისთავად უნიკალური იყო. აქამდე კრემლის არც ერთი პირველი პირი მეგობარ ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტისას ოპოზიციას არ შეხვედრია. პუტინის ხაჯიმბასთან შეხვედრამ ცხადყო, რომ იგი კვლავაც მხარს უჭერს ამ კანდიდატს. თანაც, მათი დიალოგი პრეზიდენტის სასახლეში დახურულ კარს მიღმა შედგა, ბალაფშის კაბინეტიდან ასი მეტრის დაშორებით. შეუძლებელია, ბალაფშს ეს არ სწყენოდა).

პუტინის ვიზიტის შემდეგ ეკონომიკური განვითარების პარტიის („ერა“) ლიდერმა, ერთ-ერთმა ყველაზე მდიდარმა აფხაზმა – რესტორნებისა და სასტუმროების ქსელის და ტელეკომპანია „აბაზას“ მფლობელმა – ბესლან ბუთბამ არჩევნებში დამოუკიდებლად გადანყვიტა მონაწილეობა.

პრეზიდენტობის მესამე და უკანასკნელ კანდიდატად ითვლებოდა ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა, რომელსაც დანარჩენი ოპოზიციური პარტიები ერთიანად წარადგენდნენ. თუმცა, ეს გეგმაც ჩაიშალა.

გასული ხუთი წლის მანძილზე რამდენიმე აფხაზ პოლიტიკოსს ჰქონდა შანსი, ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი გამხდარიყო. ეს ბრძოლა ბოლო წუთამდე

მიმდინარეობდა. თავდაპირველად ოპოზიციის რადიკალური ფრთის – „აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმის“ და პარტია „არუასა“ კეთილგანწყობის მოპოვებას რაულ ხაჯიმბა და ახლანდელი საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა ცდილობდნენ. ოპოზიცია შამბას, 2004 წლის არჩევნების ინერციით, „თავის კაცად“ თვლიდა. თუმცა, საგარეო უწყების ხელმძღვანელისადმი ნდობამ თანდათანობით იკლო. როდესაც 2008 წლის მაისში, „არუასა“ ყრილობაზე რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის კურსი მკაცრად გააკრიტიკეს, ცხადი გახდა, რომ ოპოზიციის მხრიდან პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატთა სიიდან შამბა საბოლოოდ ამოვარდა.

■ აფხაზეთში არის მოსაზრება, რომ პრეზიდენტი მედვედევი ბალაფშის კანდიდატურას უჭერს მხარს, პუტინი კი ხაჯიმბას.



■ ხაჯიმბას მხარდამჭერთა აქცია, სოხუმი, 2004

კონკურენტის ჩამოცილების მიუხედავად, რაულ ხაჯიმბა უალტერნატივო მანც ვერ გახდა. ამავე პერიოდში საგრძობლად გამყარდა ბესლან ბუთბას პოზიციები. მასზე, როგორც ოპოზიციის ერთიანი კანდიდატზე, დაინყეს ფიქრი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბუთბამ დამოუკიდებელი თამაში არჩია, დანარჩენი ოპოზიციას თითქოს კანდიდატის გამოვლენა არ უნდა გასჭირვებოდა და ეს რაულ ხაჯიმბა უნდა ყოფილიყო.

თუმცა, ჰორიზონტზე კიდევ ერთი მძიმე მონიანი მოთამაშე გამოჩნდა – სახელმწიფო კომპანიის „აფხაზური საზღვაო ნაოსნობის“ ხელმძღვანელი ზაურ არძინბა.

ოპოზიციის ერთიანი კანდიდატის პოსტი ისევ „საკონკურსო“ აღმოჩნდა.

ჩანაფიქრის მიხედვით, არძინბა, რომელიც ცნობილია როგორც კარგი მეურნე და წარმატებული ბიზნესმენი, პოპულარულ ხაჯიმბასთან ალიანსში უნდა შესულიყო. არასაჯარო, შიდაპარტიული დისკუსია ცხარედ მიმდინარეობდა.

28 ოქტომბერს ამ განვლილი ამბისთვის წერტილი უნდა დაესვათ. ამ დღეს აფხაზეთის ყველა რაიონში „აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმის“ რეგიონული კონფერენციები ჩატარდა. გუდაუთასა და ვაგრაში ხაჯიმბა და არძინბა ერთად გამოცხადდნენ და განაცხადეს, რომ არჩევნებში ერთად მიიღებენ მონაწილეობას: ხაჯიმბა პრეზიდენტობის კანდიდატი იქნება, ზაურ არძინბა კი ვიცე-პრეზიდენტობის.

მეორე დღეს სასწრაფოდ დაინიშნა „აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმის“ ყრილობა, სადაც ეს გადანყვიტა იტლება ოფიციალურად უნდა გაფორმებულიყო. თუმცა, ყრილობამდე სამი საათით ადრე ცესკო-მ დაარეგისტრირა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატად ზაურ არძინბას ასახელებდა. ყრილობის ჩატარებას აზრი აღარ ჰქონდა. იგი ჩაიშალა.

საბოლოოდ, ნაგარაუდები ერთიანი კანდიდატის ნაცვლად, ოპოზიციას სამი კანდიდატი შერჩა – ბესლან ბუთბა, რაულ

ხაჯინბა და ზაურ არძინბა. კიდევ ერთი კანდიდატია სახალხო პარტიის წევრი ვიტალი ბგანბა, თუმცა იგი ამ ბრძოლაში სერიოზულ კონკურენტად არ ითვლება.

არანაკლები ინტრიგები უკავშირდება ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატებსაც.

ბესლან ბუთბასთვისაც და რაულ ხაჯინბასთვისაც ამ ვაკანსიაზე ყველაზე სასურველი კანდიდატი უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი სტანისლავ ლაკობა იქნებოდა. თუმცა, ამ უკანასკნელმა გადანაცვლება საპრეზიდენტო რბოლისგან თავი შორს დაიჭიროს. არადა, მისი თანხმობა მნიშვნელოვნად გაამარჯვებდა ნებისმიერი კანდიდატის პოზიციებს და, შესაბამისად, ხმები დააკლდებოდა ბალაფშს.

ლაკობას უარის მიუხედავად, ბესლან ბუთბამ მაინც იშოვა მენყვილედ უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი, ოღონდ ვლადისლავ არძინბას პრეზიდენტობის დროინდელი. მისი სახელია ალმასბეი კჩაჩი.

სხვათა შორის, ბალაფშისა და ლაკობას ოფიციალურად გაყრამ პრემიერ-მინისტრ ალექსანდრ ანქევაბის პოზიციები შესამჩნევად გაამყარა. ბალაფშის გამარჯვების შემთხვევაში, ანქევაბი ვიცე-პრეზიდენტი გახდება. ანქევაბსა და ბალაფშს შორის ამის თაობაზე სიტყვიერი შეთანხმება ჯერ კიდევ მაშინ დაიდო, ვიდრე ლაკობა უშიშროების საბჭოს დატოვებდა. თუმცა, ეს შეთანხმება დიდი რისკის ქვეშ იყო, რადგან ანქევაბი პროსახელისუფლებო პარტია „ედინაია აფხაზიაში“ ძალიან ბევრს აღიზიანებს.

ამ დროს თანამდებობიდან მიდის ლაკობა და გამოცდილმა ანქევაბმა სიტუაცია თავის სასარგებლოდ გადაათამაშა. გაჩნდა ჭორები, რომ შემდეგი ანქევაბი წავიდოდა. ანუ ყოფილი კოალიციური გუნდიდან – ბალაფში-ლაკობა-ანქევაბი – მხოლოდ ერთი წევრი დარჩებოდა. ცხადია, ანქევაბი არსადაც არ აპირებდა წასვლას. ეს საუბრები მხოლოდ ფანდი იყო, რათა მმართველ პარტიაში მისი მნიშვნელობა უფრო დაეფასებინათ. ფანდმა გაამართლა.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღევანდელ ხელისუფლებაში გუდაუ-თური ფესვები ძალიან ცოტას აქვს, ანქევაბის წასვლით ბალაფშს გამოცვლებოდა უკანასკნელი რეალური საყრდენი ბზიფის აფხაზეთში. არადა, კადრების შერჩევის რეგიონული პრინციპი აფხაზეთის საშინაო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტია და ბალაფში იძულებულია, ეს გაითვალისწინოს.

ამბიციური ანქევაბისთვის ვიცე-პრე-

ზიდენტის სავარძელი ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია პოლიტიკური კარიერის გასაგრძელებლად.

რეალურად (და არა რანგით), აფხაზეთში უფრო გავლენიანი ფიგურა პრემიერ-მინისტრია და ამიტომ ზოგი მიიჩნევს, რომ ვიცე-პრეზიდენტობა ანქევაბის პოზიციებს შეასუსტებს. ასე მხოლოდ ისინი ფიქრობენ, ვინც ანქევაბს კარგად არ იცნობს. ალექსანდრ ზოლოტინსკოვიჩი პოლიტიკოსთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც შეესაბამებიან პრინციპს – „სავარძელი კი არ ქმნის ადამიანს, არამედ ადამიანი – სავარძელს“.


მნიშვნელოვანი დეტალია ისიც, რომ ვიცე-პრეზიდენტს, პრეზიდენტის მსგავსად, ხუთი წლით ირჩევენ და პრეზიდენტს მისი დათხოვნის უფლება არ აქვს. ასეთ პირობებში, ანქევაბს რეალური მანევრირების ასპარეზი ეხსნება.

ერთი მხრივ, ხუთ წელიწადში მას შეუძლია უპრობლემოდ გახდეს სახელისუფლებო პარტიის კანდიდატი შემდგომი საპრეზიდენტო ვადისთვის. ხოლო, თუ ამ ხუთი წლის განმავლობაში სერგეი ბალაფშის პოზიციები ძლიერ შესუსტდება, ანქევაბს შეუძლია ვიცე-პრეზიდენტის პოსტის დაუტოვებლად ოპოზიციაში გადაინაცვლოს. თუმცა, ასეთი პერსპექტივით სარგებლობისთვის ჯერ 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოგებაა საჭირო. ეს კი ადვილი არ იქნება.

არჩევნებზე ბალაფშის შანსები გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე თითოეული სხვა კანდიდატის ცალ-ცალკე. ამას განაპირობებს პირველ რიგში ის, რომ ბალაფშის მმართველობის დროს აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა რუსეთმა და ამ აღიარების შემდეგ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდაც შეიმჩნევა. თუმცა, როგორც აფხაზი ექსპერტები ამბობენ, გაერთიანების შემთხვევაში, აფხაზეთი ოპოზიცია ბალაფშზე ძლიერი შეიძლება აღმოჩნდეს.

ექვგარეშეა, რომ პირველ ტურში ბალაფში ხმათა მეტ რაოდენობას დააგროვებს. თუ საქმე მეორე ტურამდე მივა, სავარაუდოდ, ოპოზიციონერი კანდიდატები ერთიანი ძალით გამოვლენ და უკვე ასეთ შემთხვევაში არჩევნების შედეგების პროგნოზირება ძალიან ძნელია.

ისევე, როგორც 2004 წელს, ამ საარჩევნო კამპანიაშიც მნიშვნელოვანი როლი შეიძლება ითამაშოს კრემლმა. აფხაზეთში არის მოსაზრება, რომ პრეზიდენტი მედვედევი ბალაფშის კანდიდატურას უჭერს მხარს, პუტინი კი ხაჯინბას, როგორც ეს 2004 წელს იყო. დეკემბერში, მართალია, არეულობებს პროგნოზირე-



ალექსანდრ ვერბიცი

„საომარი მოქმედებების განაღებად რუსეთსა და საქართველოს შორის დაგვიანბნა: იმისთვის, რომ გავუმკლავდეთ კრიზისს, აუცილებელია უსაფრთხოების მექანიზმების გადახედვა, როგორც ინდივიდუალურ, ასევე ევრო-ატლანტიკურ არეალში. ჩვენ არ შეიძლება დავაკმაყოფილოთ დღევანდელმა მდგომარეობამ, როცა უთანხმოება ეუთო-ს მონაწილე ქვეყნებს შორის. უფლება არ გვაქვს, მშვიდად ვუყუროთ ცივი ომის მემკვიდრეობას და მოუგვარებელ კონფლიქტებს კავკასიაში, ბალკანეთსა და დნესტრისპირეთში.“

ძალიან ვწუხვართ საქართველოში ეუთო-სა და გაერო-ს დამკვირვებელთა მისიების დასრულებისა და სეპარატისტული რეგიონების ჩაკეტვის გამო. მიგვაჩნია, რომ რუსეთის მიერ ეუთო-ს შეთანხმების დაბლოკვა „ნეიტრალური სტატუსის“ მანდატის გაფართოებისთვის, და გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციით გათვალისწინებული დამკვირვებელთა მისიის (UNOMIG) მანდატზე ვეტოს დადება წამგებიანი გადანაცვლებად იყო“.

უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ს თავდაცვის მდივნის მოადგილის ალექსანდრ ვერბიციუს გამოსვლა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის სხდომაზე 28 ოქტომბერი 2009

ბენ, მაგრამ 2004 წლის კრიზისი ალბათ არ განმეორდება. მართალია, მოსკოვური სტრუქტურები სხვადასხვა კანდიდატის მიმართ გამოხატავენ სიმპათიებს, მაგრამ კრემლში იციან – ვინც უნდა მოვიდეს აფხაზეთის ხელისუფლებაში, ის განწირულია მოსკოვთან თანამშრომლობისთვის. ეს პრეზიდენტობის მსურველ კანდიდატებსაც კარგად ესმით. [L]

სტატიაში გამოყენებული ტერმინოლოგია ეკუთვნის ავტორს და არა „ლიბერალს“

აფხაზეთი: ახალი მიდგომის ძიებაში



საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, რა უფრო სწორია დღეს – საერთაშორისო წნეხის გაძლიერება აფხაზეთზე და სამხრეთ ოსეთზე, რაც მათ რუსეთთან აახლოვებს, თუ მათი თავისუფალი მოქმედებების ხელშეწყობა?

ვასილ მალაფერიძე

როდესაც ქაძრაკში პოზიციურად აგებ პარტიას, საჭიროა ძლიერი სვლა, ზოგჯერ ხარისხის ან ფიგურის შეწირვა, რათა ინიციატივას დაეუფლო და მდგომარეობა შემოაბრუნო.

აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში მთლიანად დაკვარგეთ ინიციატივა და მექანიკურად ვაკეთებთ სვლებს. თუ იგივე პოლიტიკა გავაგრძელებთ და „ძალიან მაგარი“ რეზოლუციების, რუსეთის დაშლის და რაღაც ეგეთების იმედად დავრჩით, წავაგებთ.

გვჭირდება ძლიერი სვლა, რომელიც ინიციატივას დაგვიბრუნებს ქვეყნის გაერთიანების მიმართულებით. ქვეყნის გაერთიანების დაწყება ნიშნავს: 1) დევნილების საკუთარ სახლებში უსაფრთხოდ დაბრუნებას; 2) აფხაზების და ოსების მიერ საქართველოს აღქმას მათ გულშემატკივარ ქვეყნად; 3) ეკონომიკური ინტეგრაციის დაწყებას.

ორი სტრატეგია - იძულება და თანხმობა

მას შემდეგ, რაც სეპარატიზმის პრობლემა წარმოეშვა, საქართველომ აირჩია სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ასრობიერებული სტრატეგია – ზენონა ყველა საშუალებით.

ზენონის სტრატეგია ეფუძნება იძულებას, დათრგუნვას, თანხმობის სტრატეგია კი – შეთანხმებას, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებას და დათმობებს.

სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკური აზრი არ აღმოჩნდა მზად თანხმობის სტრატეგიის შესამეცნებლად. მაგალითად, ერგენტის ბაზრობის მოშლა (რომელმაც ბევრად უფრო დიდი და რეალური წვლილი შეიტანა მშვიდობის დამყარებაში, ვიდრე ყველა მოლაპარაკებამ და საერთაშორისო მისიებამ ერთად), უპირველესად კონფლიქტის ძალისმიერი მოგვარების გზის არჩევას ნიშნავდა.

სეპარატიზმის წინააღმდეგ ზენონის სტრატეგიას ამა თუ იმ ფორმით მიმართავს ბევრი ქვეყანა, როგორც – ავტო-

რიტარული, ისე – დემოკრატიული. იგი შედარებით ეფექტურია თუ:

- ა) საკუთარი ძალებით ზენონის საკმარისი რესურსი არსებობს და ამ რესურსების მოძიება სხვაგან არ ხდება საჭირო.
- ბ) თუ სახელმწიფოს იმის შესაძლებლობა აქვს, რომ ზენონის პროცესში უზრუნველყოს გარედან ჩაურევლობა და მუდმივად დატოვოს იგი საშინაო საქმედ. თუმცა, ძალის გამოყენებით დამყარებული საბოლოო მშვიდობის მაგალითები ძნელად მოიძებნება, თუკი ასეთი საერთოდ არის.

მსოფლიოში დღეს მოქმედი იურიდიული ნორმებით საქართველოს, რასაკვირველია, აქვს სეპარატიზმის წინააღმდეგ ზენონის სტრატეგიის გამოყენების უფლება, მაგრამ მას არ გააჩნია ამ სტრატეგიის ეფექტურად გამოყენებისთვის აუცილებელი ბერკეტები. ისიც გასათვალისწინებელია, რომ გეოპოლიტიკურად საინტერესო რეგიონში, სადაც ბევრი ინტერესია კონცენტრირებული, კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ კონფლიქტის მონაწილეთა ინტერესების გათვალისწინებით აღარ ხდება; კონფლიქტის დარეგულირებაში ამა თუ იმ ფორმით ჩართული ყველა სუბიექტი ცდილობს საკუთარი თამასუქების განაღდებას.

საქართველოს გამთლიანების გზა გადის არა კონფლიქტის საერთაშორისო ასპარეზზე გატანაზე, როგორც ეს ხშირად დიდ მიღწევად მიიჩნევა, არამედ უშუალო დიალოგის დაწყებაზე და მოლაპარაკებაზე აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. მზად უნდა ვიყოთ ეგრეთ წოდებული დიდ დათმობებისთვის, რათა არსებითი შევინარჩუნოთ.

სიძარბოვით თვალს უნდა გავუსწოროთ, რაც უნდა მწარე იყოს იგი - საქართველოში ზენონის სტრატეგიას ყავრი გაუვიდა. ამჟამად ორი რამ შეგვიძლია ვაკეთოთ, ვტკეპნოთ ერთი ადგილი და ომახიანი ცრუ დაპირებებით ვატყუოთ ერთმანეთი, ან ახალი გზა ავირჩიოთ – ვეძებთ თანხმობა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან...

ზენონის სტრატეგიის ნაწილი იყო

როგორც ძალისმიერი ქმედებები – სხვადასხვა დროს განხორციელებული სამხედრო ოპერაციები, კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი დივერსიული ჯგუფების ოპერაციები, კუნთების თამაში, მუქარები, ვითომ უწყინარი კლიპები, სხვა ასეთი ღონისძიებები და ასევე რეზოლუციების მიღება. ამ სტრატეგიის კულმინაცია იყო ნატო-ში შესვლის ისტერიული სურვილი და შემდეგ მისი დახმარებით ქვეყნის გამთლიანების ილუზია.

ასეთ პროექტს იქნებ ჰქონდა კიდევ არსებობის უფლება, ოღონდ ეს იყო იუველირული და ხანგრძლივი სამუშაო. აუცილებელი იყო შესაფერისი დროის შერჩევა, როცა ნატო მაქსიმალურად უმტკივნეულოდ და აჟიოტაჟის გარეშე შემოვიდოდა საქართველოში და შემდეგ დაიწყებოდა მეორე ეტაპი, ქვეყნის გამთლიანების ხელსაყრელი დროის ლოდინი.

დიდ სახელმწიფო საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ძალისმიერი მეთოდებით ქვეყნის გამთლიანების მცდელობის შანსი არც ამ და არც მომავალ ხელისუფლებებს განჭვრეტად მომავალში აღარ ექნებათ. ეს ძალიან მკაფიოდ გვითხრეს როგორც მეგობარმა ქვეყნებმა, ასევე – მტრებმა.

ქვეყნის გამთლიანებას დღეს ის კი არ გვაშორებს, რომ გარკვეული ქვეყნები ცნობენ აფხაზეთს და ოსეთს და ეს პროცესი, როგორც ჩანს, გაგრძელდება, არამედ ის, რომ ხელისუფლება, ბორბალში მორბენალი ციყვივით, თითქოს აქტიურობს, მაგრამ მაინც ადგილზე დგას.

გამთლიანებასთან არც ის გვაახლოებს, რომ ჩვენი მეგობრები, როგორც ერთგული ჭირისუფლები, გვანუგეშებენ, – არასდროს ვაღიარებთ ამ რეგიონების დამოუკიდებლობასო.

დღეს გადაუდებელი ამოცანაა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან უშუალო ურთიერთობების დაწყება თანხმობის სტრატეგიით. პირველ ეტაპზე, აუცილებელია, გაჩნდეს ნდობის ელემენტები, ურთიერთუსაფრთხოების, ურთიერთინ-

ტერესის და ურთიერთსაჭიროების განცდა.

ახალი რეალობის კონტურები

ცოცხალი ხნის ნინ სომხეთმა და თურქეთმა კავკასიაში ახალი პოლიტიკური ეტაპის დასაწყისს ჩაუყარეს საფუძველი. თითქმის ასწლიანი დაპირისპირების შემდეგ დაიწყო ურთიერთობების აღდგენა. ეს არის ძალიან ძლიერი სვლა და ნიშნავს, რომ წამგებიანი კონფრონტაციიდან მხარეები გადადიან თანხმობაზე დაფუძნებულ მომგებიან მშვიდობაზე, როცა ერთი მხარის წარმატება არ ნიშნავს მეორის დამარცხებას.

ცხადია, ამას აუცილებლად მოჰყვება შემდეგი სვლები.

ეს განაცხადი თავისი სულისკვეთებით გულისხმობს პერსპექტივას, რომ სამხრეთკავკასიური კონფლიქტები მთელი რეგიონის უსაფრთხოების და მშვიდობიანი თანაცხოვრების კონტექსტში გადაიჭრას. სამხრეთ კავკასიას უჩნდება პერსპექტივა, გადაიქცეს დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოთამაშედ.

ამ ფონზე ჩნდება კითხვები, რომლებზე პასუხის გაცემა აუცილებელია.

ხომ არ უნდა ვეძებოთ ჩვენთვის საჭირო და აუცილებელი სვლა ამ მიმართულებით და მაქსიმალურად შევუნყოთ ხელი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ჩართვას სამხრეთკავკასიურ პროცესებში ურთიერთმომგებიანი თანხმობის საფუძველზე, სადაც წინა პლანზე ეკონომიკური ინტერესები იქნება გამოტანილი?

ხომ არ უნდა დავიწყოთ ფიქრი ახალ რეალობაში საქართველოს ადგილზე და მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნათ აფხაზეთისთვის და სამხრეთ ოსეთისთვის?

ხომ არ დადგა ურთიერთსასარგებლო პირობებით სხვადასხვა პროექტების და, მათ შორის, რკინიგზის ამოქმედების დრო, რაც საინტერესო იქნებოდა როგორც აფხაზეთისთვის, ასევე სომხეთისთვის, რუსეთისთვის და თურქეთისთვის?

საქართველოს ჯერ კიდევ აქვს შანსი, გახდეს აფხაზეთისთვის და ოსებისთვის ყველა სხვაზე მეტად საინტერესო ქვეყანა, რომელშიც ისინი ტერიტორიის დაბრუნებისთვის ჩასაფრებულ მტერს კი არ დაინახავენ, არამედ გულმგებმა ტყივარს, სადაც შეეძლება საკუთარ შესაძლებლობათა და მოთხოვნილებათა რეალიზება.

დრო და გარემოება ჩვენგან აუცილებლად მოითხოვს გადავტვირთოთ კონფლიქტების მოგვარების აქამდე არსებული პროგრამა. უნდა ვიფიქროთ იმ

დამობეზზე, რაც ჩვენ ინიციატივას და გვიბრუნებს, ანუ გაეუსწროთ დროს და მომავლიდან შევხედოთ დღევანდელობას, რათა რეალურად შევაფასოთ მდგომარეობა და მეორეხარისხოვანის დევნაში არ დავეკარგოთ მთავარი და არსებითი.

მე-5 მუხლი

ალბათ დადგა დრო, შევთანხმდეთ, რომ ნატო არ არის გრაალის თასი და ქართველი ხალხის საკრალური მიზანი არ გახლავთ მისი მოპოვება.

ცხადია, ნატო საქართველოსთვის ძალიან სასარგებლო პარტნიორია, ერთ-ერთი (და არა ერთადერთი!) საშუალება და ხიდი ევროპასთან დაახლოებისა და მჭიდრო კავშირისთვის, ასევე ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი (და არა ერთადერთი!) მნიშვნელოვანი ფაქტორი.

საქართველოს ხელისუფლებამ დაუფარავად უთხრა სეპარატისტულ რეგიონებს, რომ პრობლემის გადაჭრას აპირებდა ნატო-ს დახმარებით საკუთარი შეხედულებისამებრ, მათ დაუკითხავდა. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის განზიდულობას საქართველოდან და რუსეთის მფარველობისკენ ლტოლვას.

საქართველოს, რასაკვირველია, სერიოზული მუშაობა მართებდა ნატო-ს მიმართულებით, მაგრამ ძნელი ასახსნელია, რა გათვლებს და იმედებს ეფუძნებოდა დემონსტრაციულად გამოძვევი და ხმაურიანი კამპანია, მით უმეტეს, იმ ვითარებაში, როდესაც აშკარად ჩანდა, რომ ნატო მზად არ იყო საქართველოსთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციისთვის.

უსაფრთხოების მძებნელი საქართველოსთვის განსაკუთრებით საინტერესოა ნატო-ს ნესდების მე-5 მუხლი, რომელიც მის რომელიმე წევრზე თავდასხმას განიხილავს როგორც მთელ ალიანსზე თავდასხმას (უნდა ითქვას ისიც, რომ ეს მუხლი არასდროს ამოქმედებულა).

რა მოხდებოდა 2008 წლის აგვისტოში, რომ საქართველოს არამცთუ მაპი ჰქონოდა, არამედ ნატო-ს წევრი ყოფილიყო? წავიდოდა თუ არა ნატო რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებაზე საქართველოს გამო?

ამაზე მკაფიო პასუხი გასცა თავად ნატო-მ, როდესაც 2008 წლის აპრილში საქართველოს არც მაპი მისცა და, მით უმეტეს, არც ნატო-ში მიიღო. საქართველოსადმი ეს უარი, მაშინ როცა ჰაერში დენთის სუნი უკვე ტრიალებდა და ამას ყველა გრძნობდა, განპირობებული იყო იმით, რომ ნატო არ იყო მზად, სამხედრო ძალით დაეცვა საქართველო

და ყველა საშუალება გამოეყენებინა სამხედრო ესკალაციის თავიდან ასაცილებლად.

ანუ საქართველოს უსაფრთხოება პირველ რიგში სიფრთხილეზეა დამოკიდებული და არა ნატო-ს წევრობაზე.

ჩვენი ან ჩვენი ბარეზი

ნატო-სთან მიმართებაში არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთმა თვითნებურად გამოიწერა ენგურთან და ერგნეთთან დგომის უფლება. არც ამის დამგმობ რეზოლუციებს აგდებს რამედ და არც მისი გამყვანი ჩანს ვინმე.


ასეთ ვითარებაში ხელისუფლება კვლავ აკეთებს განცხადებას, რომ საქართველო შეიძლება მიიღონ ნატო-ში მაპის გარეშე. და თუ ეს ამბავი რეალობასთან ახლოა და არა მორიგი ილუზიაა, საკითხავია, არის თუ არა დღეს საქართველოს ინტერესებში ნატო-ში შესვლა?

ომამდე ნატო ერიდებოდა საქართველოში შემოსვლას, რათა თეთრ ლაქებად ქვეულ სეპარატისტულ რეგიონებში რუსეთთან კონფლიქტი არ აღმოჩენილიყო, ვინაიდან არ იყო ნათელი, სად უნდა შეჩერებულიყო, ენგურთან თუ ფსოლზე, ერგნეთთან თუ როკის გვირახთან.

დღეს ბევრად უმტიკინეულოდ გამოიყურება ეს პროცესი, რადგან თუ ნატო მართლაც შემოვა საქართველოში, სავსებით ნათელია, სადაც შეჩერდება და იქ აღიმართება ისეთივე მყარი საზღვარი, როგორც სხვაგან არის რუსეთსა და ნატო-ს შორის.

მოვლენათა ამგვარი განვითარება, შესაძლოა არც რუსეთისთვის იყოს მაინცდამაინც მიუღებელი, რადგან სამხრეთ კავკასიაში ორ სტრატეგიულ პლაცდარმს ფაქტობრივად გაიფორმებს და ნატო ენგურთან დაიწყება, თუ – სარფთან, მისთვის დიდი მნიშვნელობა შეიძლება არც ჰქონდეს.

ასეთ შემთხვევაში, სრულიად ცხადია, რომ საქართველო ფაქტობრივად გამოეთიშება საკუთარი მთლიანობის აღდგენის პროცესს და ეს მთლიანად დამოკიდებული ხდება ნატო-ზე და რუსეთზე, მათ ნებასა და ინტერესთა თანხვედრაზე.

არადა, ელემენტარული ლოგიკა გვეუბნება, რომ გაცილებით იოლი და რეალური იქნება კონფლიქტის მოგვარება უშუალოდ ქართულ-აფხაზეთური და ქართულ-ოსური მოლაპარაკებებით და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით, ვიდრე – რუსეთისა და ნატო-ს ფორმატში. 

ფსიქიატრიული რეზერვაციები

მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიატრიის საბჭოთა სისტემამ ნგრევა წლების წინ დაიწყო, ქართულ საავადმყოფოებში ინერციით კვლავაც მკურნალობის ძველ მეთოდებს იყენებენ.

ნათია გულიაშვილი

საავადმყოფოს დიდ, გისოსებიან სასაადილო ოთახში ყოველდღე უხალისოდ იყრიან თავს, ერთმანეთს დერეფანში ჩავლის დროსაც კი არ ელაპარაკებიან. მოულოდნელი ფსიქიკური აგზნების დროს თუ ერთი პაციენტი ყვირილს იწყებს, მეორე ამაზე არც რეაგირებს და თავის გზას აგრძელებს. ფსიქიატრიულში ზოგჯერ მთელ ცხოვრებას ატარებენ ერთად, მაგრამ მეგობრების გარეშე.

მარიანა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში პირველად 30 წლის წინ მოხვდა. მას შემდეგ, დროდადრო იცვლებოდა კლინიკის მისამართები, მაგრამ არა – საცხოვრებელი გარემო. მარიანა ახლა გლდანის ავლიზ ზურაბაშვილის სახელობის ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტია, სიცოცხლის ბოლომდე. გლდანის ფსიქიატრიულში დღეს 150-მდე პაციენტია. ეს შენობა, მარიანას მსგავსად, მათთვისაც სამუდამო თავშესაფარია.

ამის მიზეზი ისეთივეა, როგორც საბჭოთა დროს იყო. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობა დღესაც პაციენტის „დამშვიდება“ გულისხმობს. საავადმყოფოში ერთხელ მოხვედრაც საკმარისია იმისათვის, რომ საზოგადოებაში სრულფასოვანი ცხოვრების უნარი საბოლოოდ დაკარგო. ოჯახის წევრებს ახლობლები სახლში არც მკურნალობის კურსის დასრულების შემდეგ მიჰყავთ.



მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიული კლინიკა, თბილისი

დღეს საქართველოში მოქმედ ექვე-სივე სახელმწიფო ფსიქიატრიულ სა-ავადმყოფოში ასეთი მდგომარეობაა. ფსიქიკური ჯანდაცვის სტრატეგია სახელმწიფოში ჯერ კიდევ ჩანასახის პროცესშია და ისევ არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო იჩენენ აქტიუ-რობას, ვიდრე სახელმწიფო სტრუქტუ-რები.

დაახლოებით 4 წლის წინ, სახალხო დამცველის ინიციატივითა და რამდე-ნიმე არასამთავრობო ორგანიზაციის თანამონაწილეობით, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლე-ბათა საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭო შეიქმნა. მათი ინიციატივა იყო ის, რომ 2007 წელს კანონში ფსიქიკუ-რი დახმარების შესახებ შევიდა ცვლი-ლებები და იძულებითი მკურნალობა, როგორც სტიგმატიზებული და დამამ-ცირებელი მოვლენა, აიკრძალა. ახლა არანებაყოფლობითი მკურნალობა მხო-ლოდ მაშინაა დასაშვები, როცა ამის აუცილებლობას გადაწყვეტს სასამარ-თლო პაციენტისა და ექიმების არგუ-მენტების შედეგად.


მიუხედავად იმისა, რომ იძულები-თი მკურნალობა აკრძალულია, 2008 წლის სახალხო დამცველის ანგარიშმა ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ადა-მიანთა უფლებების დარღვევის უამრა-ვი ფაქტი გამოავლინა. ფსიქიატრიული საავადმყოფოების „ყრუ კედლებიდან“ საჯაროდ გამოტანილმა ამბებმა გა-მოიწვია ის, რომ მომდევნო ერთი წლის განმავლობაში 7 ფსიქიატრიული საავა-დმყოფოდან 2 დაიხურა. სახალხო და-მცველის აპარატიდან მონიტორინგის წარმომადგენელი არჩილ თალაკვაძე ამბობს, რომ ეს იყო არა საავადმყოფო-ები, არამედ რეზერვაციის ადგილები, სადაც პაციენტები შედიოდნენ და მათი უმრავლესობა იქიდან ველარასდროს გამოდიოდა.

ის, რომ სახელმწიფო პოლიტიკა ჯერ კიდევ ძალაუფლებურად მხარს უჭერს ფსიქიკური ჯანმრთელობის იმგვარ სისტემას, როგორც საბჭოთა პერიო-დში გვქონდა, ციფრებზეც აისახება. ფსიქიატრიული მომსახურების სახელ-მწიფო პროგრამაში დღეს დაახლოებით 9 მილიონი ლარი ამბულატორული და

სტაციონარული მომსახურებისთვისაა გამოყოფილი, რეაბილიტაციას კი ამ თანხის მხოლოდ 0,8% ხმარდება.

სწორედ მწირი დაფინანსებისა და ბიუჯეტის არასწორად გადანაწილე-ბის გამოა, რომ საბჭოთა ინერცია არ იცვლება. ფსიქიკური აშლილობით და-ავადებული ადამიანი დღემდე საზოგა-დოების უსარგებლო წევრად მიიჩნევა, მედიკამენტით მკურნალობა კი თითქ-მის ერთადერთი მეთოდია. ექიმის მო-

■ მწირი დაფინანსებისა და ბიუჯეტის არასწორად გადანაწილების გამოა, რომ საბჭოთა ინერცია არ იცვლება. ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანი დღემდე საზოგადოების უსარგებლო წევრად მიიჩნევა, მედიკამენტით მკურნალობა კი თითქმის ერთადერთი მეთოდია.



■ მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიული კლინიკა, თბილისი

ფოტო: ლევან სარაჯიანი

ვალეობაა, აგზნებული პაციენტი ძლიერ მედიკამენტით დროებით გათიშოს, და არა უმკურნალოს. ძლიერმოქმედი პრეპარატების სისტემატიური გამოყენება პაციენტებს იმდენად უნგრევს ფსიქიკას, რომ საზოგადოებაში დაბრუნების შანსს აღარ უტოვებს.

ფსიქიკური ჯანმრთელობის თანამედროვე სისტემა დღეს იმ ქვეყნებში მუშაობს გამართულად, სადაც მოუქნელი ფსიქიატრიული საავადმყოფოების დახურვის აუცილებლობაში ჯერ კიდევ წლების წინ დარწმუნდნენ. დღეს სახელმწიფოები ფულს ინსტიტუციების დამლაზე ხარჯავენ და ცდილობენ, ადამიანებს დაკარგული უნარ-ჩვევები დაუბრუნონ.

თუმცა, ახალ სისტემაზე გადართვას, ფინანსებთან ერთად, სხვა ტიპის პროფესიული რესურსიც სჭირდება. ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ასოციაციის წარმომადგენელი, მარინა კურატაშვილი ამბობს, რომ დღეს საქართველოში უნივერსიტეტები ფსიქიკურ ჯანმრთელობაში მომუშავე სპეციალისტებს, ექიმი-ფსიქიატრის გარდა, აღარ ამზადებენ. „არ არიან ამ კუთხით განათლების და პრაქტიკის მქონე მედდებიც კი, ხოლო ზოგადი პროფილის მედდებს ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანთან ურთიერთობის და მკურნალობის სპეციალური ცოდნა არ აქვთ და საავადმყოფოებში ადგილზევე

თერაპია“, – ამბობს არჩილ თალაკვაძე. მისივე თქმით, პრობლემაა სამედიცინო პერსონალის ნაკლებობაც. პაციენტთა სიმრავლეს ვერ აუდიან და „მშვიდ გარემოს“ კლინიკებში, მეთვალყურეების უკმარისობის გამო, მედიკამენტების ზედოზირებით ინარჩუნებენ.

გლდანის საავადმყოფოში ამ ფაქტს არ ეთანხმებიან. მთავარი ექიმის მოადგილე კახა ყიფიანი ამბობს, რომ მათი პაციენტები უმძიმესი „ფსიქო-ინვალიდები“ არიან, ამის გამო, არასერიოზულად ეჩვენება, როცა მონიტორინგის საბჭოს წევრები მათთან ინდივიდუალური საუბრიდან გამოტანილ შედეგებს ეყრდნობიან. „მაგალითად, როცა მათ ეკითხებიან, დასჯის მიზნით ექიმი ნემსს ხომ არ უკეთებს, უმეტეს შემთხვევაში პასუხი დადებითია. საქმე ისაა, რომ აგზნების დროს სწორედაც რომ აუცილებელია ინექცია, რასაც ისინი, ისევე, როგორც ნებისმიერ ჩარევას, ძალადობად აღიქვამენ“, – აცხადებს ყიფიანი. ის ამბობს, რომ ინოვაციებს ამ სისტემაში მიესალმება, თუმცა ბევრი რამ ჯერ მაინც აბსტრაქტულად ეჩვენება. „ძალიან კარგია თუ განვითარდება ჰოსპიტალგარე და თემზე დაფუძნებული მკურნალობაც, მაგრამ ამას გაცილებით მეტი ფული სჭირდება, ვიდრე საავადმყოფოებს, მით უფრო, რომ სახელმწიფო წესიერად ვერც დიდ საავადმყოფოებს აფინანსებს. ასეთ პირო-

იგივე გარემოში, რამაც გაამწვავა მათი ფსიქიკური მდგომარეობა“. რეაბილიტაციის მეთოდები, რითაც აქ ადამიანებთან მუშაობენ, სწორედ ამ გარდაამავალი ეტაპისთვისაა აუცილებელი.

ცენტრში მისულ ადამიანებს პაციენტად არავინ აღიქვამს. აქ ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანს ბენეფიციარი ჰქვია და ურთიერთობა ექიმსა და მას შორის ისეთივეა, როგორც ორ „ჩვეულებრივ“ ადამიანს შორის; უბრალოდ ერთი ცდილობს, მეორეს ასწავლოს, თუ როგორ მიიღოს ნაკლები ტკივილი სოციალურ ურთიერთობით.

ფსიქიკური აშლილობის გამწვავების შემთხვევაში, მედიკამენტები ცენტრშიც ჩვეულებრივ გამოიყენება, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ეს მკურნალობის ერთადერთი საშუალება არაა. მაგალითად, ერგო-თერაპიის (შრომითი თერაპია) დროს პაციენტს მისი უნარის და მოთხოვნილებების მიხედვით ასაქმებენ. მუშაობის პროცესში ადამიანები სწავლობენ კონცენტრაციის სწორ გადანაწილებას და უმცირდებთ აგრესიას, რაც საპირფარეოების იძულებითი დალაგებისას წარმოუდგენელია. ყველაზე სასიამოვნო კი მათთვის არტი-თერაპიის, მუსიკის და ცეკვის თერაპიის პროცესია, როცა თავისუფლდებიან კომპლექსებისგან და ერთმანეთთან ურთიერთობა უადვილდებათ.

ბატონი ნიკო 45 წლისაა და 4 წელია, დღის ცენტრში დადის. უკვე თვითონვე ხვდება, როდის უმწვავდება მდგომარეობა და ცენტრში თერაპიისთვის მოდის. უხარია, რომ გაცილებით იშვიათად ღიზიანდება და აღარც ოჯახის წევრებთან ჩხუბობს. პროფესიით ფილოლოგი ახლა მუშაობის დაწყებას და თარგმნას აპირებს.

დღის ცენტრი, რომელსაც 40 პაციენტის მიღება შეუძლია, ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციების თანხებით ფინანსდება. სახელმწიფოს მხრიდან კი ყოველწლიურად გამოყოფილი თანხა – 70 ათასი ლარი – კიდევ ორ ასეთ ცენტრს, თელავის და ქუთაისის დისპანსერებს, უნაწილდება. რეაბილიტაციის თანამედროვე მეთოდები იქაც ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის დახმარებით დანერგეს.

თუმცა, ეს კერძო ინიციატივები ჩაკეტილ წრეს ვერ გაარღვევს, ვიდრე სახელმწიფო ჯერ კიდევ ეგუება ფსიქიატრიაში ძველი, დისკრიმინაციული მეთოდების არსებობას, ფსიქიატრიული მომსახურებისთვის გამოყოფილ ბიუჯეტს კი არასათანადოდ ანაწილებს. ■

■ ძლიერმოქმედი პრეპარატების სისტემატიური გამოყენება პაციენტებს იმდენად უნგრევს ფსიქიკას, რომ საზოგადოებაში დაბრუნების შანსს აღარ უტოვებს.

სწავლობენ რაღაცას. სხვა საკითხია, რამდენად სწორად“, – ამბობს მარინა კურატაშვილი.

სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტების უმრავლესობა საავადმყოფოებში სწორედ პერსონალს უკავშირდება. მართალია, ბოლო წლებში შედარებით ნაკლებად, მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდება პაციენტთა შრომითი ექსპლუატაცია. „ადრე ამაზე გამაოგნებელ განმარტებას აკეთებდნენ, რომ მაგალითად, ტულეტების დალაგება ან შედარებით გამოჯანმრთელებულ პაციენტთა მიერ ძნელად მოსაყვლელ პაციენტთა მოვლა, ეს იყო შრომითი

ბეზში იმის მტკიცება, რომ მათ უნდათ თემზე დაფუძნებული სტრუქტურის დანერგვა, არარეალურია“.

ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციამ რეაბილიტაციის სისტემის ამუშავება 1991 წლიდან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო. უკვე 10 წელია, ასათიანის 10 ნომერში, საბჭოური ინერციით მოქმედი საავადმყოფოს გვერდით არსებობს დღის ცენტრი, რომელიც ნებისმიერი ადამიანისთვის ღიაა. ცენტრის ფსიქიატრის მარინა კურატაშვილის თქმით: „გარემოც არ არის მზად ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გამოწერილი ადამიანების მისაღებად. არადა, ყოფილ პაციენტებს უნევთ დაბრუნება

ძველი თბილისის რეაბილიტაცია

ძველი თბილისის ახალი სისოსხლე

პროექტი, რომელიც იდილიურ პირობებს სთავაზობდა საბანკო და სამშენებლო სექტორებსა და ძველი თბილისის მოსახლეობას, პირველ პრობლემებს აწყდება.

ნინო გოგუა



■ ავლაზრის ქ. N1, ავლაზარი, თბილისი 2009

ფოტო: თინო ბარბაქაძე

ეკონომიკის სტიმულირების პაკეტის ფარგლებში შექმნილმა სქემამ თითქმის სამოთხის პირობები უნდა შეუქმნას როგორც ძველი თბილისის მოსახლეობას, ისე ბანკებსა და სამშენებლო კომპანიებს. მოგებული რჩება მერიაც, რომელიც ამ გეგმით ძველი თბილისის მუდმივად მტკივნეულ საკითხს მოაგვარებს. უფრო ფართო გათვლებით კი, უნდა შემსუბუქდეს დასაქმების პრობლემა და ქვეყანაზე ეკონომიკური კრიზისის გავლენაც.

მერიის ახალი პროექტი, „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“, 15 სექტემბერს გამარჯვებული სამშენებლო კომპანიების გამოვლენით დაიწყო.

თბილისის მერიამ 12 კერძო სამშენებლო კომპანიის პროექტები დაამტკიცა, რის შედეგადაც 202 ოჯახი შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს; 320 ოჯახი ახალაშენებულ ბინას დაეპატრონება; ძველ თბილისში კი ახალი ინვესტიციების მოსაზიდად 31.192 კვ.მ. ტერიტორია გათავისუფლდება შენობებისგან. არ დაინგრევა მხოლოდ ის ნაგებობები, რომლებსაც ძველის სტატუსი აქვს.


„საქართველოს ბანკმა“ ძველი თბილისის პროექტის ფარგლებში სამშენებლო კომპანიებზე 18 მილიონ ლარზე მეტი კრედიტი გასცა. დეველოპერებს კრედიტი „თბილისი ბანკმა“ და „ქართუ ბანკმა“ გამოუყვეს. თუმცა მოლო-

დინი, რომ ამ ახალი სქემით ბანკებს სამშენებლო სექტორისადმი ნდობა ბუნებრივად და სწრაფად აღუდგებათ, ჯერჯერობით ბოლომდე არ მართლდება.

„ნებისმიერი ბანკისთვის მთავარია, კონკრეტული კომპანიის გადამხდელუნარიანობა და შემდეგ სხვა გარანტიები“, – აცხადებს „ქართუ ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მარიხ ხოხლენცკო. ამიტომ „ქართუ ბანკიც“ თითოეულ პროექტს და მის რისკებს ინდივიდუალურად განიხილავს.

სიფრთხილეს იჩენს „საქართველოს ბანკიც“. ბანკის საზოგადოებასთან

პროექტის სქემა



პირველი ეტაპი – სამშენებლო კომპანია ძველი თბილისის საერთო ეზოებში დაზიანებულ სახლებში მცხოვრებ ოჯახებს სთავაზობს, გადავიდნენ მათ მიერ სხვა უბნებში ახალაშენებულ სახლებში იმ პირობით, რომ ეზო და სახლები სამშენებლო კომპანიის საკუთრებაში გადავა. კონტრაქტის გასაფორმებლად აუცილებელია, ეზოში მცხოვრები თითოეული ოჯახი იყოს თანახმა. მოსახლეობა ძველ თბილისში განაგრძობს ცხოვრებას, სანამ მისთვის განკუთვნილი ახალი ბინა სრულად არ იქნება უზრუნველყოფილი.

მეორე ეტაპი – დეველოპერული კომპანია მოსახლეობასთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს წარუდგენს ბანკს, რომელსაც ძველი თბილისის მცხოვრებლებისთვის განკუთვნილი ახალი ბინის ასაშენებლად სესხს სთხოვს. ხელშეკრულება ფორმდება ბანკსა და სამშენებლოს შორისაც, რითაც ბანკი ადასტურებს, რომ ამ კომპანიაზე გასცემს კრედიტს.

მესამე ეტაპი – ბანკთან დადებული წინასწარი ხელშეკრულება სამშენებლო კომპანიას მიაქვს თბილისის მერიაში; ძველი თბილისის იმ ეზოების შესახებ კი, რომლებთანაც მოლაპარაკება წარმატებით დაასრულა, წარადგენს პროექტებს. ყველა პროექტში მითითებულია თანხა, რის საფასურადაც სამშენებლო კომპანია თბილისის მერიას მიჰყიდის ძველ თბილისში გათავისუფლებულ მიწის ნაკვეთს. შედეგად, სამშენებლო კომპანიები, ძველი თბილისის მცხოვრებლებისთვის უსასყიდლოდ გადაცემული ახალაშენებული ბინების სანაცვლოდ, მერიისგან იღებენ თანხას, რომლის ოდენობასაც თავად აწესებენ. იმის მიხედვით, რამდენად მისაღებია ეს ღირებულება თბილისის მერიისთვის, ის ამტკიცებს ან არ ამტკიცებს პროექტს.

ურთიერთობის სამსახურის უფროსის ხათუნა კაკაბაძის თქმით, ქალაქის მერიის თავდებობა ბანკისთვის სესხების დაფარვის გარანტია არის, მაგრამ ბანკები მაინც აწარმოებენ ყოველ-თვიურ მონიტორინგს იმ სესხის მიზნობრივ ხარჯვაზე, რომელიც საშენებლო კომპანიას მისცეს.

ბანკების სიფრთხილე არ მოსწონთ სამშენებლო კომპანიებს და ამტკიცებენ, რომ მათ სექტორში სიტუაცია უფრო სწრაფად გამოცოცხლდება, თუკი ბანკები კომპანიების მიმართ მეტ ნდობას გამოიჩენენ. კომპანია „აქსისის“ გენერალური დირექტორის გიორგი კაპანაძის განცხადებით, აუცილებელია ისიც, რომ მენაშენებებს ბანკებმა კრედიტები ძველი თბილისის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებს გარეთაც გამოუყონ, რათა დეველოპერებმა არა მარტო დაწყებული პროექტების დამთავრება შეძლონ, არამედ ახალი პროექტების დაწყებაც.

ეკონომისტების ნაწილი კი მთლიანად ამ სქემას ქვეყნის ეკონომიკური კურსიდან გადახვევად აფასებს. „ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს“ პრეზიდენტი პაატა შემელიძე ამბობს, რომ ეს პროექტი თავისუფალ ბაზარზე პირდაპირი ინტერვენციაა. „პროექტის გამო, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯავს უამრავ ფულს იმისთვის, რომ კონკრეტულმა კერძო სამშენებლო კომპანიებმა და ბანკებმა იმაზე მეტი სარგებელი ნახონ, ვიდრე ბაზრის თავისუფლების პირობებში ნახავდნენ. გაუგებარია, რატომ უნდა გადაიხადონ გადასახადის გადამხდლებმა ძველი თბილისის მოსახლეობისთვის ახალი ბინების შექმნის საფასური, რაც საბოლოო ჯამში უძრავი ქონების ბაზარზე მაღალი ფასების შენარჩუნებას გაახანგრძლივებს?“ – აცხადებს ის.

„ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ ეკონომიკურ ეფექტს ეჭვქვეშ აყენებს „ისთ გეით ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი იაშვილიც და მიიჩნევს, რომ პროგრამას ეკონომიკის ზრდის ეფექტი არ ექნება: „ეკონომიკის რეალური ზრდა იწყება მაშინ, როცა ქვეყნის მიგნით საცალო ვაჭრობა იზრდება – ანუ, მოსახლე უჩნდება უფრო მეტი ინდივიდუალურად დასახარჯი ფული. ეს პროექტი კი სამშენებლო კომპანიების კეთილდღეობისთვისაა შექმნილი. ისინი არაფერს კარგავენ. მოსახლის ინტერესი კი, სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ბოლო ადგილზეა“.

პროექტის პირველმა ეტაპმა ძველ თბილისში პრობლემები მართლაც გამოკვეთა. რიგ შემთხვევებში მენაშენებელთა და ძველი თბილისის მცხოვრებელთა ინტერესები ერთმანეთს არ დაემთხვა და მოსახლეობის გაყვანის პროცესიც ზოგჯერ ამიტომ შეფერხდა.

არმაზის ქუჩაზე 590 კვ.მ. ფართობზე მცხოვრები 12 ოჯახი დღემდე სახურა-წინამონგრეულ ოთახებში და გამსკდარ კედლებში ცხოვრობს. ეზოს მცხოვრებლები ამბობენ, რომ საკუთარი სახლების დამოუკიდებლად გარემონტების სურვილი აქვთ, მაგრამ იმის გამო, რომ მათი სახლი კულტურის ძეგლთა სიაშია შეტანილი, შენობის თვითნებურად შეკეთების უფლება არ აქვთ. ამორტიზებული სახლებით არც კერძო ინვესტორები ინტერესდებიან, რადგან მერიის რეგულაციის მიხედვით, ძველ თბილისში სამსართულიან შენობაზე მაღალი ნაგებობის აშენება დაუშვებელია.

ამ გარემოებების გამო „ძველი თბილისის ახალ სიცოცხლეს“ არმაზის ქუჩის მცხოვრებლები განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ. ეზოს ყველა ოჯახი მზად იყო, უყოყმანოდ მიეღო დეველოპერის შემოთავაზება, დაეტოვებინათ ძველი თბილისი და სხვა უბანში გადასულიყვნენ. პროექტით გათვალისწინებული წინასწარი ხელშეკრულებაც დადეს სამშენებლო კომპანია „ვაკე პალასთან“, მაგრამ 15 სექტემბერს გამართულ კონკურსზე მერიამ ამ პროექტზე უარი თქვა. მიზეზი ის იყო, რომ მერიამ შეარჩია ისეთი ეზოები, რომლებსაც დიდი ფართი ჰქონდათ და სადაც ცოტა მოსახლე ცხოვრობდა. „დავიკვრიეთ უგულავას სიტყვები, რომ მერია მიწის გათავისუფლებაზე არ იქნებოდა ორიენტირებული და კომპაქტურად დასახლებული ხალხის დახმარება იქნებოდა პრიორიტეტული. ახლა კი ფაქტის წინაშე ვდგავართ. უკიდურეს მდგომარეობაში მცხოვრები ადამიანებისთვის არაფერი იცვლება“, – აცხადებს არმაზის ქუჩის მცხოვრებელი ქეთევან ზენაიშვილი.

პრობლემის წარმოშობას მერია დეველოპერი კომპანიების „გაზრდილ მადას“ უკავშირებს: „სამშენებლო კომპანიებმა კარგად უნდა გაიცნობიერონ, რომ ეს პროექტი არაა მათთვის მოგების მიღების წყარო – ესაა საშუალება, რომ ფინანსური კრიზისის დროს ამ კომპანიებმა თავი გადაირჩინონ. კონკრეტული ეზოს პროექტისთვის იმაზე მეტი თანხის მოთხოვნა, ვიდრე ეს ამ ფართს შესაბამება, სამშენებლოების გაზრდილ

მადას ნიშნავს, რის გამოც პროექტი არ დაფინანსდა“ – აცხადებს მამუკა ახვლედიანი.

ახვლედიანი დასძენს, რომ პროექტის გარკვეულ ეტაპზე რამდენიმე ოჯახით დაკომპლექტებული დიდი ფართობების რაოდენობა ამოიწურება და დევლოპერები უფრო მჭიდროდ დასახლებულ ეზოებზე გადავლენ. სწორედ ამ „რალაც ეტაპზე“ გახდება არმაზის ქუჩის ბინადრების პრობლემაც აქტუალური.

„ვინვეთ ინვესტორებს“ – ნაიკითხვით ავლაბრის ქ. №1 ის ბინის ფანჯარაზე, სადაც 75 წლის ასია კახაროვი, 60 წელიწადია, ცხოვრობს. მასთან ერთად საერთო ეზოს კიდევ 6 ოჯახი იყოფს. საცხოვრებელი სახლი ამორტიზებულია: კედლები დაზარალებულია, ქერიდან ნვიმის წყალი ჩამოდის, იატაკი ზოგან ყანყალეს. რამდენიმე თვის წინანდელმა მინისტერამ, შემდეგ კი პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობამ ეს სახლი კიდევ უფრო დააზიანა. სიცოცხლისთვის საშიში პირობების გამო, ავლაბრის №1-ში მცხოვრები ოჯახები თანახმანი არიან, დატოვონ საკუთარი სახლი და ახალ ბინაში გადავიდნენ, ოღონდ არა იმ პირობით, რა პირობებზეც მათ სამშენებლო კომპანიებმა შესთავაზეს: „ამ უბანში ერთი კვადრატული მეტრის სანაცვლოდ, სხვა უბანში მთავაზობენ იგივე ფართს. შემოთავაზება არ მოგვენონა, იმიტომ რომ ცალპირი ბლოკით აშენებენ კედლებს, ჩვენს სახლს კი ერთი მეტრის სიგანის კედლები აქვს და სულ სარდაფებზეა დაშენებული. თან გვითხრეს, რომ ახალ ბინას ისანში 2 წელიწადში მოგვცემდნენ – მანამდე შეიძლება თავზეც დაგვენგრეს ეს სახლი“, – ამბობს თამარიკო ფოლადაშვილი. შეიძლება ოჯახი თანახმაა, დატოვოს ძველი თბილისი, თუ სამშენებლო კომპანია უფრო მისაღებ ნინადადებას წარუდგენს, ვიდრე ეს სამშენებლო კომპანიებმა 15 ივლისამდე შეიმუშავეს.

პროექტის მიხედვით, ძველი თბილისის ტერიტორიების მიწის თვითღირებულება შეიძლება მინიმუმ 15%-ით გაიზარდოს, ვიდრე მერია სამშენებლო კომპანიას ფულს გადაუხდის. თუ მიწის ღირებულებამ პროექტში გადახდილ თანხაზე მეტი შეადგინა, სამშენებლო კომპანიას აქვს შანსი, იაფად შეიძინოს პრესტიჟული და ძვირად ღირებული ფართი. თუ პროექტის დასრულებისთვის მერიის მიერ გადასახდელი ფული კვლავ უფრო მეტი იქნება მიწის თვითღირებულებაზე, მაშინ სამშენებლო

კომპანია არ მოისურვებს ტერიტორიის უკან ყიდვას და საბაზრო ფასზე მალა-ლი ფასის გადახდა მერიას ბიუჯეტიდან მოუწევს. თუმცა, მამუკა ახვლედიანი ამას სახელმწიფოს წაგებად არ აფასებს: „სამშენებლო კომპანიას არაფერს არ ვჩუქნით, ჩვენ ვაძლევთ შესაძლებლობას, იზოვონ ფული. სახელმწიფომ კი შეიძლება მის საკუთრებაში გადასული მიწების გაყიდვით იმდენი ფული ვერ ამოიღოს, რამდენიც სამშენებლო კომპანიებს გადაუხადა, მაგრამ თუ პროექტი დამიჯდა 30 მილიონი და ამოვიღე 25 მილიონი, ვიტყვი, რომ ეს 5 მილიონი გადაყრილი არ იქნება იმიტომ, რომ დავეხმარე სამშენებლო სექტორს, შევინარჩუნე სამუშაო ადგილები, გამოვასწორო ძველი თბილისის პრობლემები და გათავისუფლებული ტერიტორიები საინვესტიციოდ გავამზადე“.

მომავალ წელს პროექტზე „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ ახალი კონკურსი გამოცხადდება და სიცოცხლისთვის საშიში პირობებში მცხოვრებ ძველი თბილისის მოსახლეობას კიდევ ერთი შანსი გაუჩნდება, ახალ ბინაში გადავიდეს საცხოვრებლად. ძველი თბილისის ოჯახებისგან გათავისუფლებული ტერიტორია კი საინვესტიციოდ მომზადდება და რეგიონი „ახალ სიცოცხლეს“ დაინყებს. დეველოპერებს ურჩევენ, მოპოვებულ ტერიტორიებზე



■ არმაზის შესახვევი N1, ავლაბარი, თბილისი 2009

„დავიჯერეთ უგულავას სიტყვები, რომ კომპაქტურად დასახლებული ხალხის დახმარება იქნებოდა პრიორიტეტული. ახლა კი ფაქტის წინაშე ვდგავართ. უკიდურეს მდგომარეობაში მცხოვრები ადამიანებისთვის არაფერი იცვლება“.

დაანგრეონ ის სახლები, რომლებიც ძველთა ნუსხაში არაა აღრიცხული, რადგან მერიისთვის სასურველია, გათავისუფლებული მიწები მიიღოს.

თუმცა, პროექტის ამ ეტაპზე უკვე სულ სხვა ტიპის პრობლემა გაჩნდება. საფრთხის წინაშე დადგება ძველი თბილისის იერსახის შენარჩუნება. მიზეზი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებებია, რომლის მიხედვითაც, დასაშვები ხდება ისტორიული ძეგლების მოცულობის გაზრდა. ურბანისტი კოკა ამირეჯიბი აცხადებს, რომ „სავარაუდოდ, ნარიყალას ანდა გორის ციხეს არაფერს დააშენებენ, სამაგიეროდ, ძველ თბილისში ჩნდება ამის საშიშროება, სადაც დაახლოებით 18 ათასი შენობაა, აქედან კი ყოველი მეათე ძეგლია. ერთადერთი იმის იმედი რჩება, რომ მათ, ვინც ამ პროცესში მონაწილეობს, ესმით კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა და არ იკადრებენ ძეგლის დამახინჯებას“.

კოკა ამირეჯიბი ამბობს, რომ ძველ თბილისში კულტურული ძეგლის სტატუსის მქონე შენობების გარდა, გვხვდება ძველი ნაგებობებიც, რომელთაც ისტორიული ღირებულება, მართალია, არ აქვთ, მაგრამ თავიანთი იერსახით ამ უბნის ურბანულ ქსოვილს ქმნიან და საერთო იერსახის შენარჩუნებაშიც დიდ როლს თამაშობენ. კანონი კი მათ არ იცავს და ამიტომ კიდევ უფრო მეტი სიფრთხილეა საჭირო, რომ ეს შენობებიც „ძველი თბილისის ახალ სიცოცხლეს“ არ ემსხვერპლოს და მერიამ მათ ნაცვლად მხოლოდ ცარიელი მიწა არ ჩაიბაროს, რომელზეც უცნობია, რა ტიპის სახლებს ააშენებენ. „პროექტში მთელი რიგი ამ საკითხებისა იგნორირებულია. საშიშროება, რომ მხოლოდ ძეგლები დარჩება, გათავისუფლებული მიწებზე კი გაჩნდება სულ ახალი განაშენიანება, რომელსაც ისტორიულ გარემოსთან საერთო არაფერი ექნება, ამკარად არსებობს“, – აცხადებს კოკა ამირეჯიბი.

ეს ის პრობლემებია, რომელთა გამოსწორებაც გზადაგზა შეიძლება, თუკი ამას პროექტში მონაწილე მხარეები მოინდობენ. თუმცა კიდევ ერთი საკითხი – მოიტანს თუ არა ეს პროექტი ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ეფექტს, რთულად გასათვლელია. გააჩნია, „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ შედეგებზე ორიენტირებული პროექტია თუ მერიის მილიონიანი პიარ-კამპანია. ■



თბილისის მრავალდარგოვანი პროფესიული სწავლების ცენტრი, ხეზე კვეთის სახელოსნო, თბილისი 2009

ფოტო: ლევან ხარაიძე

განათლება

საბანმანათლებლო ჩიხი

ორი წლის წინ დაწყებული საბჭოთა პროფტექნიკუმების რეაბილიტაციისა და გარდაქმნის პროცესი, არათანმიმდევრული პოლიტიკის გამო ხარვეზებით მიმდინარეობს.

რუსუდან ფანოზიშვილი

გლდანში, ქერჩის ქუჩაზე გახსნილ პროფესიულ სასწავლებელში ორასამდე სტუდენტი 40 წლის წინანდელი და საგანგებოდ შეკეთებული ტექნიკით სარგებლობს. შენობა ოთხსართულიანია და ათასამდე სტუდენტსაც მიიღებდა, უფრო თანამედროვე რომ ყოფილიყო. მეოთხე სართული მთლიანად გაუქმებულია, რადგან სახურავიდან წყალი ჩამოდის. დასავლეთით კედლის ნაწილი ჩამონგრეულია და იმდენად ცივა, რომ იმ მხარეს გაკვეთილების ჩატარება შეწყვეტიტეს.

გლდანის სასწავლებლის მსგავსად, საქართველოში პროფესიული სასწავლებლების უმრავლესობაში სწავლება საბჭოთა პერიოდში შექმნილი და ნახევრად მწყობრიდან გამოსული აღჭურვილობით ხდება. 78-დან მხოლოდ 28 სასწავლებელი ფუნქციონირებს. აქედან კი ჯერჯერობით მხოლოდ ათია გარემონტებული. დანარჩენები დახურულია იმის გამო, რომ მათ რეაბილიტაციას ფინანსურად ვერ გასწვდნენ და ეკონომიკის სამინისტროს გადასცეს.

პროფესიული განათლების განვითარება ორ მნიშვნელოვან სფეროს უკავშირდება: დასაქმებასა და განათლების სისტემაში „უწყვეტი განათლების“ პრინციპს. ნებისმიერ მოქალაქეს მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს.

ამიტომ სახელობო განათლების განვითარება, ბოლო ორი წელია, საქართველოში განათლების პრიორიტეტად გამოცხადდა. თუმცა, დარგზე ზრუნვა არათანმიმდევრულად წარმართა, ეს კი, პირველ რიგში, პროფესიული განათლების ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის, მწირი ფინანსების განაწილებას ეხება.

პრიორიტეტად გამოცხადება სახელობო განათლების ბიუჯეტს მხოლოდ პირველ წელიწადს დაეტყო. დაახლოებით 9-მილიონიანი ბიუჯეტი 2007 წელს თითქმის 15 მილიონამდე გაიზარდა. თუმცა, მომდევნო წელსვე ერთი მილიონით შემცირდა, წელს კი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროფესიულ სასწავლებლებს

ისევ 9 მილიონი ლარი გამოუყვეს. ეს რიცხვი განათლების სამინისტროს ბიუჯეტის დაახლოებით 2 პროცენტს შეადგენს. პრობლემის სანყისიც ესაა არასამთავრობო ორგანიზაცია dvv international-ის ხელმძღვანელის, ლევან კვაჭაძის თქმით, საბოლოო ჯამში, განათლებისა და ხელობის გარეშე დარჩენილი ადამიანების შენახვა ქვეყანას უფრო მეტი დაუჯდება, ვიდრე მათი განათლებისთვისაა საჭირო.

ყოველწლიურად 20 ათასამდე სკოლადამთავრებული რჩება უმაღლესი და სახელობო სასწავლებლების გარეშე. წელს სკოლა 51 ათასმა ახალგაზრდამ დაამთავრა. უმაღლეს სასწავლებლებში მათთვის 24 ათასამდე ადგილი გამოიყო, პროფესიულ სასწავლებლებში კი – 6 ათასამდე. საბოლოო ჯამში, გამოდის, რომ განათლების მიღების მსურველთა საერთო რაოდენობა საგრძნობლად აღემატება ქვეყანაში მათთვის რეალურად გათვალისწინებულ სასწავლო ადგილებს.



თბილისის მრავალპროფილიანი პროფესიული სწავლების ცენტრი, მშენებლობის გაფეხილი, თბილისი 2009



თბილისის მრავალპროფილიანი პროფესიული სწავლების ცენტრი, სადურგლო, თბილისი 2009

„რამდენიმე წელიწადში ეს იქნება სოციალური ბომბი“, – აღნიშნავს ლევან კვაჭაძე. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით კი, უახლოეს სამ წელიწადში პროფესიულ სასწავლებლებში ადგილების რაოდენობა მინიმუმ ოთხჯერ მაინც უნდა გაიზარდოს.

დაფინანსების გარდა, სახელობო სექტორში სხვა შეუსაბამობებიცაა, რომლებიც ე.წ. „საგანმანათლებლო ჩიხს“ ქმნის. კანონით, ნებისმიერი ასაკის ადამიანს აქვს რომელიმე ხელობის შესწავლის შანსი, მაგრამ თუკი მე-9 კლასიდან სახელობო სასწავლებელში გადასულმა მოსწავლემ უმაღლესი განათლების მიღება მოინდომა, დაბრკოლებას აწყდება. პროფესიულ ცენტრებში საერთოდ აღარ ასწავლიან სკოლის საგნებს, მოსწავლეები კი ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის უფლებას მხოლოდ მას შემდეგ იღებენ, თუკი ამ საგნებს სკოლაში ექსტერნის წესით აბარებენ.

ეს კი ხელოვნური ბარიერია. განათლების სამინისტროში ამბობენ, რომ მათი ინფორმაციით, ამ წესით გამოცდები არავის ჩაუბარებია. ცვლილება ეწინააღმდეგება თავად რეფორმის პრინციპსაც, რომლის მიხედვითაც, სისტემა იმდენად მოქნილი უნდა გამხდარიყო, რომ ყველა მოქალაქეს ჰქონოდა საშუალება, ერთით მაღალი საფეხურის განათლება მიეღო.

პრობლემის მოსაგვარებლად პროფესიულ სასწავლებლებში სასკოლო საგნების დამატებას არ აპირებენ. თუმცა გეგმავენ, უფასო კურსები გახსნან პროფსასწავლებლების იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება სურთ. ეს ჯერ

მხოლოდ იდეაა, რომელიც სავარაუდოდ განათლების სამინისტროს სტრატეგიით უნდა განისაზღვროს.

ამ სტრატეგიის დროულად დამტკიცებაზე დამოკიდებული იმ 19 მილიონი ევროთი დაფინანსებაც, რომელიც ევროკომისიამ სახელობო სასწავლებლებისთვის უნდა გამოყოს.

თუმცა, არათანმიმდევრული პოლიტიკისა და ზედაპირული და ზოგადი სტრატეგიის გამო, განათლების სამინისტრო ჯერჯერობით საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკას იმსახურებს. ადგილობრივი და უცხოური ორგანიზაციების აზრით, „სახელობო განათლების მომზადებისა და განვითარების სტრატეგია“, რომელზეც ერთი წელია, მუშაობს სამინისტრო, ზედაპირული და ზოგადი ხასიათის დოკუმენტია. სამინისტრო ამას გრძელვადიან სტრატეგიას აბრალებს: „იგი 3-წლიან პერიოდზეა გაწერილი და კონკრეტული ნაბიჯების გათვლა ამ პერიოდზე შეუძლებელი იყო“, – აცხადებენ ისინი.

არათანმიმდევრულ მიდგომაზე მეტყველებს ისიც, რომ სახელობო სასწავლებლების რეაბილიტაცია შრომის ბაზრის შესწავლის გარეშე დაიწყო. განათლების სამინისტროს შესაბამისი კვლევა არ ჩაუტარებია. თუმცა, მიაჩნიათ, რომ სახელობო სასწავლებლების პროფილები ბაზრის მოთხოვნასა და გარემოს შეუსაბამეს. ამის ერთ-ერთი მაგალითია მესტიის სკოლა, სადაც გიდობა და ტურიზმის მენეჯმენტი ისწავლება.

თუმცა, ერთ-ერთ სასწავლებელში ხელობად – ავტომობილის მართვას ასწავლიან, თითქმის ყველა მრავალდარგო-


ვან პროფესიულ სასწავლებელში კი – კომპიუტერულ პროგრამებს. ივარაუდება, რომ პროფესიით კომპიუტერის ოპერატორმა უნდა იცოდეს „ვორდის“ და „ექსელის“ პროგრამები. თუმცა ეს ის ცოდნაა, რაც საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ისედაც უნდა მიიღონ. განათლების სამინისტროს აკრედიტაციის ცენტრში ამ კურსების არსებობას მათზე დიდი მოთხოვნით ხსნიან. მოთხოვნა განსაკუთრებით მაღალია რეგიონებში. პროფესიული სასწავლებლებისთვის კი კომპიუტერის ფასიანი კურსების გახსნა, მწირი დაფინანსების პირობებში, დამატებითი შემოსავლის წყარო ხდება.

დამსაქმებლები კი უფრო კონკრეტულ, დარგობრივ განათლებას ითხოვენ. სამშენებლო კომპანია „ჰოლანდიური სახლის“ გენერალური მენეჯერი გიორგი აბდუშელიმივილი აცხადებს, რომ დარგობრივი განათლება და პროფესიული სტანდარტის დაგეგმვა ყველაზე მნიშვნელოვანია. წესით, ჯერ კიდევ დასამტკიცებელ სტრატეგიაში ამ სტანდარტის შესახებაც უნდა ჩაიდოს კონკრეტული ინფორმაცია.

სავარაუდოდ, ამ პრობლემების მოგვარება მხოლოდ მაშინ გახდება რეალური, როდესაც ევროკომისიის 19-მილიონიანი დახმარების გადმორიცხვა დაიწყება. თუმცა, თუ განათლების სამინისტრო საბოლოოდ არ შეიმუშავებს კონკრეტული ნაბიჯებით გაწერილ გეგმას, რომელიც ჯერ კიდევ სექტემბერში უნდა ყოფილიყო მზად, შეპირებულ თანხას ვერ მიიღებს და ლოზუნგიც – „სახელობო განათლება დასაქმებისთვის“ – ქმედითი ვერ გახდება. **□**

როულზის სამართლიანობის თეორია

გიგა ზედანია



A Theory of Justice

John Rawls

სამართლიანობის თეორია

ჯონ როულზი

სიტყვა „ლიბერალი“ ლათინურიდან მოდის: *liber* – თავისუფალი. თუ იკითხავთ, – ლათინურ ენაზე „ნიგნი“ როგორ არისო, – იმავე პასუხს მიიღებთ: *liber*. ამ რუბრიკაში ნიგნიერებისა და ლიბერალიზმის დაკავშირებას ვაპირებთ. ფრანგი სოციოლოგის, რაიმონ ბუდონის შეკითხვა – „რატომ არ უყვართ ინტელექტუალებს ლიბერალიზმი?“ (ასეთი სათაურით გამოსცა მან ნიგნი 2004 წელს) – აჩვენებს, რომ ეს კავშირი დღეს არც დასავლეთ ევროპაშია ცხადი, საქართველოზე რომ აღარაფერი ვთქვათ. არადა, ლიბერალურ ფილოსოფიას საკმაოდ ხანგრძლივი და მრავალფეროვანი ისტორია აქვს, რომელმაც, გარდა

იმისა, რომ თავისთავადაა საინტერესო, უაღრესად დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბებაზე. ამ რუბრიკაში, ჩემი აზრით, ნებისმიერი ინტელექტუალური ლიბერალისათვის საჭირო ნიგნების მოკლე განხილვას შემოგთავაზებთ. ეს ნიგნები შეიძლება იყოს კლასიკურიც და თანამედროვეც, რთულიც და მარტივიც, მაგრამ უკვე ახლავე შეგვიძლია გითხრათ: ყველა მათგანის გამჭოლი თემა იქნება ინდივიდის თავისუფლება.

ჯონ როულზის „სამართლიანობის თეორია“

იმისათვის, რომ ჯეროვნად დავაფასოთ როულზის ნაშრომი, საჭიროა, ცოტა შორიდან დავიწყოთ: მე-16 საუკუნეში მაკიაველიმ სცადა ეთიკური პრობლემების პოლიტიკის თეორიიდან გატანა. პოლიტიკის თეორია, მაკიაველის მიხედვით, უნდა იყოს რეალური პოლიტიკური მოთამაშეების რეალური ქცევის ანალიზი და არა იმის გარკვევა, როგორია კეთილი და სამართლიანი საზოგადოება. ამის შემდეგ პოლიტიკის შესახებ აზროვნება ორად გაიყო: ერთი მხრივ, პოლიტიკის მეცნიერება (ანუ პოლიტოლოგია), რომელიც ფაქტობრივად არსებულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს იკვლევდა, ხოლო მეორე მხრივ – პოლიტიკური ფილოსოფია, რომელიც ნორმატიული საკითხებით იყო დაკავებული და თანდათანობით კარგავდა წონასა და მნიშვნელობას. 1971 წელს როულზმა საკუთარი ნიგნით მოახერხა, ეჩვენებინა, რომ პოლიტიკურ ფილოსოფიას შეუძლია იყოს რელევანტური და აქტუალური გადაწყვეტილებების მიმღებთათვის. ამით მან ნორმატიული საკითხები პოლიტიკის შესახებ აზროვნების ცენტრში დააბრუნა.

როულზი სამართლიანობის საკითხს აყენებს საკუთარი თეორიული აზროვნების ცენტრში. ოღონდ მას არ აკმაყოფილებს მიდგომა, რომელიც ცალკეული ინდივიდის სიჭკეულებზე აკეთებს აქცენტს; როულზის მიხედვით, თანამედროვე კომპლექ-

სური საზოგადოების კონტექსტში – სიღარიბის პრობლემა, ძალაუფლების არათანაბარი განაწილების პრობლემა და ა.შ. – ასეთი ინდივიდზე ორიენტირებული მიდგომა არ იქნება ეფექტიანი. სამართლიანობის თეორია საზოგადოების ინსტიტუციურ სტრუქტურაზე უნდა იყოს მიმართული, ამიტომაც იწყება ნიგნის მთავარი ნაწილი წინადადებით: „სამართლიანობა სოციალური ინსტიტუტების პირველი სიჭკეულება (*virtue*)“. მაგრამ როგორ უნდა მივხვდეთ, არის თუ არა არსებული ინსტიტუტები სამართლიანი? ეს, როულზის აზრით, მარტივ კითხვაზე პასუხით გახდება ცხადი: „ააშენებდნენ თუ არა რაციონალური ადამიანები იმავე ინსტიტუტებს, რომ ჰქონდეთ შანსი, თავიდან შექმნან ახალი სოციალური სტრუქტურები?“ თუ პასუხი დადებითია, მაშინ არსებული სოციალური ინსტიტუტები სამართლიანი ყოფილა.

მაგრამ ვინ უნდა იყვნენ ეს რაციონალური ადამიანები? არ გაგიკვირდეთ: ისინი, ვინც ისეთ მიდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ არ იცის საკუთარი საჭიროებების, ღირებულებების, მიზნების, სურვილების და ა.შ. შესახებ; მათ არ უნდა იცოდნენ საკუთარი ადგილი საზოგადოებაში, საკუთარი კლასი და სტატუსი; არც საკუთარი ბუნებრივი ნიჭის, ინტელექტისა და ფიზიკური ძალის შესახებ უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა; ასევე უცნობი უნდა იყოს მათთვის საკუთარი ფსიქოლოგიური მიდრეკილებები ოპტიმიზმისა თუ პესიმიზმისაკენ, რისკისადმი დამოკიდებულება და ა.შ. ანუ, ამ რაციონალური მსჯელობისას ადამიანებმა უნდა ჩამოიფარონ „არცოდნის საბურველი“ (*veil of ignorance*). სწორედ ეს საბურველი შეუშლის მათ ხელს, აირჩიონ საზოგადოება, რომელშიც ძალაუფლება და სიმდიდრე ძალზე არათანაბრადაა განაწილებული, რადგან ამ შემთხვევაში იარსებებს შანსი, რომ თვითონ იერარქიული კიბის დაბალ საფეხურზე მოხვდებიან. მაგალითად, არავინ აირჩევს საზოგადოებას, რომელშიც არსებობს მონობის ინსტიტუტი.

ეს ყველაფერი ძალზე აბსტრაქტულად ჟღერს, მაგრამ როულზს აქედან შორს მიმავალი და კონკრეტული პოლიტიკური დასკვნები გამოაქვს.

ჯერ ერთი, რაციონალური ადამიანები აირჩევენ საზოგადოებას, რომელშიც ძირითადი უფლებები, როგორებიცაა აზრის თავისუფლება, რელიგიის თავისუფლება, საკუთრების უფლება და ა.შ. გარანტირებულია – იმიტომ, რომ არავის მოუნდება ამ უფლებების გარეშე დარჩეს;

მეორე, არჩეულ იქნება საზოგადოება, სადაც მთავარია ის, რასაც ადამიანი თავად მიაღწევს და არა ის, რაც მას დაბადებისას მიეცემა – არისტოკრატიული წოდება და ა.შ.

და, მესამე, მემარცხენე-ლიბერალური იდეა – აირჩევა საზოგადოება, რომელშიც სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობების ფორმირება ისე მოხდება, რომ ისინი ყველას სასარგებლოდ მუშაობდეს. განსხვავებით სოციალისტი მოაზროვნეებისაგან, როულზი არ უარყოფს იმის შესაძლებლობას, რომ საზოგადოებაში უთანასწორობა იარსებებს. სოციალურ უთანასწორობას ხშირად ვერსად გაექცევი. მაგრამ სამართლიანი ეს უთანასწორობა მხოლოდ მაშინაა, როდესაც მისით ყველაზე ცუდ მდგომარეობაში მყოფი ადამიანებიც სარგებლობენ. მაგალითად, შეიძლება მაღალი კლასის მენეჯერებს სხვებზე ბევრად დიდი ანაზღაურება ჰქონდეთ, რათა მათ ეკონომიკის სტიმულირება მოახდინონ. მაგრამ სამართლიან საზოგადოებაში ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ ყველაზე ნაკლებად პრივილეგირებული ფენებიც აქედან სარგებელს ნახავენ – მაგალითად, სოციალური დახმარებების გულუხვი პაკეტებით.

როულზის პოლიტიკურმა ფილოსოფიამ უზარმაზარი გავლენა მოახდინა როგორც აკადემიაში, ასევე – მის გარეთ. მას ციტირებენ როგორც უნივერსიტეტების პროფესორები, ისე ამერიკელი მოსამართლეები და პოლიტიკოსები. თუმცაღა მან ასევე დაიმსახურა სერიოზული კრიტიკა – სწორედ როგორც პოლიტიკურ-ლიბერალური ფილოსოფიის ერთ-ერთმა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელმა. ამიტომ როულზის ფილოსოფიას კიდევ დავუბრუნდები – როგორც მისი მომხრეების, ასევე მისი მოწინააღმდეგეების ნაშრომების განხილვისას. 

**გამოიწეით შურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ იგი
გამოსვლის დღეს
(ყოველ მეორე ოთხშაბათს)
თქვენთვის სასურველ მისამართზე**



ლიბერალი

6 ნომერი (3 თვე) – 16,80 ლარი
13 ნომერი (6 თვე) – 36,40 ლარი
25 ნომერი (1 წელი) 70 ლარი

შურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:

23 37 31, (877) 78 78 05

ან მოგვანოღეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტით: info@liberali.ge

ბოსფორელი ფლობერი

მალხაზ ხარბელია



Masumiyet Müzesi

Orhan Pamuk

უბინოების მუზეუმი

ორჰან ფამუქი

ეს სათაური („ბოსფორელი ფლობერი“) თავად ფამუქის რომანის ბოლო ეპიზოდმა და ამ რომანის შესახებ The New York Times-ში დაბეჭდილმა ერთი რეცენზიის სათაურმა მიკარნახა. რეცენზიას „ბოსფორელი ლოლიტა“ ჰქვია. ამერიკელებმა ხომ ყველაფერთან რაღაც გაცვეთილი ბმული უნდა გააბან?! არადა რომანის ორ მთავარ გმირს, ქემალსა და ფიუსუნს შორის ასაკობრივი სხვაობა გაცილებით მოკრძალებულია, ვიდრე ჰუმბერტ-ჰუმბერტსა და ლოლიტას შორის (ქემალი 30-ისაა, ფიუსუნი 18-ის). და ფლობერი რაღა შუაშია? რა და ქემალს ფლობერის ერთი უცნაური ვენება ახასიათებს, რაზეც ოდნავ ქვემოთ მოგახსენებთ.

ორჰან ფამუქის ბოლო რომანი „უბინოების მუზეუმი“ (2008) დასავლურ ენებზე სულ ახლახან გამოვიდა, სწორედ ამიტომ მოხვდა იგი ჩვენ მიმოხილვაში, აშშ-ში ნიგნი 2 კვირის წინ, 20 ოქტომბერს გამოჩნდა, რე-

სეთში – აგვისტოში. ყველას, რა თქმა უნდა, გერმანელებმა დაასწრეს, რომლებმაც ჯერ კიდევ შარშან თარგმნეს „უბინოების მუზეუმი“.

მოქმედება 1975 წლიდან იწყება, როცა ლამაზი გამყიდველის, ფიუსუნის ვენებიანი სიყვარული ნარჩინებულ ოჯახიშვილს, ქემალს ყველაფერს დაავინყებს, თავის დანიშნულსაც, მეგობრებსაც, მამასაც, ვისგანაც დიდ მემკვიდრეობას ელის. მალე ყველაფერი ცუდად ვითარდება. გოგონა შორდება ქემალს, მას შემდეგ, რაც გაიგებს, რომ იგი სხვა ქალზე დანიშნული და იწყება „დევის“ 9-წლიანი ისტორია, როცა ქემალი ურთიერთობების აღდგენას ცდილობს და რომლის დროსაც იგი თავის მიჯნურთან დაკავშირებული მოგონებების გროვებას იწყებს. უფრო სწორად, იგი პარავს ფიუსუნს ნივთებს, და აგროვებს იმ უმნიშვნელო რაღაცებს, რომლებიც ნელ-ნელა ყველაზე მნიშვნელოვნად იქცევა და შეავსებს მის ცხოვრებას.

მის კოლექციას ამშვენებს: საცვალი, თმის სარჭი, ფინჯანი, რომლიდანაც ფიუსუნი სვამდა, საყურე, სიგარეტის ნამწვი, სანრუჟავი, კომპის სახეხი...

ყველა ამ „ექსპონატიდან“, მათი სიყვარულის ტრაგიკული დასასრულის შემდეგ „უბინოების მუზეუმი“ იქმნება და ქემალი იწყებს ფიქრს იმაზე, რომ ეს საგნები შეიძლება თხრობის ერთიანმა ხაზმა გააერთიანოს, როგორც არისტოტელესთან დრო აერთიანებს წამის გაეღვებებს და შესაბამისად რომელიღაც მწერალმა ამ მუზეუმის კატალოგი დაწეროს, როგორც რომანი. სწორედ ამ მიზნით, უკვე რომანის ბოლოს ჩნდება ნაწარმოებში თავად ავტორი, ორჰან-ბეი ფამუქი და მასთან ერთად ფლობერის აჩრდილიც.

ქემალი და ორჰან-ბეი ერთმანეთს ხვდებიან, საუბრობენ მწერლების მუზეუმებზე, იმაზე, რომ დოსტოვესკის სახლ-მუზეუმში, პეტერბურგში ნამდვილი მხოლოდ დოსტოვესკის შლაპა ყოფილა, შემდეგ პრუსტს, ნაბოკოვს, სპინოზასა და სტრინდბერგსაც გადაწვდებიან და ბოლოს ფლობერის ერთ უცნაურობას ახსენებენ, რომელიც მწერალს პირად წერილში ნაშოცდენია. ეს უცნაურობა მის სატრფოს, ლუიზა კოლეტს უკავშირდება, ვინაც შთააგონა ფლობერს „მადამ ბოვარის“ დაწერა და ვის ნივთებსაც, თმის კულულებს და ა.შ. მწერალი სათუთად ინახავდა, ზოგჯერ კი სატრფოს ფეხსაცმელს ამოიღებდა, იატაკზე დააწყობდა და

ვენებით წარმოდგენდა ხოლმე საყვარლის მოძრაობებს.

„უბინოების მუზეუმი“, როგორც ფამუქის თითქმის ყველა სხვა რომანი, ქალაქური რომანია. აქ სტამბოლი ერთ-ერთი გმირია, ქალაქი, სადაც იკარგებიან, ან ხელახლა ჩნდებიან. გახსოვთ ალბათ განშორებები და გაუჩინარებები „შავი ნიგნიდან“, „მე მქვია ნითელის“ იღუმალი პაემნები, ვინრო ქუჩები, იქაც განშორება და მელანქოლია, ასევე ტანჯვა, „თოვლი“, ზამთრის ყარსი, ძველი შეყვარებულების შეხვედრა, კვლავ განშორება, ფიქრი, დევნა.

სადაც არ უნდა იყოს ორჰან ფამუქი (ის კი ბოლო წლებში სულ უცხოეთში ცხოვრობს, ჯერ განათლებას იღებდა იქ. სომხების გენოციდის აღიარების შემდეგ განსაკუთრებით დაშორდა სამშობლოს და ახლა ლექციებსაც კითხულობს კოლუმბიის უნივერსიტეტში), იგი სულ მუდამ თავის ქვეყანას უბრუნდება, მუდამ სტამბოლის რუკა უჭირავს ხელში და წარმოსახვით მის ქუჩებში დახეტიალობს, იხსენებს დეტალებს. რასაც ვერ იხსენებს, ახლიდან იგონებს.

ისევე, როგორც ქემალის „მუზეუმი“, სტამბოლშიც ყველაფერი მოგონებებითაა სავსე, ქალაქი პირად მუზეუმად იქცევა, საცავად (გაიხსენეთ „შავი ნიგნის“ ალბათ ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი მონაკვეთი, სადაც ბოსფორის ფსკერია აღწერილი, ჩაძირული განძეულობით თუ უბრალო ნივთებით, მწვანე კალმისტრით, შავი კადილაკითა და ბოთლის თავსახურებით. მწერლის კალამი აქ კამეთვალის მოდრობას და მისი მეშვეობით სიბნელიდან ამოანათებენ, ოქროს საყურეები, ნიჩბებზე მიბმულ მონათა ჩონჩხები, სათვალეები და ქოლგები, გერმანული ჯავშნოსანის ლუზა, აბჯარასხმული უძველესი რაინდები, რომლებიც ფსკერზეც კი ცხენებზე არიან ამხედრებულნი და მრავალი სხვ.).

ორჰან ფამუქის ეს რომანიც ასეთივე საცავია, უფრო სწორად, საცავის კატალოგი, სადაც მწერლის ვენება – ყველაფერი ჩამოთვალოს და მინანერი გაუკეთოს ნივთებს, ექსპონატებს – ზღვარს აღწევს. „უბინოების მუზეუმი“, როგორც რომელიმე ლუვრში, ძალიან ბევრი კარია (ნიგნი 83 თავისგან შედგება) და მკითხველსაც სხვა არაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ მოლოდინით სავსე სიფრთხილით გამოაღოს ისინი. ■

გვიხიანეთ

მთელ საქართველოში

უხველელ სიხშირეზე 106.4

fm

www.106.4.ge

უსმინეთ პირველი რადიოს ეთერში:

ყოველ სამუშაო დღეს

შემეცნებით - გასართობ გადაცემას:

“რადიო მრჩეველი ნანიკო ხაზარაძესთან ერთად”

დასაწყისი 13:30

ყოველ ორშაბათს და პარასკევს

მუსიკალურ - შემეცნებით გადაცემას:

"ძველი რადიოლა"

დასაწყისი 18:00

ყოველ ორშაბათს და პარასკევს

სპორტულ გადაცემას:

"Sports Prewive"

დასაწყისი 20:00





ბაზანიჭვბუცი საქართველოს ბანკი

ბანკით ანაბანი,
ჩაჩითი ბათაშაშაშა,
აოიბი ფაილი ზიიი
და ბიბი



საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

